საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 ნოემბერი **შაბათი** 2012 **№261 (13 867)** ფასი 80 თეთრი


რაგბი. U 17. ევროპის ჩემპიონატი

## ელიტაში – პირველ ნომრად

პორტუგალია–17:33–საქართველო

13



ამ მოგებით ქართველებმა ჯგუფის პირველობა და ელიტ-რაუნდი გაინაღდეს

ქართული ელ კლასიკო. უმნიშვნელოვანესი ტური

# პირველ–მეორეზე გათვლა

## და შემოდგომის წიწილების დათვლა



დინამოსა (ლურჯი) და ტორპედოს შეხვედრა მუდამ უშელავათო ბრძოლით გამოირჩევა

ფოტო: fcdinamo.ge

თუ ქუთაისმა მოიგო, პირველადგილოსანთან ჩამორჩენას ქულამდე შეამცირებს. თუ დინამო იმარჯვებს, მეორეადგილოსან ქუთაისს 7 ქულით გაასწრებს.

2

ტორპედოს რევანში სწყურია

12



უტევს გიორგი ცინცაძე

## შეუჩერებელი!

### ცინცაძის 22+8

ვიქტორ სანიკიძემ კი ევროლიგაზე პირველი მატჩი მოიგო – მონტეპასკიმ ფრანგულ შალონს 93:90 სძლია. ვიქტორმა 17 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

## ევროპა დიდი მატჩების მოლოდინში

იუვენტუსი VS ინტერი
მან. იუნაიტედი VS არსენალი
ჰამბურგი VS ბაიერნი



5-9

ინტერი (ლურჯი) ტურინში მოსაგებად მიდის

3



კახა კაჭარავა

## ელიტური შენაერთი თბილისშია

19-წლამდელების პრესკონფერენცია

ლელოს სტუმარი. რევაზ ლაშხი



10

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს XXIII ჩემპიონატი. XIII ტურის წინათქმა

# კლასიკო, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს

**თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი მნიშვნელობით დღევანდელ ტური სულაც არ არის რიგითი. გვლის ორი ცენტრალური მატჩი, რომელთა შედეგებსაც ძალიან ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია. ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა ეკვატორი გადალახა და ტურიდან ტურამდე უფრო და უფრო იზრდება თითოეული ქულის ფასი. შესაბამისად, დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ პირველ ეტაპზე თითებზე ჩამოსათვლელი იქნება ისეთი მატჩები, რომელთა შედეგსაც მისი მონაწილეებისთვის ნაკლები მნიშვნელობა ექნება. შესაძლოა, მეორე ეტაპზე არაფრისმომცემი შეხვედრების რაოდენობა თვალშისაცემი გახდეს, ამჟამად კი ფაქტი ის არის, რომ ჩემპიონატის საშემოდგომო რაუნდი, ძირითადად, უშელავათო ბრძოლებში მიმდინარეობს.**



2012 წლის 18 აგვისტო. დინამო-ტორპედო 3:2

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### სასწორზე ბევრი რამ დევს

"დინამოსა" და "ტორპედოს" დაპირისპირება ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ყოველთვის გამორჩეული მოვლენა იყო იმის მიუხედავად, თუ რა პოზიცია ეკავათ დედაქალაქურ და იმერულ კლუბებს. ზოგჯერ მათი მატჩი ჩემპიონის ვინაობასაც წყვეტდა. საქართველოს ჩემპიონის გამოვლენამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ რაკი "ტორპედოცა" და "დინამოც" ოქროს მედლებზე აცხადებენ პრეტენზიას, მათი მატჩის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

უამრავი ფაქტი შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომლებიც "ქართულ კლასიკოს" ინტრიგას სძენს, თუმცა ისტორიასაც რომ არ გადავწვდეთ, ხვალინდელი შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობაზე ყველაზე მკაფიოდ ჩემპიონატის დღევანდელი სატურნირო ცხრილი მეტყველებს – ერთპიროვნული ლიდერი "დინამო" მდევარ "ტორპედოს" ოთხი ქულით უსწრებს, რის გამოც ქუთაისელთა მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაა. ვეჭვობთ, თბილისელებმა პრინციპულ მეტოქეს ინიციატივა შეგნებულად დაუთმონ და თავადაც არ სცადონ შემტევი ფეხბურთის თამაში – ოთხქულიანი უპირატესობა კარგია, პოტენციური შვიდქულიანი სხვაობა კი ბევრად უკეთესი.

ეს წინაპირობა კი იმის დიდ იმედს გვაძლევს, რომ ხვალ იმერეთის მთავარ ქალაქში შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს ვიხილავთ. მატჩს აუცილებლად ეყოლება დიდი პუბლიკა, სხვა ქალაქების მცხოვრებნი კი სეზონის პირველი ნახევრის ერთ-ერთ უმთავრეს შეხვედრას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ტელეეთერით მიადევნებენ თვალს.

კარგი სანახაობის იმედს ამ გუნდების ბოლო დაპირისპირებაც გვიჩენს. შეგახსენებთ, მიმდინარე ჩემპიონატის მეორე ტურში "დინამო არენაზე" ძალიან დრამატული და საინტერესო მოვლენებით აღსავსე მატჩი გაიმართა, სადაც ხუთი გოლი და ოთხი გაძევება ვიხილეთ. "დინამომ" თამაში რვა (!), ხოლო "ტორპედომ" ათი ფეხბურთელით ჩაამთავრა, საბოლოოდ კი **დუშან უჰრინის** გუნდმა 3:2 გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, წინა ტურში "დინამომ" შინ 3:0 დაამარცხა რუსთავის "მეტალურგი", "ტორპედომ" განმუხურში "ზუგდიდთან" განცდილი წაგებით საქმე გაირთულა და თუკი მანამდე საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს ერთადერთი ქულით ჩამორჩებოდა, დღეისთვის **გია გეგუჩაძის** გუნდს "დინამოსთან" უკვე ოთხქულიანი სხვაობა აშორებს. "ზუგდიდთან" მიღებული გაფრთხილება ხვალინდელ შეხვედრაში თამაშის საშუალებას არ აძლევს "ტორპედოს" საუკეთესო ბომბარდირ **ნიკა საბანაძეს**.

### ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონი - ბრძოლა ექვსეულისთვის

თუკი წინა სეზონში "მეტალურგი" "ზესტაფონს" საქართველოს ჩემპიონობაში ეცილებოდა, ამჟამად რუსთაველებს გაცილებით მოკრძალებული მიზანი – ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა დაუსახავთ. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების შემთხვევაში შეეძლება "მეტალურგს" უფრო მაღალი შედეგების დაგეგმვა. იდეალურად არც "ზესტაფონს" მისდის საქმეები, მაგრამ ბოლო დროს ფეროელთა შედეგიანობა ოდნავ გაუმჯობესდა: დღეისთვის ისინი რუსთაველებს ხუთი ქულით უსწრებენ.

განსაკუთრებული ახსნა არც ამ მატჩის მნიშვნელობას სჭირდება – "მეტალურგი" ამ მომენტისთვის ექვსეულს მიღმაა და მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, "ზესტაფონის" პროგრამა-მინიმუმი კი მეტოქესთან ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნება იქნება.

რუსთაველთა ახალი თავკაცი **გიორგი ყიფიანი** ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება – შეგახსენებთ, გასული სეზონი მან "ზესტაფონში" გაატარა, რომელსაც **გიორგი ჭიაბრიშვილთან** ერთად წვრთნიდა.

წინა სეზონში სათასო მატჩების ჩათვლით "ზესტაფონი" ექვსჯერ შეხვდა "მეტალურგს" და აშკარა უპირატესობა მის მხარესაა – ოთხი გამარჯვება და ორი ფრე. სამაგიეროდ, მიმდინარე სეზონის პირველ წრეში "მეტალურგმა" შეძლო ზესტაფონში გამარჯვება – რუსთაველებმა მეორე ტურში **დიმიტრი ტატანაშვილის** გოლით 1:0 მოიგეს.

ერთი სიტყვით, მართალია, ამ მატჩის მონაწილეები შარშანდელ სიმაღლეზე ველარ არიან, მაგრამ რუსთავში ძველი და პრინციპული მეტოქეების ბრძოლა მაინც საინტერესო უნდა გამოდგეს. დაინტერესებულ ქომაგებს ტურის ორივე ცენტრალური მატჩის ნახვა შეეძლებათ, რადგან ისინი სხვადასხვა დროს იწყება.

### დილა მეცხრესთვის ემზადება

ფაქტია, რომ ორი გამოკვეთილი შეხვედრა ტურის სხვა მატჩებს ჩრდილავს, მაგრამ სხვა ქალაქებში გასამართი დაპირისპირებებიც ბევრს წყვეტს. ვერაფრით გადავა მეორე პლანზე გორში გასამართი მატჩი, სადაც "დილას" კარგი შანსი აქვს, გამარჯვებათა სერია ცხრამდე გაზარდოს და ორი კონკურენტიდან ერთ-ერთის (ან შესაძლოა, ორივეს) დანაკარგით ისარგებლოს. "ჩიხურას" ძლევა იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ წყვილის ფავორიტი, ცხადია, მაინც **გიორგი დარასელიას** გუნდია. "დილა" დღეისთვის მეორე ადგილზეა და თუ საჩხერელებს აჯობა, ამ პოზიციას კიდევ უფრო გაიმყარებს.

უშანსოდ არც "ჩიხურაა", რომელსაც არწაგება ლიდერთა ჯგუფთან მცირე დისტანციის შენარჩუნების საშუალებას მისცემს, გამარჯვების შემთხვევაში კი **სოსო ფრუიძის** გუნდი მინიმუმ საუკეთესო სამეულში შეაღწევს. ასე რომ, თავადაც ხედავთ, რაოდენ დიდია ამ შეხვედრის მნიშვნელობა.

### გასარკვევი ქვემოთაც ბევრია

მცხეთაში ერთმანეთს ძალას უშუალო კონკურენტები მოუსინჯავენ. "ვიტ ჯორჯიას" ზეექვსეულში მოხვედრის მცირე შანსი ჯერ კიდევ დარჩა, თუმცა ეს რომც ვერ შეძლოს, "მერანთან" მოპოვებული სამი ქულა მაინც წაადგება. მარტვილელები წინა ტურში შინ "ზესტაფონთან" სამბურთიანი სხვაობით დამარცხდნენ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ხვალ ასე დაიჩაგრონ. "მცხეთა პარკზეც" დიდ ბრძოლას ველით.

"ზუგდიდმა" განმუხურში ერთმანეთის მიყოლებით სძლია "მეტალურგსა" და "ტორპედოს" და ამ ექვსი ქულით ზედა ექვსეულში უკვე დამაჯერებლად გამოიყურება. რა თქმა უნდა, **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდს ქობულეთშიც მძიმე ბრძოლა ელის, მაგრამ ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს ქულათა მარაგის შევსების იმედი. თავის მხრივ, ბათუმის "დინამოს", რომელმაც უშუალო კონკურენტ "სიონთან" საშინაო მარცხით საქმე კიდევ უფრო გაირთულა, ბოლოსწინა ადგილისთვის თავის დაღწევა მართებს და, სავარაუდოდ, სტუმრებს აქტიურად შეუტევს.

კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია "კოლხეთი", რომელიც ტურიდან ტურამდე იმცირებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს. არ იქნება გასაკვირი, თუ ფოთელები ნავსს ხვალ გატეხენ, მაგრამ იოლად არც "სიონი" დათმობს რამეს. ბოლნისელებს, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ ქობულეთში ბათუმის "დინამოს" სძლიეს, მეორე ზღვისპირულ ქალაქშიც ანალოგიური მიზანი ამოძრავებთ, რაც შეუპოვარი ჯახის გარანტიას გვაძლევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

03.11. რუსთავი. ფოლადი. 14:00

**მეტალურგი-ზესტაფონი**

ურთიერთშეხვედრები:
19 მატჩი, 6 მოგება, 5 ფრე, 8 წაგება. ბურ. 14-17

დისკვალიფიკაცია:
მეტალურგი - გავაშელიშვილი; ზესტაფონი - ელიავა

---

03.11. მცხეთა. მცხეთა-პარკი. 14:00

**ვიტ ჯორჯია-მერანი**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება. ბურ. 0-4

დისკვალიფიკაცია:
ვიტ ჯორჯია - არავინ; მერანი - მჭედლიშვილი

---

03.11 . ფოთი. ფაზისი. 14:00

**კოლხეთი-სიონი**

ურთიერთშეხვედრები:
33 მატჩი, 14 მოგება, 10 ფრე, 9 წაგება. ბურ. 45-28

დისკვალიფიკაცია:
კოლხეთი - ა. მიქაბერიძე; სიონი - სვანიძე

---

03.11 . ქობულეთი. ჩელე არენა 14:00

**დინამო (ბთ)-ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება. ბურ. 2-3

დისკვალიფიკაცია:
დინამო (ბთ) - ბერიძე, ხუხია; ზუგდიდი - არავინ

---

03.11 .ცვანწმინდა. 14:00

**ჩიხურა-დილა**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 1 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება. ბურ. 4-8

დისკვალიფიკაცია: არავინ

---

03.11 . ქუთაისი. ტორპედო 18:00

**ტორპედო-დინამო**

ურთიერთშეხვედრები:
50 მატჩი, 14 მოგება, 11 ფრე, 25 წაგება. ბურ. 49-86

დისკვალიფიკაცია:
ტორპედო - საბანაძე; დინამო - არავინ

*LIVE. რეპორტაჟი 1არხზე*

---

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ბურთები | | | | | | | ბურთები | | | | | | | ბურთები | | |
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 12 | 9 | 2 | 1 | 34 | 8 | 29 | 6 | 6 | 0 | 0 | 25 | 5 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 3 | 11 |
| 2 | დილა | 12 | 8 | 1 | 3 | 20 | 8 | 25 | 7 | 4 | 0 | 3 | 13 | 8 | 12 | 5 | 4 | 1 | 0 | 7 | 0 | 13 |
| 3 | ტორპედო | 12 | 8 | 1 | 3 | 27 | 10 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 14 | 3 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 13 | 7 | 10 |
| 4 | ჩიხურა | 12 | 7 | 2 | 3 | 17 | 12 | 23 | 5 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 10 | 10 |
| 5 | ზესტაფონი | 12 | 6 | 2 | 4 | 15 | 8 | 20 | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 | 8 | 6 | 4 | 0 | 2 | 11 | 5 | 12 |
| 6 | ზუგდიდი | 12 | 5 | 5 | 2 | 14 | 9 | 20 | 6 | 4 | 2 | 0 | 11 | 5 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 7 | მეტალურგი | 12 | 5 | 0 | 7 | 8 | 17 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 4 | 9 | 6 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 12 | 4 | 2 | 6 | 10 | 16 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 10 |
| 9 | მერანი | 12 | 4 | 0 | 8 | 7 | 23 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 9 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 3 | 14 | 3 |
| 10 | სიონი | 12 | 2 | 4 | 6 | 10 | 20 | 10 | 6 | 0 | 4 | 2 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 0 | 4 | 7 | 13 | 6 |
| 11 | დინამო (ბთ) | 12 | 2 | 2 | 8 | 10 | 22 | 8 | 6 | 2 | 0 | 4 | 7 | 8 | 6 | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 |
| 12 | კოლხეთი | 12 | 0 | 3 | 9 | 5 | 24 | 3 | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 10 | 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3 | 14 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 19



# კახა კაჭარავა: ნაკრებში ყველა ჩემი შვილია...

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის 2013 წლის ელიტრაუნდში გავიდა. ხორვატიაში დასრულებული ტურნირი გუშინდელ პრესკონფერენციაზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ ფეხბურთელებთან, ნიკა ჭანტურიასთან და ნიკა სანდოხაძესთან ერთად შეაფასა.**

**კახა კაჭარავა:** - ჩვენი სუსტი წერტილი ხორვატიასთან მატჩის შემდეგ გამოჩნდა. მინდვრის გამო აზერბაიჯანთან თამაში წყალბურთს უფრო ჰგავდა. სამწუხაროდ, გოლის შემდეგ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ანგარიში გაგვითანაბრეს. ისლანდიასთან ბიჭებმა მონდომებით ითამაშეს, გავიმარჯვეთ და მიმაჩნია, რომ ჯგუფიდან ხორვატიისა და ჩვენი გასვლა ლოგიკური იყო.

**- სამივე მატჩში ფეხბურთელი გაგვიძევეს. ეს უდისციპლინობის ბრალია თუ ზედმეტად მკაცრი მსაჯობის?**

- ეს გამარჯვება ყველა იმ მწვრთნელის და კლუბის დამსახურებაა, ვინც ფეხბურთელები მოგვიმზადა, თუმცა დისციპლინასა და მოთამაშეთა განათლებაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ - სამწუხაროდ, ეს მთელი ქართული ფეხბურთის პრობლემაა. ფანცულაიამ პირველი ყვითელი ბარათი სასტვენის შემდეგ ბურთის დარტყმისთვის მიიღო, მეორე - სიმულაციისთვის. აზერბაიჯანთან სანდოხაძე გაგვიძევეს, თუმცა, მსაჯი თავდაპირველად ყვითელი ბარათის ამოღებას აპირებდა, მაგრამ წითელი აუფრიალა.

სანდოხაძე ნერვიულობდა, მაგრამ მეტოქე რომ არ გაეჩერებინა, შესაძლოა, გოლი გაგვეშვა. ამიტომ ვუთხარი, ამ წითლით ელიტ რაუნდში გავალთ-მეთქი და ასე მოხდა.

მესამე გაძევება მაშინ მივიღეთ, როდესაც ისლანდიას 2:0 ვუგებდით. არაბულს ძალიან ეუხეშნენ, მაგრამ მსაჯს ყვითელი ბარათიც არ ამოუღია. ბაჩანას ბიჭები გამოექომაგნენ და ვითარება ისე დაიძაბა, ფეხბურთელებს რომ არ ეჩხუბათ, მოედანზე შევედი, რისი უფლებაც არ მქონდა და მსაჯმა წითელი ბარათი მოგვცა. მაგრამ ვითარების განეიტრალების გარდა მაშინ არაფერზე ვფიქრობდი.

მოედნიდან ჩემს გასვლამდე მსაჯმა გეგეჭკორი გააფრთხილა, აუტი არ ჩამოეწოდებინა, თუმცა ენის უცოდინრობის გამო მან ყვითელი ორჯერ მიიღო - შეუფერებელი საქციელისთვის არ გაუძევებიათ. საერთოდ, გუნდში დისციპლინა მნიშვნელოვანი საკითხია და უდისციპლინოს არ გავაჩერებ.

**- ნაკრებში გამოიძახეთ სათამაშო პრაქტიკის არმქონე თქვენი შვილი, როდესაც არ მიიწვიეთ ლოკომოტიველი ჯიქია, რომელიც თამაშობს და ბევრი გოლიც გააქვს...**

- ნაკრებში ყველა ჩემი შვილია! ნიკა შვეიცარიულ "ვანდიში" თამაშობდა, თუმცა, პროფესიონალური კონტრაქტის არქონის გამო იქ აღარ გააჩერეს და ბოლოს "გაგრაში" ვარჯიშობდა. "დინამოში" რამდენიმე წელი ვიმუშავე და დაუმსახურებლად მეგობრების შვილები გუნდში არ დამიტოვებია. საკუთარი თავის მტერი კი არ ვარ - ვერც თქვენ და ვერც გულშემატკივარს ვერ მოვატყუებ. ჯიქიას მიუწვევლობის მიზეზი სხვა რამ არის: ეს 1994-წლიანების ტურნირია და თავის დროზე, ეროვნულ ნაკრებში დაშვებული შეცდომის გამეორება არ მსურდა, როდესაც ახალგაზრდები ნაადრევად დააწინაურეს და, ფაქტობრივად, კარიერა დაასრულებინეს. გუნდში არა - ნაცნობობით, არამედ, საუკეთესოებს ვიძახებ.

**- ასეთ ტურნირებს სელექციონერები ესწრებიან და რომელიმე ფეხბურთელით ხომ არ დაინტერესდნენ? რას იტყვით ბაჩანა არაბულსა და ლუკას ჰუფნაგელზე?**

- ნაკრები სავაჭრო ცენტრი არ არის და სელექციონერებთან ურთიერთობა ჩემი საქმე არაა. თუმცა, ინტერესი იქნებოდა. დიდი ხანია, რაც არაბულს ვიცნობ. საინტერესოა, რატომ არავის იკითხა, ერთი წლის უთამაშებელი ნაკრებში რატომ მივიწვიე. იმიტომ, რომ აქცენტს ნიჭიერებზე ვაკეთებთ და ყველა ასეთი გვჭირდება. არაბული შეკრებაზე ნელ-ნელა შედიოდა ფორმაში. რამდენიმე ტურნირზე მის წაყვანა-არწაყვანაზე ვფიქრობდით, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვენდე და ნდობა გაგვიმართა.

**ნიკა ჭანტურია:** *"ჩვენ მიზანს მივაღწიეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით. მასპინძელ ხორვატიასთან მატჩის ფრედ დასრულებაც შეგვეძლო. აზერბაიჯანთან უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ მოედანმა ფეხბურთის თამაშის საშუალება მოგვისპო. ამავე დროს, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტითაც ვერ ვისარგებლეთ და მეტოქემ დაგვსაჯა. ისლანდიასთან ჩვენი კაპიტანი და ლიდერი სანდოხაძე გვაკლდა, მაგრამ ბიჭებმა მოედანზე გული დავდეთ და ელიტ რაუნდში გავედით".*

**ნიკა სანდოხაძე:** *"ჩემი მისამართით ნათქვამი სიტყვებისთვის თანაგუნდელებს და მთავარ მწვრთნელს მადლობას ვუხდი. სამი ურთულესი შეხვედრა ჩავატარეთ. მართლაც შეგვეძლო, ხორვატიასთან არ წაგვეგო. აზერბაიჯანს კი ვჯობდით, მაგრამ მხოლოდ ფრეს დავჯერდით. ისლანდიასთან ურთულესი მატჩი გვქონდა, რადგან მოგების გარდა, არაფერი გვაწყობდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000

დავით თავართქილაძე

# საკითხავი, აი, ეს არის: როგორ გავხდი იდიოტი

ხვალ დიდი დღეა: ლიხს იქით ქართული კლასიკო გაიმართება, დედაქალაქში კი საქართველოს 17-წლამდელები შოტლანდიას შეხვდებიან და შესაძლოა, ფრითაც გაინაღდონ ჯგუფიდან გასვლა.

შოტლანდიას **დინ გორე** წვრთნის, სურინამული წარმოშობის ჰოლანდიელი, ვისაც ამსტერდამის "აიაქსში" **შოთა არველაძესთან** ერთად უთამაშია. ჰოლანდიელი მწვრთნელები ასეთები არიან, ერთი ქვეყნიდან მეორეში ხეტიალი არ ეზარებათ, მოგზაურობა და სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობა მათ თითქოს სისხლში აქვთ, ყოველივე ეს ჰოლანდიური სამწვრთნელო სკოლის ნაწილია.

საკითხავი ისღა რჩება, დინ გორეს ხელში სქოთი თინეიჯერები ბრიტანულად თამაშობენ თუ ჰოლანდიურად.

**გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი ქართველები კი ქართულად თამაშობენ, ინდივიდუალურად უფრო გამოსდით შეტევა, ვიდრე გუნდურად. ამ ბიჭებისთვის ეს ტურნირი საერთაშორისო კარიერის დასაწყისია. ასაკი ისეთია, შესაძლოა, დღეს ვიღაც სხვაზე მეტად ჩანდეს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ თაობიდან ისეთები დაწინაურდნენ, ახლა რომ არ უწინასწარმეტყველებენ დიდ წარმატებებს.



ლუკა ზარანდია (ბურთით) — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ყველაზე გამორჩეული **ლუკა ზარანდია** ჩანს: უკრაინასთან ისეთი სოლო-რეიდი შეასრულა, რომ ამის გამკეთებელი არც უკრაინის ნაკრებში ჩანდა და ალბათ არც სქოთებში გამოჩნდება. საბოლოოდ, უკრაინამ გვაჯობა, ჯანი, მოძრაობა, შეტევის ორგანიზება – სლავები ყველაფერში ჩვენებზე წინ იყვნენ. მაგრამ ეგ არაფერი, ჯანი ქართველებსაც მოუვათ სწორი ვარჯიშით, ნიჭი კი ისეთია, სირბილით, ტრენაჟორითა თუ სწორი განათლებით რომ ვერ გამოიმუშავებ.

ქართველებმა უკრაინასთან მარცხის შემდეგ ლუქსემბურგს მოუგეს, თუმცა მოწინააღმდეგის ერთ ახმახ თავდამსხმელს ვერაფერი მოუხერხეს ლუქსემბურგი ყოველთვის აუტსაიდერია რაგინდარა ტურნირში, მაგრამ ევროპის ფეხბურთის ანი და ბანი მათაც იციან – ჩაწოდება და თავური.

**ექტორ კუპერი** "სამშაბათობებს" რომ მართავდა საგურამოში, პირველად ალბათ მაშინ დარწმუნდა იმაში, ქართველ ფეხბურთელებს რაღაც-რაღაცეები რომ არ შეუძლიათ. კუპერის ერთ-ერთი "სამშაბათობა" ფლანგზე გახსნას და ხეირიან ჩაწოდებას მოიცავდა, მაგრამ არგენტინელს ნერვები დაეწყდა – ჩაწოდების ხეირიანად შემსრულებელი ფეხბურთელი მოედანზე არ აღმოჩნდა. რადგან ჩამწოდებელი ვერ მოიძებნა, შესაბამისად თავის დამრტყმელიც სანთლით საძებარი გახდა.

როგორც ყველგან, ფეხბურთშიც პიროვნება ქმნის ისტორიას. სანამ ის ამხელა საქმეს შეეჭიდება, ჯერ საკუთარი თავი აქვს შესაქმნელი. ზარანდია მართლაც საინტერესო ფეხბურთელი ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ თვალსაწიერის გაფართოებას წიგნების კითხვითაც ახერხებს. მითხრა, ახლა ამ წიგნს ვკითხულობო: "როგორ გავხდი იდიოტი".



დინ გორე

რომანი ფრანგ მწერალს, **მარტენ პაჟს** ეკუთვნის, წიგნი კი იმაზეა, რომ მართლა ინტელექტუალებს უჭირთ ამ სამყაროსთან საერთო ენის გამონახვა და გამოსავალი თავის გაიდიოტებაა. პაჟი 25 წლის იყო, ეს წიგნი რომ დაწერა და ფრანგი ახალგაზრდებისთვის სათაყვანებელი მწერალიც გახდა. "როგორ გავხდი იდიოტი" ქართულადაც არის ნათარგმნი და ვინაიდან თხელყდიან წიგნად არის გამოცემული, მისი შეძენა ყველასთვის ხელმისაწვდომია. ვფიქრობ, ზარანდია მხოლოდ ფეხბურთის კარგი თამაშით როდია მისაბაძი თანატოლებისთვის და მასზე უმცროსი ფეხბურთელებისთვის, ის უკვე საინტერესო ადამიანად ყალიბდება.

17-წლამდელთა ამ ნაკრებში მხოლოდ ზარანდია როდია ნიჭიერი, ვინ იცის, იქნებ სხვამ უფრო კარგადაც გაიკაფოს საფეხბურთო გზა. ზარანდია და **ცოტნე მესხი** არნემის "ვიტესში" მიდიან, სულ სხვა ასპარეზზე მოუწევთ გასვლა, სადაც საკუთარ თავთან მარტო დარჩებიან – ევროპა კარგიც არის და მკაცრიც, ჩააგდე თამაში, შენს ადგილს სხვა დაიკავებს, იქ აღარ იტყვიან, ნიჭიერია, მაგრამ ხასიათის გამო სათანადოდ არ არის მომზადებული ფიზიკურადო.

ჩვიდმეტწლამდელების ხვალინდელი შეხლა კარგი სანახავი უნდა იყოს, მაგრამ საფეხბურთო ცენტრი მაინც ქუთაისი იქნება, სადაც უკვე კაცები გაარკვევენ, ვინ ვისზე ძლიერია.



## ქართული ფეხბურთი

სიტუაცია

# გია ხურციძე – ... ასე ჩამომართვეს ტორპედო

**თბილისის "დინამოსა" და გორის "დილას" შემდეგ კლუბის დაბრუნების სურვილი ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილმა მეპატრონემ, გია ხურციძემაც გამოთქვა. ხურციძე "ლელოს" დაუკავშირდა და მოუყვა, თუ რა გადახდა:**

- მე ვიყავი ქუთაისის „ტორპედოს" მეპატრონე და გუნდი ზეწოლის შედეგად დამათმობინეს. 2005 წელს ყოფილმა მეპატრონემ ზურაბ ხინიკაძემ "ტორპედოს" ლიკვიდაცია გამოაცხადა; იმ გუნდის, რომელიც ოთარ გაბელიამ გაჭირვებაში საქართველოს ვიცე-ჩემპიონობამდე მიიყვანა. გუნდში ფეხბურთელი არ დარჩა, მერიას სახსრები არ ჰქონდა, უმაღლესი ლიგის საწევრო 30 ათასი ლარი რომ შეეტანა და "ტორპედო" გადასარჩენი იყო. ქუთაისის უფეხბურთოდ დატოვება საცოდაობა იქნებოდა და რადგან მაშინ ბიზნესი მქონდა, კლუბის მიხედვა გადავწყვიტე.

ქუთაისის სპორტის სამსახურის უფროსს დაველაპარაკე. ქალაქის მერიამ ახალი კლუბის დაფუძნებაზე უარი თქვა და როდესაც ხინიკაძესთან ყველაფერი გავარკვიე და პრეტენზია არ ჰქონდა, "ტორპედო" კანონიერად გადმოვიფორმე. დავიწყე ნულიდან, რასაც ხალხი დაადასტურებს. ქალაქში ფეხბურთი რომ არ ჩამკვდარიყო, შეძლებისდაგვარად, ბავშვთა სკოლასაც ვეხმარებოდი. კლუბის 60 პროცენტი ჩემი იყო, მაგრამ 40 პროცენტი თურქ ბიზნესმენს გადავეცი, რომელსაც "ტორპედო" აინტერესებდა. მაგრამ თურქი შემდეგ აღარ დაგვეხმარა, მხოლოდ ჩემი სახსრები კლუბს არ ჰყოფნიდა და პარტნიორობა "სამი ტუზის" მეპატრონეს შევთავაზე, რომელიც მაშინ საკმაოდ ძლიერი ბიზნესმენი იყო.

ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მთავარ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილი მოვიყვანე, მაგრამ ფეხბურთელები არ გვყავდა და ხალხი ლამის ქუჩაში შევკრიბეთ. ახალგაზრდული გუნდი გამოგვივიდა, რომელმაც უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. საკმაოდ ბევრი ვიწვალეთ, "ტორპედო" რომ შეგვენარჩუნებინა. 2005/2006 წლებში, სანამ გუნდი ჩემი იყო, დაახლოებით 700 ათას დოლარამდე დავხარჯე.

მაგრამ 2006 წლის ზაფხულში პროკურატურაში დაკითხვაზე დამიბარეს, ნახევარ საათში დამაკავეს და მედავებოდნენ, თითქოს, რუსეთიდან "შავი სამყარო" ფულს მიგზავნიდა, მე კი – "ვათეთრებდი". ბრალდება კატეგორიულად უარვყავი. ან რატომ ვაღიარებდი, როდესაც მოსკოვში სპირტის ბიზნესი მქონდა და რუსები საქონლის შესაძენად ფულს მირიცხავდნენ, ლამაზი თვალებისთვის ხომ არ ვუგზავნიდი?

მერე უთქვამთ, არ გვეგონა, შავი სამყაროს დაუხმარებლად პატარა ბიჭი ამხელა ბიზნესს თუ აწარმოებდაო. სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს არეულმა ურთიერთობებმაც გავლენა მოახდინა და დამაკავეს. მაგრამ ბრალდება ვერ დამიმტკიცეს და ქუთაისის "ტორპედოში" შევიდნენ.

**- ანუ დაკავებამდე "ტორპედოს" დათმობაზე არაფერს გეუბნებოდნენ?**

- მანამდეც იყო დაბარებები, რომ გუნდის 20 პროცენტს თუ არ გადმოგვიფორმებ, პრობლემები შეგექმნებაო. მაგრამ არ ვთანხმდებოდი და მერიას წილში შემოსვლას ვთავაზობდი, თქვენი თუნდაც 70 პროცენტი იყოს, მაგრამ ერთიანი ძალებით "ტორპედოს" უკეთ ვარჩენთ-მეთქი. გუნდი მთლიანად რატომ უნდა დამეთმო?

ამის შემდეგ "ტორპედოს" მთლიანად ჩუქება მოინდომეს და კაცი მომიგზავნეს, თუ უარს იტყვი, დაგიჭერენო. მართლაც ასე მოხდა და ნახევარი წელიწადი ვიყავი დაკავებული. "ტორპედოში" საეჭვო ვერაფერი ნახეს, მაგრამ მაინც "მომიძებნეს": გუნდის ძველ მეპატრონეს ანგარიშზე ჰქონდა დარჩენილი უეფადან ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის დარიცხული 29 300 ლარი. ხინიკაძემ კეთილი ნება გამოიჩინა და ეს ფული ჩვენ დაგვითმო. გადავწყვიტე, ამ თანხით ავტობუსი შემეძინა, საფეხბურთო სკოლის გუნდებს რომ მოეხმარათ. ხელშეკრულება გავუფორმე პიროვნებას, რომელსაც ავტობუსი საბერძნეთიდან უნდა ჩამოეყვანა. ამას საბერძნეთის ელჩიც ადასტურებდა, რომელსაც პირადი გარანტიებით ვთხოვე ჩამომყვანისთვის ვიზის გაცემა. მერე მედავებოდნენ, ეს თანხა შემოსავლებში უნდა გაგეტარებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაგერიცხათ ავტობუსის შესაძენადო.

**- მოკლედ, ბუღალტერიაში შეცდომა დაუშვით?**

- შეცდომა იყო, მაგრამ ამის გამო ხალხს აჯარიმებენ, რა შუაში იყო კლუბის გადაფორმება? ხომ გესმით, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს "ტორპედოს" ყველა გზით დაბრუნება სურდათ. მეც სხვა გზა არ მქონდა, კლუბი დავთმე და ის შემდეგ მთლიანად "სამი ტუზის" მეპატრონეს გადასცეს.

ყველაზე საინტერესო მერე მოხდა: მას არაფერი ჰკითხეს, ახალი შპს ჩამოაყალიბეს, დანიშნეს ახალი პრეზიდენტი, გუნდი გადაიფორმეს და ასე იხილა მზის სხივი ახალმა ქუთაისის "ტორპედომ"! ასეთი რამ სადმე, ვინმესგან გსმენიათ?!

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ 2008 წელს გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა და მხოლოდ 2010-ში დაბრუნდა. 2010 წლის აპრილში საქართველოში მეც დავბრუნდი და ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა შემომითვალა, გუნდს ახალი მეპატრონე, "ვისოლი" მოვუძებნეთ და ხმა არ ამოიღო და ხელი არ შეგვიშალო, თორემ, დაგიჭერთო. რა მექნა, კედლისთვის თავი მერტყა? არადა, იმ პერიოდში გუნდის დაბრუნება მსურდა.

**- "ვისოლმა" ქუთაისის "ტორპედო" მხოლოდ წლების შემდეგ აიყვანა და ფაქტია, რომ გუნდისთვის ბევრი გააკეთა.**

- ამას არავინ უარყოფს. მე შურისძიება არც მამოძრავებს, მიხარია, რომ "ვისოლმა" გუნდი ფეხზე დააყენა და აქვე გარკვევით ვამბობ: "ვისოლმა" ქუთაისში ფეხბურთის განვითარებისთვის ბევრი რამ გააკეთა და სულაც არ მინდა, შრომა წყალში ჩავუყარო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კლუბი მე არ მეკუთვნოდა.

**- ვთქვათ, სასამართლომ თქვენი სარჩელი რომ დააკმაყოფილოს, "ტორპედოს" მინიმუმ "ვისოლივით" შეინახავთ?**

- თავის დროზე თურქებს კლუბში მოსვლა შემდეგი პირობით სურდათ: თუ კლუბს სტადიონსა და ბაზას გადასცემდნენ, ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციაში 10 მილიონ დოლარს ჩადებდნენ. ეკონომიკის სამინისტროს მივწერე, რომ ამა და ამ შემთხვევაში 10 მილიონ დოლარს ჩავდებდით და მალე დამიჭირეს. ეტყობა, იფიქრეს, რომ ეს ფული მე მქონდა?!

თუ გახსოვთ, "ტორპედო" "ვისოლს" სტადიონთან და ბაზასთან ერთად დაუთმეს. ეს აპრობირებული ფორმაა - ბიზნესს კლუბის ინფრასტრუქტურასთან ერთად გადაცემით დააინტერესებ და პარტნიორებს მოძებნი. ასეთ ვითარებაში პარტნიორის პოვნა არ გამიჭირდება, რადგან ეს სტადიონი და ბაზა საკმაოდ ძვირადღირებულია.

სხვათა შორის, ჩემი კლუბში ყოფნის პერიოდში, საღორიას ბაზა გავარემონტე და ავეჯი და საჭირო ტექნიკა შევიტანე. ეს ყველაფერი, პლუს საკუთარი მანქანა და ბიზნესიც კი ჩამომართვეს და საერთოდ გამანადგურეს! რადგან "ვისოლმა" ბევრი გააკეთა, ნართმეულის დაბრუნებასა და სამართლიანობის აღდგენაზე აღარ ვიფიქრო?

**- ახლა რას აპირებთ?**

- ჩემი ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის საადვოკატო კომპანიასთან კონსულტაციები გავიარე და სასამართლოში სარჩელის შეტანაზე ვფიქრობ. ახალ მეპატრონესთან შეხვედრას ვაპირებ და იმედია, გამიგებენ, რაც მტკივა და მაწუხებს. ეს ადამიანურად გამართლებული იქნება. ბიძინა ივანიშვილმა თქვა კიდეც, ახლა იმდენი სარჩელი დაგროვდა, აჯობებს, ჯერ თავად სცადოთ მორიგებაო და ასეც ვაპირებ. ერთხელ გუნდის ახლანდელ მეპატრონეს შემთხვევით შევხვდით და ეს ამბები ვუთხარი. ჩვენ რა შუაში ვართ, "ტორპედო" ეკონომიკის სამინისტრომ გადმოგვცაო. მესმის, რომ ისიც უხერხულ მდგომარეობაშია, მაგრამ გამოსავალი უნდა გამოვნახოთ.

**- ბოლო დროს მსგავსი პრეტენზია სხვა ადამიანებსაც გაუჩნდათ და სულ ვფიქრობ, ეს პროცესი სადამდე მიგვიყვანს? იმედია, ამ დავებს კლუბები არ გადაჰყვებიან.**

- ცხადია, ეს მეც არ მინდა, მაგრამ საკუთრების დაბრუნების სურვილი ჩემი კანონიერი უფლებაა. როდესაც კომუნისტური ხელისუფლება გაისტუმრეს, ლატვიაში 50 წლის შემდეგ დააბრუნეს საკუთრება. ასე უნდა მოხდეს საქართველოშიც.

**მერაბ მამულაშვილი**


გია ხურციძე

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# დილა, მეტალურგი, ზესტაფონი, ტორპედო

## დინამო კვლავ ოთხასეულს მიღმაა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. სიაში, სადაც მსოფლიოს 400-ზე მეტი კლუბია შეყვანილი, საქართველოს ოთხი წარმომადგენელია, რომელთაგანაც საუკეთესო პოზიცია გორის "დილას" უკავია. საქართველოს თასის მფლობელი წინა რეიტინგში 186-ე იყო, ახლა კი 154-ე საფეხურზეა.

შემდეგ მოდის "მეტალურგი". რუსთაველი კლუბი ერთი თვის წინ 248-ე იყო, ახლა კი 288-ეა; დაქვეითდა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონიც", რომელიც 286-ედან 303-ე ადგილზე დაეშვა; ქუთაისის "ტორპედო", რომელიც გასულ თვეში 397-ე იყო, ახლა 417-ეა.

რეიტინგს კვლავ "ბარსელონა" ლიდერობს, საუკეთესო ათეულში კი ოთხი ესპანური კლუბია. ზეათეულმა ასეთი სახე მიიღო:

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. ატლეტიკო (ესპანეთი)
3. უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)
4. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
5. რეალი (ესპანეთი)
6. ჩელსი (ინგლისი)
7. ბაიერნი (გერმანია)
8. კორინთიანსი (ბრაზილია)
9. ბილბაო (ესპანეთი)
10. ტვენტე (ჰოლანდია)

**ლევან ჯანეზაშვილი**

საბაზრო ღირებულება

# დილამ დინამოს გადაასწრო

ისტორიულის რა გითხრათ, მაგრამ მოვლენა ნამდვილად არის: მას შემდეგ, რაც გერმანული ინტერნეტ-სააგენტო "ტრანსფერმარკტი" გუნდებისა და მოთამაშეების მიახლოებით ფასებს აქვეყნებს, გორის "დილა" პირველად გახდა საქართველოს ყველაზე ძვირადღირებული კლუბი.

გორელების წინსვლა გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც კლუბის მიახლოებით ფასად "ტრანსფერმარკტმა" მხოლოდ 900 ათასი ევრო დაასახელა. მაგრამ გორის კლუბი შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიყვანა და საქართველოს ნაკრების ყოფილი თუ ამჟამინდელი მოთამაშეები დაიმატა, "დილა" ჯერ სამეულში მოხვდა, მერე მეორე ადგილზე დამკვიდრდა, ახლა კი კლუბის ფასი ლამის 10-ჯერ გაიზარდა.

**უმაღლესი ლიგა 2012-13**

| | ს.ა. | გ.ს.ფ. | მ.ს.ფ. |
|---|---|---|---|
| 1. დილა | 25.9 | 8.850.000 | 295.000 |
| 2. დინამო | 24.8 | 8.650.000 | 320.370 |
| 3. ზესტაფონი | 24.6 | 5.025.000 | 193.269 |
| 4. მეტალურგი | 25.3 | 4.150.000 | 159.615 |
| 5. ტორპედო | 23.2 | 3.350.000 | 134.000 |
| 6. ზუგდიდი | 26.0 | 3.050.000 | 112.963 |
| 7. ჩიხურა | 26.1 | 2.150.000 | 71.667 |
| 8. სიონი | 26.3 | 1.825.000 | 58.871 |
| 9. კოლხეთი | 24.9 | 1.750.000 | 60.345 |
| 10. ვიტ ჯორჯია | 21.7 | 1.750.000 | 70.000 |
| 11. ბათუმი | 23.9 | 1.600.000 | 48.485 |
| 12. მერანი | 23.4 | 1.000.000 | 38.462 |

**ლიგის ჯამური ფასი – 43.150.000**

**ლიგის მოთამაშეთა საშუალო ფასი – 128.806**

*- ს.ა. – საშუალო ასაკი, გ.ს.ფ. - გუნდის საერთო ფასი, მ.ს.ფ. - მოთამაშეთა საშუალო ფასი.
* თანხები მითითებულია ევროში

**მერაბ მამულაშვილი**


გორის დილას მთავარი მწვრთნელი გიორგი დარასელია ფოტო: fcdila.ge

პირველი ლიგა, XI ტური

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სტუ - გურია | 2:3 |
| სქური - ჭიათურა | 0:0 |
| ბეთლემი - სასკო | 1:0 |
| მეშახტე - რაჭა | 1:0 |
| გაგრა - დინამო-2 | 2:3 |
| სულორი - იმერეთი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 11 | 9 | 1 | 1 | 31-10 | 28 |
| 2. სასკო | 11 | 8 | 0 | 3 | 29-12 | 24 |
| 3. გაგრა | 11 | 8 | 0 | 3 | 25-9 | 24 |
| 4. დინამო-2 | 11 | 7 | 2 | 2 | 46-17 | 23 |
| 5. სტუ | 11 | 6 | 0 | 5 | 24-25 | 18 |
| 6. იმერეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-14 | 16 |
| 6. ბეთლემი | 11 | 4 | 1 | 6 | 15-26 | 13 |
| 7. სქური | 11 | 3 | 4 | 4 | 10-16 | 13 |
| 8. ჭიათურა | 11 | 3 | 2 | 6 | 12-20 | 11 |
| 10. მეშახტე | 11 | 3 | 2 | 6 | 11-31 | 11 |
| 11. სულორი | 11 | 2 | 1 | 8 | 9-24 | 7 |
| 12. რაჭა | 11 | 0 | 2 | 9 | 10-29 | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი - სამგურალი | 5:0 |
| შუქურა - ზოოვეტი | 3:1 |
| მერცხალი - ადელი | 4:2 |
| კოლხეთი (ხ) - ჩხერიმელა | 3:0 |
| ლიახვი - სამტრედია | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 10 | 8 | 1 | 1 | 27-4 | 25 |
| 2. კოლხეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 14-9 | 22 |
| 3. ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 28-9 | 20 |
| 4. შუქურა | 10 | 6 | 1 | 3 | 17-8 | 19 |
| 5. სამტრედია | 10 | 5 | 2 | 3 | 11-7 | 17 |
| 6. სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-17 | 15 |
| 7. მერცხალი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-13 | 12 |
| 8. ზოოვეტი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-17 | 9 |
| 9. ლიახვი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-24 | 8 |
| 10. ჩხერიმელა | 10 | 2 | 0 | 8 | 9-32 | 6 |
| 11. ადელი | 10 | 1 | 0 | 9 | 10-28 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. X ტურის წინ

# ვან პერსის ფაქტორი თეატრის სცენაზე

**პრემიერლიგის X ტურს ცენტრალური თამაში ხსნის. "ოლდ ტრეფორდს" "არსენალი" სტუმრობს. შუა კვირაში ორივე გუნდმა ლიგის თასზე ითამაშა და ორივემ 5-5 გოლი გაუშვა, მაგრამ ერთი გამოვარდა, მეორე მომდევნო ეტაპზე გავიდა. "არსენალმა" "რედინგს" შემტევების ფანტასტიკური თამაშის ხარჯზე აჯობა, არსენ ვენგერმა კი თქვა, გუნდურმა სულმა იმარჯვაო. აი, "იუნაიტედის" წაგება კიდევ ბოლო წუთზე ნანის მიერ ბურთის დაკარგვას დაბრალდა. "ოცნებათა თეატრის" სცენაზე ჩემპიონატის ფავორიტების დაპირისპირებაში უმთავრესი როლი რობინ ვან პერსის ექნება. ჰოლანდიელს რთული დღე ელის.**

მანჩესტერელი "ეშმაკების" მიერ წინა ტურში "ჩელსის" დამარცხების შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა ლიგის თასზე ახალგაზრდული შემადგენლობით იმავე "ჩელსის" ვერაფერი დააკლეს. პირველი დაპირისპირების შემდეგ დიდი სკანდალი ატყდა. მატჩის არბიტრ **მარკ კლატენბურგს** "იუნაიტედის" სასარგებლოდ გადაწყვეტილებების მიღებაში დასდეს ბრალი. ამას გარდა, მსაჯს **ჯონ ობი მიკელისა** და "ლურჯების" ესპანელი ლეგიონერების შეურაცხყოფაც ბრალდება. ერთი სიტყვით, "იუნაიტედის" მიერ მოპოვებული სამი ქულის სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სწორედ ასეთ ფონზე ჩატარდა მეორე მატჩი. "იუნაიტედს" ამჯერადაც არანაკლებ დაძაბული დაპირისპირების გადატანა მოუწევს. მიზეზი **რობინ ვან პერსია**. „ოლდ ტრეფორდზე" მოკალათებული ლონდონელი ფანები პირობას სდებენ, რომ ჰოლანდიელს სერიოზული წნეხის ქვეშ მოაქცევენ. ფერგი კი იმედოვნებს, რომ ისინი კერპყოფილის შეურაცხყოფისგან თავს შეიკავებენ. მასპინძელს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. განსაკუთრებით უკანა ხაზში და ამაში ახალი არაფერია. ლიგის თასზე "ჩელსისთან" მოთამაშე სტოპერები (**სკოტ ვუტონი** და **კრის კინი**) მეორე გუნდს დაუბრუნდებიან. აშკარაა, რომ ისინი მაღალ დონეზე სათამაშოდ ჯერ მზად არ არიან. შოტლანდიელი ისევ ძველ გვარდიას დაეყრდნობა.

რაც შეეხება "არსენალს", ლონდონელებმა IX ტურშიც იმარჯვეს და არც თასის გათამაშებაში შეურცხვენიათ თავი. "რედინგთან" შესრულებული ჰეთთრიკის შემდეგ "მეთოფეთა" ხელმძღვანელობამ **თეო უოლკოტთან** კონტრაქტზე მოლაპარაკებები განაახლა. "ტელეგრაფის" მტკიცებით, კლუბი მზადაა 23 წლის გარემარბს კვირაში 10 ათასი ფუნტით მეტი გადაუხადოს, ვიდრე აქამდე სთავაზობდა. საკადრო პრობლემები "მეთოფეებსაც" აქვთ, მაგრამ არა რაიმე განსაკუთრებული.



რობინ ვან პერსის არსენალთან ფსიქოლოგიურად რთული გამოცდა ელოდება

ლონდონის "ქრეივენ კოტეჯს" "ევერტონი" სტუმრობს. მართალია, ამ ეტაპზე მერსისაიდელები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებიან, მაგრამ მაინც არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ ისინი პოტენციალით ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან. საბოლოო ჯამში, ორივესთვის მაქსიმუმი ევროპის ლიგის საგზური იქნება. ის, რომ სიურპრიზის შეთავაზება შეუძლიათ, ერთმაც და მეორემაც წელს არაერთხელ დაადასტურა. თუკი მეტოქეებმა წინა უქმეების გმირობა გაიმეორეს, მაშინ ძალიან საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს. შეგახსენებთ, რომ "ფულჰემმა" "რედინგთან" 3:3 ითამაშა, "ევერტონმა" ქალაქური დერბი 2:2 დაასრულა. მართალია, ბუკმეკერები მეტოქეთა შანსებს პრაქტიკულად თანაბრად აფასებენ, მაგრამ ჩვენი აზრით, "ევერტონმა" არ უნდა წააგოს.

"ნორვიჩი" "სტოკ სიტის" ხვდება. მართალია, "იადონებმა" ბოლო პერიოდში თამაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სტუმარს პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გასატეხი გუნდი ჰყავს. წყვილში რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ძალიან გვიჭირს.

სანდერლენდის "სტედიუმ ოფ ლაითზე" მასპინძელს მშვენიერი შანსი ეძლევა, რომ სეზონის მეორე მატჩი მოიგოს. ამისთვის **მარტინ ონილის** შეგირდებს შეტევაში ცოტა უფრო მეტი აქტიურობა მართებთ, ვიდრე წინა ტურებში. თუკი გუმანი არ გვღალატობს, ჩრდილოირლანდიელ მწვრთნელს მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს.

სუონსის "ლიბერთი სტედიუმზე" "ჩელსი" ჩადის სათამაშოდ. უელსელებმა ჩემპიონატის არნახულად დაწყების შემდეგ სერიოზული კრიზისი გადაიტანეს, რამაც **მიკაელ ლაუდრუპის** პოსტი კინაღამ შეიწირა. მას მერე დიდი დრო არ გასულა, მაგრამ "გედები" დაწყნარდნენ და ისევ ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცნენ. მათ ეს ჯერ წინა ტურში დაამტკიცეს, როცა მოქმედ ჩემპიონთან გასვლით შეხვედრაში ქულის აღებამდე ცოტა დააკლდათ, მერე უკვე ლიგის თასზეც გაიბრწყინეს, დაამარცხეს რა "ლივერპული" 3:1. ჩვენი პროგნოზით, "სუონსის" გაუჭირდება "ჩელსის" დამარცხება, მაგრამ ქულის აღება ნამდვილად შეუძლია. ევროპელი ბუკმეკერები ჩვენგან განსხვავებულ შეფასებას იძლევიან. ისინი "ლურჯების" იოლ წარმატებას წინასწარმეტყველებენ.

"უაით ჰართ ლეინზე" გაბრაზებული "ტოტენჰემი" "უიგანს" დაუხვდება. მშვენიერი სათამაშო რიტმის აკრეფის მიუხედავად "დეზებმა" ლიგის თასზე ასპარეზობა დაასრულეს. თანაც ვისთან? აუტსაიდერ "ნორვიჩთან". დარწმუნებული ვართ, მეორე აუტსაიდერი "უიგანი" ვერაფერს გააწყობს. შეიძლება ვილაცას მეტისმეტ სითამამედ მოეჩვენოს, რომ "დეზებს" ამ მატჩის უპირობო ფავორიტებად ვაცხადებთ.

"ვესტ ჰემს" ერთი, მაგრამ ისეთი პრობლემა აქვს, ხელმძღვანელობა სერიოზულად უნდა დაფიქრდეს სასწრაფო წესით მის გადაჭრაზე. შიდა რესურსების ხარჯზე ამის გაკეთება რომ შეიძლებოდეს, ვფიქრობთ, **სემ ელერდაისი** ამას დიდი ხნის წინ მოახერხებდა. "ჩაქუჩებს" შედეგიანი თავდამსხმელი სჭირდებათ. **ენდი კეროლი** და **კარლტონ კოული** ამ საქმისთვის დაბადებულნი არ არიან. ფაქტია, 9 შეხვედრაში გატანილი 13 გოლიდან მხოლოდ ერთია ფორვარდის ანგარიშზე. "სიტიზე" კი იმას ვიტყვით, რომ "ქალაქელები" წელს მგონი შარშანდელიდან გამოყოლილი ინერციით თამაშობენ. არანაირი სიახლე გუნდის თამაშში არ შეინიშნება. უშუალოდ ამ შეხვედრაში სტუმარს არ უნდა ჰქონდეს 3 ქულის აღების ცუდი შანსი.

ხვალ "ქუინზ პარკი" "რედინგს" მასპინძლობს. მასთან დაპირისპირებაში დედაქალაქელებს რეალურად შეუძლიათ პირველი სამი ქულის მოპოვება. **მარკ ჰიუზის** გუნდი უბრალოდ ვალდებულია ეს გააკეთოს.

"ლივერპულსა" და მის მთავარ მწვრთნელს სერიოზული გამოცდა ელით. "ნიუკასლი" ის გუნდი არ არის, ვისი დამარცხებაც იოლად შეიძლება. ამდენად, "წითლებმა" უნდა დაადასტურონ, რომ ბოლო ხანს მათი "ფერზე მოსვლა" მოჩვენებითი არ არის. ჩვენ თუ გვკითხავთ, მერსისაიდელები ფავორიტებად მიგვაჩნია.

X ტურს ორშაბათის ღამის შეხვედრა დაასრულებს „ვესტ ბრომვიჩსა" და "საუთჰემპტონს" შორის. მასპინძლებს შესაძლოა, გალაღება არ გამოუვიდეთ მაგრამ, წესით, 3 ქულა იოლად უნდა აიღონ.

### დღეს

**იუნაიტედი-არსენალი 16:45**

**ტრავმა:** ვიდიჩი, სმოლინგი, ჯონსი, კაგავა – ოქსლეიდ-ჩემბერლენი, როსიცკი, შჩესნი, გიბსი, ფაბიანსკი, დიაბი, ჟერვინიო

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 173 თამაში: +74=39-60 (265-230)

**ფულჰემი-ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** ბერბატოვი, ბერდი, დევისი – გიბსონი, მირალიაში

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=4-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 45 თამაში: +13=6-26 (42-77)

**ნორვიჩი-სტოკი 19:00**

**ტრავმა:** კეინი, ბანი, მარტინი – უილსონი, უელანი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +11=11-14 (43-46)

**სანდერლენდი-ასტონ ვილა 19:00**

**ტრავმა:** ბრამბლი, ლარსონი, ბრაუნი – დანი, ბეიკერი, პეტროვი, კლარკი, გარდნერი, ჰერდი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 131 თამაში: +42=33-56 (184-204)

**სუონსი-ჩელსი 19:00**

**ტრავმა:** ბარტლი, ტეილორი, ვორმი – კოული, ლემპარდი

**დისკვალიფიკაცია:** - ტერი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +0=1-1 (2-5)

**ტოტენჰემი-უიგანი 19:00**

**ტრავმა:** პარკერი, დემბელე, ასუ-ეკოტო, კაბული, ადებაიორი, ლივერმორი – კრუსატი, მიაიჩი, ალკარასი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +8=5-2 (35-14)

**ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი 21:30**

**ტრავმა:** ტეილორი, დემელი, ვას ტე, კოლისონი, დიარა – მაიკონი, კოლაროვი, გარსია, საბალეტა, რიჩარდსი, დ. სილვა, როდუელი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=2-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 83 თამაში: +31=14-38 (126-129)

### ხვალ

**ქუინზ პარკი-რედინგი 17:30**

**ტრავმა:** დაიერი, პარკი, ჯონსონი, ფაბიო - კარაჩანი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +0=3-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +4=5-8 (16-18)

**ლივერპული-ნიუკასლი 20:00**

**ტრავმა:** ლუკასი, კელი, ბორინი, ჯონსონი – ტეილორი, ელიოტი, ვუკჩიჩი, ბა, გოსლინგი

**დისკვალიფიკაცია:** - ტიოტე

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 140 თამაში: +66=34-40 (242-179)

### ზეგ

**ვესტ ბრომვ.-საუთჰემპტ. 00:00**

**ტრავმა:** ჯონსი, მაიჰილი, ლონგი, რიდი, იაკობი – რამირესი, რიჩარდსონი, კორკი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 39 თამაში: +11=16-12 (44-49)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 21-9 | 22 |
| 2. იუნაიტედი | 9 | 7 | 0 | 2 | 24-13 | 21 |
| 3. სიტი | 9 | 6 | 3 | 0 | 18-9 | 21 |
| 4. ტოტენჰემი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-13 | 17 |
| 5. ევერტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 17-11 | 16 |
| 6. არსენალი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-6 | 15 |
| 7. ფულჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 19-14 | 14 |
| 8. ვესტ ჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 10. ნიუკასლი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-13 | 13 |
| 11. სუონსი | 9 | 3 | 2 | 4 | 14-13 | 11 |
| 12. ლივერპული | 9 | 2 | 4 | 3 | 12-14 | 10 |
| 13. სტოკი | 9 | 1 | 6 | 2 | 8-9 | 9 |
| 14. სანდერლენდი | 8 | 1 | 6 | 1 | 6-8 | 9 |
| 15. უიგანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-16 | 8 |
| 16. ნორვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-18 | 7 |
| 17. ასტონ ვილა | 9 | 1 | 3 | 5 | 7-14 | 6 |
| 18. რედინგი | 8 | 0 | 4 | 4 | 11-17 | 4 |
| 19. საუთჰემპტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 14-26 | 4 |
| 20. ქუინზ პარკი | 9 | 0 | 3 | 6 | 7-18 | 3 |

პრემიერლიგა

## რეკორდთან ახლოს

ოქტომბრის ბოლოსთვის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში დასწრების საშუალო მაჩვენებელმა შარშანდელთან შედარებით 4%-ით მოიმატა. თუკი ტენდენცია შენარჩუნდება, სტატისტიკოსთა თქმით, ჩემპიონატი რეკორდულ ნიშნულს გადალახავს. ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში პრემიერლიგის მატჩებზე ყველაზე მეტი მაყურებელი იანვრის ბოლოდან მარტის ბოლომდე დადის, რაც ძირითადად უცხოელი ფანების ზრდის ხარჯზე ხდება. ეს ფაქტორი რეკორდის დამყარების შანსს ერთი ორად ზრდის. საუკეთესო შედეგი ამ მხრივ 2007/08-ის სეზონზე მოდის. მიმდინარე სეზონი შეიძლება რეკორდული იყოს არამხოლოდ საშუალო დასწრების, არამედ მაყურებელთა საერთო რაოდენობის მხრივაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისის უმაღლეს ლიგაში, როგორც წესი, 22 გუნდი თამაშობდა ხოლმე და არა 20, გამოდის, რომ უჩვეულო შედეგთან გვაქვს საქმე. გთავაზობთ ცხრილს, სადაც მოცემულია პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე მაყურებელთა დასწრების მონაცემები.

| სეზონი | საერთო დასწრ. | თამ. რაოდ. | საშუალო დასწრება |
|---|---|---|---|
| 1992/93 | 9.759.809 | 462 | 21.125 |
| 1993/94 | 10.664.551 | 462 | 23.040 |
| 1994/95 | 11.213.168 | 462 | 24.271 |
| 1995/96 | 10.469.107 | 380 | 27.550 |
| 1996/97 | 10.804.762 | 380 | 28.434 |
| 1997/98 | 11.092.106 | 380 | 29.190 |
| 1998/99 | 11.620.326 | 380 | 30.580 |
| 1999/2000 | 11.668.497 | 380 | 30.707 |
| 2000/01 | 12.472.094 | 380 | 32.821 |
| 2001/02 | 13.043.118 | 380 | 34.324 |
| 2002/03 | 13.468.965 | 380 | 35.445 |
| 2003/04 | 13.303.136 | 380 | 35.008 |
| 2004/05 | 12.878.791 | 380 | 33.892 |
| 2005/06 | 12.781.643 | 380 | 33.636 |
| 2006/07 | 13.058.115 | 380 | 34.363 |
| 2007/08 | 13.708.875 | 380 | 36.076 |
| 2008/09 | 13.527.815 | 380 | 35.600 |
| 2009/10 | 12.979.882 | 380 | 34.158 |
| 2010/11 | 13.372.318 | 380 | 35.190 |
| 2011/12 | 13.149.095 | 380 | 34.603 |
| 2012/13 | 13.753.182 | 380 | 36.193 * |

* პროგნოზი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### საფრანგეთი. ლიგა 1. XI ტურის წინ



ბლეზ მატუიდი ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება

# მწვანეები პარიზში

**მე-11 ტურის გამორჩეული მატჩი შაბათს, "პარკ დე პრენსზე" გაიმართება, სადაც ლიგა 1-ში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი პსჟ საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონს, "სენტ ეტიენს" უმასპინძლებს. ორივე გუნდმა შუა კვირაში ლიგის თასზე ითამაშა და წარმატებასაც მიაღწია – პსჟ-მ შინ "მარსელს" მოუგო, ხოლო "მწვანეებმა" სტუმრად "სოშო" დაამარცხეს და ახლა ეს გუნდები ერთმანეთს ლიგის თასის 1/4-ფინალში, "ჟოფრუა-გიშარზე" შეხვდებიან.**

| ბრესტი-ლორიანი | 2:0 |
|---|---|
| **დღეს** | |
| პსჟ-სტ. ეტიენი | 20:00 |
| ტრუა-მონპელიე | 23:00 |
| ევიანი-ლილი | 23:00 |
| ნიცა-ნანსი | 23:00 |
| რენი-რეიმსი | 23:00 |
| ვალანსიენი-სოშო | 23:00 |
| **ხვალ** | |
| აიაჩო-მარსელი | 17:00 |
| ლიონი-ბასტია | 20:00 |
| ბორდო-ტულუზი | 00:00 |

„სენტ ეტიენმა", „პარი სენ ჟერმენი" ბოლოს 2008 წელს დაამარცხა, როდესაც მუჰამადუ დაბოს გოლით 1:0 მოიგო - იქიდან მოყოლებული გუნდებმა 7 მატჩი გამართეს, აქედან 5 პსჟ-მ მოიგო, 2 კი ფრედ დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებს პარიზში სულ 31 მატჩი აქვთ ჩატარებული და „სენტ ეტიენმა" მხოლოდ ორი თამაშის მოგება მოახერხა – პირველად 1971/72 წლების სეზონში, რაც მათი პირველი დაპირისპირება იყო ლიგა 1-ში და მეორედ 2006/07 წლების სეზონში. ასე რომ, „მწვანეებს" პარიზში თამაში ისტორიულად უჭირთ.

**კარლო ანჩელოტის** კვლავ არ ეყოლება **ესეკიელ ლავეცი**, რომელიც ტრავმას იშუშებს. ასევე ლაზარეთში არიან: **ტიაგო მოტა, კევინ გამეირო** და **ნენე**.

**კრისტოფ გალტიეს** გუნდმა ჩემპიონატი საკმაოდ კარგად დაიწყო და ამჟამად 15 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს. „სენტ ეტიენს" 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და მის დასრულებას არც პარიზში აპირებს. გუნდის ლიდერმა და საუკეთესო ბომბარდირმა, **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** „სოშოსთან" ლიგის თასის თამაში, ბოლო ტურში, „რენის" ფეხბურთელ, **ჟან-არმელ კანა-ბიიკთან** შეჯახების გამო გამოტოვა. ლიგის თასის შეხვედრაში კი, დაზიანება **ჟან-პასკალ მინიომ** მიიღო. შაბათს, ამ უკანასკნელის თამაში გამორიცხულია, ობამეიანი კი ალბათ ძირითადში იქნება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსჟ (4-3-2-1):** *სირიგუ – ვან დერ ვილი, ტიაგო სილვა, ალექსი, მაქსველი – მატუიდი, ვერატი, სისოკო – მენეზი, პასტორე – იბრაჰიმოვიჩი.*

**სენტ ეტიენი (4-3-2-1):** *რუფიე – კლერი, პერენი, ბაიალი, ბრისონი – კლემანი, გილავოგი, კოადი – ამუმა, ობამეიანი – ბრანდაო.*

არანაკლებ საინტერესო მატჩი ბორდოში უნდა გაიმართოს, სადაც „ჟირონდელებთან" სტუმრად მეორე ადგილზე მყოფი „ტულუზი" ჩადის. ფრანსის ჟილოს გუნდი, წინა ტურში „ბასტიასთან" დამარცხდა, რაც „ბორდოსთვის" ამ სეზონში პირველი მარცხი იყო. „ტულუზი" კი შესანიშნავად გამოიყურება და „სენტ ეტიენის" მსგავსად, ამ გუნდსაც 5-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. შუა კვირაში ამ გუნდებმაც ითამაშეს და ორივე დამარცხდა. „ბორდომ" სტუმრად „მონპელიესთან" წააგო, **ალენ კაზანოვას** გუნდი კი „ლილთან", დამატებით დროში დამარცხდა.

მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი არ აქვთ და მე-11 ტურის შეხვედრისთვის ოპტიმალური შემადგენლობით ემზადებიან, სტუმრებს კი რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლებათ, კერძოდ: **სტივი იაგო** „ლილთან" გაძევების გამო არის დისკვალიფიცირებული, ხოლო **ემანუელ რივიერი** და **ჯონათან ზებინა** ტრავმირებულნი არიან, თუმცა მათი თამაშის შანსი მაინც არის.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „მარსელი" კორსიკას ეწვევა და „აიაჩოს" დაუპირისპირდება. „ოლიმპიკს" სტუმრად „აიაჩოსთან" ბოლო 3 მატჩი აქვს წაგებული და უკანასკნელად კუნძულზე 2003 წელს მოიგო. **ელი ბოპს** მხოლოდ როდ ფანი არ ეყოლება, რომელმაც პსჟ-სთან, ლიგის თასზე, წითელი ბარათი მიიღო.

ამ ტურში მეორე „ოლიმპიკიც" კორსიკულ გუნდს ხვდება, ოღონდ „მარსელისგან" განსხვავებით, „ლიონი" „ბასტიას" შინ ეთამაშება და აშკარა ფავორიტიც არის. ამ სიტყვების დასტურად სტატისტიკაც გამოდგება – „ბასტიამ", „სტად ჟერლანზე" ბოლოს 1997 წელს მოიგო...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 10 | 6 | 4 | 0 | 16-5 | 22 |
| 2. ტულუზი | 10 | 5 | 4 | 1 | 18-10 | 19 |
| 3. მარსელი | 9 | 6 | 1 | 2 | 12-8 | 19 |
| 4. ლიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| 5. სენტ ეტიენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-7 | 15 |
| 6. ვალანსიენი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-11 | 15 |
| 7. რეიმსი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-8 | 15 |
| 8. ბორდო | 10 | 3 | 6 | 1 | 12-10 | 15 |
| 9. ლორიანი | 11 | 3 | 6 | 2 | 19-21 | 15 |
| 10. ლილი | 10 | 3 | 5 | 2 | 13-12 | 14 |
| 11. ბასტია | 10 | 4 | 2 | 4 | 15-21 | 14 |
| 12. რენი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-14 | 13 |
| 13. ბრესტი | 11 | 4 | 1 | 6 | 11-17 | 13 |
| 14. მონპელიე | 10 | 3 | 2 | 5 | 15-15 | 11 |
| 15. აიაჩო | 10 | 3 | 4 | 3 | 10-13 | 11 |
| 16. ნიცა | 10 | 1 | 6 | 3 | 13-16 | 9 |
| 17. ევიანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-15 | 8 |
| 18. სოშო | 9 | 2 | 1 | 6 | 8-14 | 7 |
| 19. ტრუა | 10 | 1 | 3 | 6 | 10-19 | 6 |
| 20. ნანსი | 10 | 1 | 2 | 7 | 3-16 | 5 |

** აიაჩო – 2 ქულა*

**ბომბარდირები:** 10 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 7- ბენ იედერი (ტულუზი); 6 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 5 – ალიადიერი (ლორიანი), ს. კამარა (მონპელიე), ჟინიაკი (მარსელი), გომისი (ლიონი), ხელიფა (ევიანი), ა. ლე ტალეკი (ვალანსიენი).

### სამხრეთ ამერიკა. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. I მატჩები

# არგენტინელებს გაუჭირდათ

| უნივ. დე ჩილე-სან პაულო | 0:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ვილიან ჟოზე (8), 0:2 ვილიან ჟოზე (19).

| სერო პორტენიო-ტიგრე | 1:0 |
|---|---|

**გოლი:** 1:0 რ. ნანი (2).

| ინდეპენ.-უნივ. კათოლ. | 2:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ანდია (3), 1:1 ტულა (45), 2:1 ვილიაფანესი (56), 2:2 ნ. კასტილიო (70).

კოპა სუდამერიკანაზე 1/4 ფინალის დარჩენილი 3 მატჩიც გაიმართა და ერთი ნახევარფინალისტი თითქმის გაირკვა. საუბარი, რა თქმა უნდა, „სან პაულოზე" გვაქვს, რომელმაც სტუმრად, ტურნირის მოქმედი გამარჯვებული „უნივერსიდად დე ჩილე" დაამარცხა. სტუმართა მხრიდან ორივე გოლი, ახალგაზრდა **ვილიან ჟოზემ** გაიტანა და ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა 90-პროცენტით გაარკვია.

„უნივერსიდად დე ჩილემ", ბოლო 10 თვეში, რამდენიმე ლიდერი გაყიდა, რაც გუნდის თამაშზე აისახა. აი ის მოთამაშეები, ვინც ჩილელებმა, იანვრიდან მოყოლებული გაყიდეს: **ედუარდო ვარგასი** (ნაპოლი), **მარკოს გონსალესი** (ფლამენგო), **მარსელო დიასი** (ბაზელი), **ხუნიორ ფერნანდესი** (ბაიერი), **ანხელ ენრიკესი** (მანჩესტერ იუნაიტედი). ყველა ეს ფეხბურთელი (ენრიკესის გარდა, რომელიც ჯერ ძალიან პატარაა) ჩილეს ნაკრების წევრია.

„სერო პორტენიომ" არგენტინელის გოლით მოუგო არგენტინულ „ტიგრეს", თუმცა მინიმალური ანგარიში პარაგვაელებს დამშვიდების საშუალებას არ უნდა აძლევდეს. რობერტო ნანიმ ანგარიში მეორე წუთზე გახსნა და სტუმარმასპინძელთა უამრავი მცდელობის მიუხედავად, ამ შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა.

ყველაზე უხვგოლიანი მატჩი კი აველანედაში გაიმართა, სადაც „ინდეპენდიენტემ" მეორე ჩილურ გუნდს, „უნივერსიდად კათოლიკას" უმასპინძლა და მხოლოდ ფრე გამორჩა. არგენტინელებს ამერიკო გალეგოს მოსვლის შემდეგ საქმე აშკარად უკეთესობისკენ წაუვიდათ და ჩემპიონატში თავს 3-მატჩიანი მოგებათა სერიითაც იწონებენ. მასპინძლები 56-ე წუთზე, ლუკას ვილიაფანესის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ **ნიკოლას კასტილიომ** 70-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა, რომლის წყალობითაც, ამ წყვილში ფავორიტი უკვე „უნივერსიდად კათოლიკაა".

მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები 8 და 9 ნოემბერს გაიმართება, ხოლო „მილიონარიოსი"-"გრემიო" (პირველი მატჩი 0:1) 16 ნოემბერს შედგება.



უნიჭიერესმა ვილიან ჟოზემ დუბლი შეასრულა

### აშშ. MLS. პლეი ოფი. წინასწარი ეტაპი

# ბექჰემი, კინი და დონოვანი მომდევნო ეტაპზე

| ჩიკაგო-ჰიუსტონი | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბრუინი (12), 0:2 ბრუინი (46), 1:2 ალექსი (83).

| ლოს ანჯელ.-ვანკუვერი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მეტოქსი (3), 1:1 მაგი (69), 2:1 დონოვანი (73-პენ).

ამერიკის შეერთებულ შტატებში, „მეიჯორ ლიგ სოკერის", იგივე MLS-ის ყველაზე საინტერესო, პლეი ოფის ეტაპი დაიწყო. წინასწარ ეტაპზე ერთმანეთს კონფერენციებში 4-5-ე ადგილებზე გასული გუნდები შეხვდნენ.

აღმოსავლეთ კონფერენციაში „ჩიკაგო ფაიერმა", „ჰიუსტონ „დინამოს" უმასპინძლა და 1:2 წააგო. სტუმართა მხრიდან ორივე ბურთი, გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **ვილი ბრუინმა** გაიტანა. „ჩიკაგოს", „ჰიუსტონთან" ბოლო 5 მატჩი არ ჰქონდა წაგებული და მაინცდამაინც ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა დათმო. „დინამო", ამ გამარჯვების წყალობით, კონფერენციის 1/2-ფინალში გავიდა, სადაც „სპორტინგ კანზას სიტის" დაუპირისპირდება. ორმატჩიანი დუელის პირველი შეხვედრა 4 ნოემბერს, ჰიუსტონში გაიმართება. ამავე კონფერენციის მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ვაშინგტონის „დი-სი იუნაიტედი" და „ნიუ იორკ რედ ბულსი" ხვდებიან.



"გელექსიმ" დონოვანის პენალტით მოიგო

დასავლეთ კონფერენციის პლეი ოფის წინასწარ ეტაპზე, მოქმედი ჩემპიონი, „ლოს ანჯელეს გელექსი" მონაწილეობდა და **დევიდ ბექჰემის** გუნდმა „ვანკუვერ უაითქეპსი" გაჭირვებით დაამარცხა. თავად ბექჰემმა, ისევე როგორც **რობი კინმა** და **ლენდონ დონოვანმა** 90 წუთი ითამაშეს. სწორედ დონოვანმა გაიტანა მატჩის გადამწყვეტი გოლი, შეხვედრის 73-ე წუთზე, როდესაც 11-მეტრიანი გამოიყენა. სტუმრებს ვერც ცვლილებაზე გამოსულმა **კენი მილერმა** უშველა და ვერც იმან, რომ შეხვედრის მთავარი არბიტრი კანადელი იყო.

„ლოს ანჯელესის" მომდევნო მეტოქე, რეგულარული სეზონის გამარჯვებული, „სან ხოსე ერთქვეიქსი" იქნება. პირველი მატჩი „ანგელოზთა ქალაქში" 5 ნოემბერს გაიმართება, დასავლეთ კონფერენციის მეორე 1/2-ფინალში „სიეტლ საუნდერის", „რეალ სოლტ ლეიკს" შეხვდება.

### ამბები

## რონალდინიო ავარიაში მოყვა

"ატლეტიკო მინეიროს" ლიდერი, 31 წლის **რონალდინიო**, რომელიც გუნდის ვარჯიშზე მიდიოდა, ავარიაში მოხვდა, რომელშიც მისი ავტომობილის გარდა, კიდევ ორი მანქანა მონაწილეობდა. საბედნიეროდ, ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია და საავადმყოფოში გადასაყვანი მხოლოდ ერთი ადამიანი გახდა.

ავარიიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, შემთხვევის ადგილას, რონალდინიოს თანაგუნდელმა **ჟომ** ჩაიარა, რომელმაც "რონი" დაიმგზავრა და ვარჯიშზე დაგვიანებისგან იხსნა. მიუხედავად ამ შემთხვევისა, "ატლეტიკოს" 49-ე ნომერი კვირას, "კორიტიბასთან" შეხვედრაში აუცილებლად ითამაშებს.

## ლუსიო იუვედან წასვლას აპირებს

34 წლის ბრაზილიელი მცველი **ლუსიო**, იანვარში ტურინიდან აბარგებას გეგმავს, რადგან "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა და ამ სეზონში მხოლოდ 3 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. "ბაიერნის" და "ინტერის" ყოფილ ფეხბურთელს, **ლეონარდო ბონუჩისთან, ჯორჯო კიელენისთან** და **ანდრეა ბარძალისთან** კონკურენცია უჭირს და თამაში ძალიან იშვიათად უწევს.

როგორც ბრაზილიური მედია იუწყება, ლუსიოს სამსახურით პორტუ ალეგრის "ინტერნასიონალი" არის დაინტერესებული, რომელსაც "სელესაოს" რიგებში 105 მატჩის ჩამტარებელი მცველის შეძენა ზაფხულშიც სურდა, მაგრამ მაშინ ლუსიომ "ბებერი ქალბატონი" არჩია.

## ნეიმარის და პასტორეს აზრით, მესი საუკეთესოა

20 წლის ბრაზილიელმა **ნეიმარმა** და 23 წლის არგენტინელმა **ხავიერ პასტორემ**, "ოქროს ბურთის" ნომინანტებზე ისაუბრეს და შესაძლო გამარჯვებულად **ლიონელ მესი** დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მათი აზრები მე-2-3 ადგილის მფლობელებზეც დაემთხვა – უნიჭიერესი ფეხბურთელების აზრით, მეორე ადგილის დაკავებას **ანდრეს ინიესტა** იმსახურებს, ხოლო მესამეზე **კრიშტიანო რონალდო** უნდა იყოს.

ნეიმარი: "*ჩემთვის 2012 წელი უკეთესი იყო, ვიდრე 2011, მაგრამ სამ ფინალისტში, რა თქმა უნდა, ვერ მოვხვდები. საუკეთესოები ანდრეს ინიესტა, კრიშტიანო რონალდო და ლეო მესი არიან. ამ სამეულიდან საუკეთესო მესია, მეორეზე კი ინიესტას დავაყენებდი*".

**ხავიერ პასტორე:** "*მესი უნიკალური ფეხბურთელია, მისი მსგავსი არავინ არის. მას მატჩების მოგება მარტოს შეუძლია და უდავოდ ყველაზე მაგარია. ინიესტას და რონალდოს, მეორე-მესამე ადგილებზე გავიყვანდი*".

არგენტინელმა ასევე საუკეთესო მწვრთნელის პრიზზეც ისაუბრა: "*ჟოზე მოურინიო დიდებული მწვრთნელია და ეს ყველა იმ კლუბში დაამტკიცა, სადაც კი უმუშავია*".

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის წინ

# თუ ჰამბურგში ივაჟკაცებს...

## ...მერე ნახეთ ინტრიგაც და სკანდალიც!

**მიუნხენის „ბაიერნის“ მდევრებს მოტივაცია მოემატათ, რადგან წინა ტურში რეკორდმაისტერმა (როგორც იქნა) ქულები დაკარგა, რითაც ბუნდესლიგას მთავარი ინტრიგა დაუბრუნდა. მოქმედი ჩემპიონი „დორტმუნდი“ დღეს „შტუტგარტს“ მასპინძლობს, მეორე ადგილზე მყოფი „შალკე“ კი „ჰოფენჰაიმს“ სტუმრობს. უკვე საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშაა „ნიურნბერგი“, რომელიც „ფრთებშესხმულ“ „ვოლფსბურგს“ მიიღებს, ტურის ცენტრალური მატჩი კი დღეს საღამოს ჰამბურგში გაიმართება, სადაც „ბაიერნი“ ჩადის. ხვალ პირველი მატჩი „ლევერკუზენისა“ და „ფორტუნას“ დერბია, ხოლო „ვერდერი“ კარგ ფორმაში მყოფ „მაინცს“ დაუხვდება.**


ჰამბურგის კაპიტან ჰაიკო ვესტერმანს (მარჯვნივ) დღეს ფრანკ რიბერისთან ხშირად ექნება საქმე

### დორტმუნდი მოტივირებულია, შტუტგარტი - თავდაჯერებული

დორტმუნდის „ბორუსიას“ „შტუტგარტთან“ მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს, მაგრამ ფაქტია, რომ შვაბენლანდური კლუბი **იურგენ კლოპის** გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. წინა სეზონში დორტმუნდელებმა შტუტგარტელებს ვერც ერთი მატჩი ვერ მოუგეს (4:4, 1:1). გერმანიის თასის მეორე ეტაპი ორივემ იოლად გადალახა: დორტმუნდელებმა „აალენი“ 4:1 დაამარცხეს, ხოლო შვაბებმა „ზანკტ პაულის“ 3:0 მოუგეს. კლოპმა „აალენთან“ მატჩში ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ კაპიტანი **სებასტიან კელი** და ლიდერი **მარკო როისი** დაასვენა, რომლებიც დღეს აუცილებლად ითამაშებენ, **ლაიტნერი** და **პერიშიჩი** კი სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდებიან. „შტუტგარტმა“ ზედიზედ ორი თამაში მოიგო და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. შესაბამისად, მწვრთნელ **ბრუნო ლაბადიას** სასტარტო შემადგენლობის შეცვლის საბაბი არ აქვს. კითხვის ნიშნის ქვეშაა **საკაის** ასპარეზობა, რომელიც დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეიძლება **ჰუგლანდმა** შეცვალოს.

### გლადბახს სტაბილურობა აკლია

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ ეს სეზონი არასახარბიელოდ დაიწყო, მაგრამ ბოლო ორ მატჩში დამაჯერებლად გაიმარჯვა (2:0 „მარსელთან“ ევროპალიგაზე და 3:2 „ჰანოვერთან“ ბუნდესლიგის წინა ტურში), რითაც **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ. სამაგიეროდ, „გლადბახი“ გერმანიის თასიდან გავარდა (0:1 დამატებით დროში, „ფორტუნასთან“), ახლა კი „ფრაიბურგს“ მასპინძლობს. კითხვის ნიშნის ქვეშაა **იანჩკეს** ასპარეზობა, რომელმაც წინა კვირას ტვინის შერყევა მიიღო. „ფრაიბურგს“ შეიძლება **ზორგი** და **გინტერი** დააკლდნენ. ასეთ შემთხვევაში, ზუსტად ისე, როგორც „ბრაუნშვაიგთან“ სათასო მატჩში (2:0 „ფრაის“ სასარგებლოდ) მათ ნაცვლად ბრაისგაუელთა ძირითად შემადგენლობაში **ჰედენსტადსა** და **კრმასს** ვიხილავთ.

### ჰანოვერის სერია დასრულდა, დაიწყება ახალი?

მე-9 ტურამდე „ჰანოვერს“ საკუთარ მოედანზე ბრწყინვალე სერია ჰქონდა: „წითლებს“ შინ ზედიზედ 22 მატჩი არ ჰქონდათ წაგებული და „გლადბახსაც“ 2:0-ს უგებდნენ, თუმცა, საბოლოოდ, 2:3 დამარცხდნენ. „ჰანოვერის“ თავკაცი **მირკო სლომკა** ამბობს, რომ გუნდმა „აუგსბურგთან“ საშინაო მატჩში ახალი სერია, საუკეთესო შემთხვევაში, გამარჯვებით უნდა დაიწყოს. აუგსბურგელებს წინა ხაზზე უჭირთ - 9 ტურის შემდეგ მათ მხოლოდ ხუთი გოლი აქვთ გატანილი, რაც ბუნდესლიგაში ყველაზე ცუდი შედეგია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ აუგსბურგელებმა განვლილ ცხრა შეხვედრაში მეტოქის კარისკენ მხოლოდ 118-ჯერ დაარტყეს, აქედან ოდენ 29 დარტყმა წავიდა კარში და ბურთმა მეტოქე გუნდის კარის ხაზი მხოლოდ 5-ჯერ გადაკვეთა.

### ვოლფსბურგი ნიურნბერგშიც მოიგებს?

„ნიურნბერგმა“ ბოლო ექვს მატჩში ერთადერთი ქულა აიღო და მე-15 ადგილამდე ჩამოქვეითდა. შესაბამისად, ფრანკების მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** უკვე საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშაა - ფანები მის გათავისუფლებას ითხოვენ. დღეს „ნიურნბერგი“ იმ „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს, რომელმაც ეს გზა უკვე გაიარა - „მგლების“ მწვრთნელ-მენეჯერი **ფელიქს მაგათი** მას მერე გაათავისუფლეს, რაც გუნდი ბოლო ადგილამდე დაქვეითდა და დროებითი თავკაცის ხელში „ვოლფსბურგმა“ ბუნდესლიგაშიც მოიგო (4:1 დიუსელდორფში) და გერმანიის თასზეც (2:0 ფრანკფურტთან). „ნიურნბერგს“ **პინოლა** ჰყავს დისკვალიფიცირებული, ვოლფსბურგელთა დროებითი დამრიგებელი **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** კი მორიგ გამარჯვებას უმიზნებს და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, თანამდებობაზე დიდი ხნითაც დატოვონ.

### შეინარჩუნებს შალკე მეორე ადგილს?

ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი, 20 გოლი „ჰოფენჰაიმს“ აქვს გაშვებული და მიუხედავად ამისა, „სოფლელების“ მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** მეკარე **ტიმ ვიზეს** მაინც ენდობა. „ჰოფე“, რომელსაც 4-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, ამჯერად ძალიან კარგ ფორმაში მყოფ და მეორე ადგილზე ალზევებულ „შალკეს“ მასპინძლობს. გელზენკირხენელები, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებენ, რადგან „ბაიერნის“ ნომერ პირველი მდევრის სტატუსის შენარჩუნება სურთ.

### ბუნდესლიგის კლასიკა ყველაზე საინტერესო მომენტში

რატომ ყველაზე საინტერესო მომენტში? იმიტომ, რომ „ბაიერნმა“ როგორც იქნა, ქულები დაკარგა (თანაც, დამარცხდა), „ჰამბურგი“ კი კარგ ფორმაშია. **ტორსტენ ფინკის** შეგირდებმა ბოლო 4 შეხვედრიდან სამში გაიმარჯვეს და მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან. რეკორდმაისტერმა ლიდერობა კი შეინარჩუნა, მაგრამ „ლევერკუზენთან“ წაგების (1:2) შემდეგ, მდევრებს მიახლოვების საშუალება მისცა. „ჰამბურგი“ გერმანიის თასიდან ჯერ კიდევ პირველ რაუნდში (2:4 კარლსრუესთან) გავარდა, ბავარიელებმა კი ოთხშაბათს „კაიზერსლაუტერნი“ 4:0 გაანადგურეს და მერვედფინალში არიან. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** სათასო პაექრობაში ძირითადი შემადგენლობის არაერთი ფეხბურთელი დაასვენა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, იანსენი - ბადელი, რინკონი - სონი, ვან დერ ვაარტი, არსლანი - რუდნევსი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლუის გუსტავო, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

### რაინის დერბი ნომერი 3

„გლადბახთან“ ორი დუელის (ბუნდესლიგასა და გერმანიის თასზე) შემდეგ „ფორტუნას“ ამ სეზონში რაინის რიგით მესამე დერბი ელის: დიუსელდორფელები 30 კილომეტრის მოშორებით „ლევერკუზენს“ სტუმრობენ. „ბაიერი“ ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშდა, 6-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, წინა კვირას კი სულაც „ბაიერნი“ დაამარცხა (2:1 მიუნხენში). ლევერკუზენელთაგან განსაკუთრებით კარგ ფორმაში თავდამსხმელი **შტეფან კისლინგია**. სამაგიეროდ, მწვრთნელები **საშა ლევანდოვსკი** და **სამი ჰიიპია** პირველ მეკარე **ბერნდ ლენოს** ვერ გამოიყენებენ - ამ უკანასკნელმა ოპერაცია გაიკეთა. ამ უკანასკნელს, ისევე, როგორც „არმინიასთან“ სათასო მატჩში, რომელიც „ბაიერმა“ დამატებით დროში (3:2) მოიგო, **მიხაელ რეზინგი** შეცვლის. „ფორტუნამ“ სეზონი ჩინებულად დაიწყო და კარს დიდხანს ინახავდა მშრალად, მაგრამ ბოლო დროს დიუსელდორფელთა კარის დალაშქვრა გაიოლდა. **ნორბერტ მაიერი** დისკვალიფიცირებულ **ფინკს** ვერ გამოიყენებს.

### კლასნიჩი ბრემენში ბრუნდება

**ივან კლასნიჩი** დღეს „მაინცის“ თავდამსხმელია, კარიერის საუკეთესო წლები კი ბრემენის „ვერდერში“ აქვს გატარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ წარსდგება. *„ვეზერშტადიონი“ ჩემთვის ახდენილ ოცნებებთან ასოცირდება, ეს არენა საკუთარი „მისაღები ოთახივითაა“, სადაც თავს ყოველთვის ძალიან კარგად ვგრძნობდი,“* - აცხადებს კლასნიჩი, რომელმაც 2004 წელს „ვერდერთან“ ერთად გერმანიაში დუბლი შეასრულა.

„მაინცმა“ გერმანიის თასის მეორე რაუნდში „აუე“ 2:0 დაამარცხა, რაც **თომას ტუხელის** გუნდისთვის ზედიზედ მეხუთე ოფიციალური მატჩის მოგებას ნიშნავდა. აქვე ვთქვათ, რომ ბრემენელები გერმანიის თასს პირველივე ეტაპზე, მიუნსტერის „პროისენთან“ გამოეთიშნენ.

**აინტრახტი-ფიურტი 1:1**

**დღეს**

**ბორუსია (დ)-შტუტგარტი 18:30**

**ტრავმა:** ოვომოიელა, ს. ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, დუკში - ბოკა, აუდელი, დიდავი, კაკაუ, თორუნი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 88 თამაში: +28=22-38, (135:152)

**ბორუსია (მ)-ფრაიბურგი 18:30**

**ტრავმა:** ბლასვიხი, ლ. დე იონგი - პიონი, როზენტალი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +6=9-7, (28:33)

**ჰანოვერი-აუგსბურგი 18:30**

**ტრავმა:** ფელიპე, ანდრეასენი - ფიპლი, რაინჰარდტი, ვერჰეგი, ბა, სიო

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +0=2-0, (2:2)

**ნიურნბერგი-ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პინოლა (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** რ. შეფერი, შტეფანი, კოენი, პლუშეკი, მენდლერი - პილარი, ჰელმესი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=1-5 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +9=6-5, (28:25)

**ჰოფენჰაიმი-შალკე 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** კრისი, თესკერი, ვუკჩევიჩი - მეტცელდერი, ჰიოგერი

**ბოლო მატჩი**

+2=2-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +3=3-2, (9:9)

**ჰამბურგი-ბაიერნი 21:30**

**ტრავმა:** ირაჩეკი, ნიორგაარდი - რედერი, ბადშტუბერი, ვან ბუიტენი, გომესი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 94 თამაში: +19=21-54, (96:197)

**ხვალ**

**ლევერკუზენი-ფორტუნა 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ო. ფინკი, ფომიჩოვი (ორივე ფორტუნა)

**ტრავმა:** ლენო, კადლეცი, ბელარაბი, რენატო - ბრუნო სუარესი, მალეზასი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=3-0 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 26 თამაში: +7=12-7, (42:41)

**ვერდერი-მაინცი 20:30**

**ტრავმა:** ფრიტცი - ფ. მიულერი, ბუნგერტი, პოლანსკი, ჩუპო-მოტინგი, კლასნიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=2-2 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +7=2-3, (24:13)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 9 | 8 | 0 | 1 | 27-4 | 24 |
| 2. შალკე | 9 | 6 | 2 | 1 | 18-8 | 20 |
| 3. აინტრახტი | 10 | 6 | 2 | 2 | 21-14 | 20 |
| 4. ბორუსია (დ) | 9 | 4 | 3 | 2 | 20-11 | 15 |
| 5. ლევერკუზენი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 6. მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 12-10 | 14 |
| 7. ჰამბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-11 | 13 |
| 8. შტუტგარტი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-15 | 12 |
| 9. ბორუსია (მ) | 9 | 3 | 3 | 3 | 12-18 | 12 |
| 10. ჰანოვერი | 9 | 3 | 2 | 4 | 18-16 | 11 |
| 11. ვერდერი | 9 | 3 | 2 | 4 | 15-14 | 11 |
| 12. ფრაიბურგი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-12 | 11 |
| 13. ფორტუნა | 9 | 2 | 4 | 3 | 7-12 | 10 |
| 14. ჰოფენჰაიმი | 9 | 2 | 2 | 5 | 13-20 | 8 |
| 15. ნიურნბერგი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| 16. ვოლფსბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-16 | 8 |
| 17. ფიურტი | 10 | 1 | 4 | 5 | 7-16 | 7 |
| 18. აუგსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-13 | 6 |

**ბომბარდირები:** 8 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 7 - სალაი (მაინცი); 6 – კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი), თ. მიულერი (ბაიერნი); 5 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), სონი (ჰამბურგი).

ამბები

### კიდევ ერთი პოლონელი დორტმუნდში?

გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი კიდევ ერთ პოლონელ ფეხბურთელს უმიზნებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დორტმუნდის „ბორუსია“ 18 წლის თავდამსხმელის, **არკადიუშ მილიკის** გადაბირებას აპირებს. „ბილდის“ ცნობით, დორტმუნდელი სკაუტები „გორნიკის“ ფორვარდს რამდენჯერმე დააკვირდნენ და ძალიან მოეწონათ. 1.89 მეტრი სიმაღლის მილიკი ძალიან კარგად თამაშობს თავით, ცაციაა, აქვს ძლიერი დარტყმა და კარგი საგოლე ალღო.

### ვორონინი: ფორტუნა საჩემო გუნდი არ ყოფილა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 33 წლის უკრაინელ თავდამსხმელ **ანდრეი ვორონინს** „ფორტუნას“ ფორმაში ველარ ვიხილავთ. „გლადბახთან“ სათასო მატჩის წინ დიუსელდორფელთა მთავარმა მწვრთნელმა **ნორბერტ მაიერმა** ვორონინი განაცხადშიც არ შეიყვანა - ვინც ბოლომდე არ იხარჯება, თამაშსაც არ იმსახურებსო. *„ფაქტია, რომ ამ გუნდს ვერ მოვერგე და ვერ შევეწყვე,“* - უთხრა გუშინ უკრაინელმა „ბილდს“. შეგახსენებთ, რომ „ფორტუნამ“ ვორონინი ზაფხულში მოსკოვის „დინამოდან“ ერთი წლით ინათხოვრა. მწვრთნელის შეცვლის შემდეგ რუსებს მისი დაბრუნება სურდათ, მაგრამ დიუსელდორფელებმა უკრაინელი აღარ დათმეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

იტალია. სერია A. XI ტურის წინ

# დღეს იტალიის დერბია

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს ტურინში ჩამოცხება

## დღეს

| მილანი-კიევო | 21.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** ბონერა (მილანი).
**ტრავმა:** მესბა, რობინიო, დე შილიო, შტრასერი, დიდაკ ვილა, ბოატენგი, ანტონინი - სკუიცი, პალოსკი, სარდო, ცეზარი.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=2-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 20 თამაში: +15=3-2, (36-15)

| იუვენტუსი-ინტერი | 23.45 |
|---|---|

**ტრავმა:** კოუტინიო, ობი, მარიგა, სნეიდერი, კივუ, სტანკოვიჩი (ინტერი).

**ბოლო 6 მატჩი**
+5=1-0 +6=0-0

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 40 თამაში: +17=14-9, (49-37)

## ხვალ

| პესკარა-პარმა | 15.30 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** ბელფოდილი (პარმა).
**ტრავმა:** კრეშენცი, საველონი, ტერლიცი - ამაური, სანტაკროჩე, გალოპა.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +3=2-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)

| ბოლონია-უდინეზე | 18.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა - დანილო.
**ტრავმა:** აკვაფრესკა, კარვალიო, ხიმენესი, ნატალი - მურიელი, ბენეტია, პასკუალე, პინცი, დი ნატალე.

**ბოლო 6 მატჩი**
+1=0-5 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 26 თამაში: +9=6-11, (28-34)

| კატანია-ლაციო | 18.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** სკული, კლოზე (ლაციო).
**ტრავმა:** კეკო, ტერაჩანო, აუგუსტინი, შაკა - ედერსონი, მარკეტი.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 12 თამაში: +5=3-4, (12-14)

| ფიორენტინა-კალიარი | 18.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** კონტი, ნაინგოლანი (კალიარი).
**ტრავმა:** კამპორეზე - არიაუდო, ავრამოვი.

**ბოლო 6 მატჩი**
+3=2-1 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 28 თამაში: +15=7-6, (40-27)

| ნაპოლი-ტორინო | 18.00 |
|---|---|

**ტრავმა:** ცუნიგა, კავანი - სუჩუ.

**ბოლო 6 მატჩი**
+4=0-2 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 14 თამაში: +2=8-4, (13-15)

| სამპდორია-ატალანტა | 18.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** კოსტა, მუნარი, ბერნი - კაცოლა.
**ტრავმა:** ბერარდი, პოცი, კრსტიჩიჩი, მარესკა, ობიანგი - ფერი, რადოვანოვიჩი, ფერეირა პინტუ, კაპელი.

**ბოლო 6 მატჩი**
+0=1-5 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 21 თამაში: +11=2-8, (36-30)

| სიენა-ჯენოა | 18.00 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე, ნეტო (სიენა).
**ტრავმა:** მარტინესი, როდრიგესი, როზინა - როსი, იანკოვიჩი, ფერონეტი, ვარგასი, ბორიელო.

**ბოლო 6 მატჩი**
+1=1-4 +0=3-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 14 თამაში: +5=4-5, (17-15)

| რომა-პალერმო | 23.45 |
|---|---|

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი (რომა).
**ტრავმა:** ლობონტი - მილანოვიჩი, ერნანდესი, დონატი.

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +1=4-1

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 18 თამაში: +9=3-6, (31-25)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 10 | 9 | 1 | 0 | 22-5 | 28 |
| 2. ინტერი | 10 | 8 | 0 | 2 | 19-9 | 24 |
| 3. ნაპოლი | 10 | 7 | 1 | 2 | 15-6 | 22 |
| 4. ლაციო | 10 | 6 | 1 | 3 | 16-11 | 19 |
| 5. ფიორენტინა | 10 | 5 | 3 | 2 | 12-7 | 18 |
| 6. პარმა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-14 | 15 |
| 7. რომა | 10 | 4 | 2 | 4 | 22-19 | 14 |
| 8. კალიარი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-13 | 14 |
| 9. უდინეზე | 10 | 3 | 4 | 3 | 13-15 | 13 |
| 10. ატალანტა | 10 | 4 | 2 | 4 | 8-12 | 12 |
| 11. კატანია | 10 | 3 | 3 | 4 | 11-16 | 12 |
| 12. მილანი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-12 | 11 |
| 13. ტორინო | 10 | 2 | 5 | 3 | 11-9 | 10 |
| 14. სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 12-14 | 10 |
| 15. კიევო | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 10 |
| 16. ჯენოა | 10 | 2 | 3 | 5 | 10-14 | 9 |
| 17. პალერმო | 10 | 1 | 5 | 4 | 8-13 | 8 |
| 18. პესკარა | 10 | 2 | 2 | 6 | 6-17 | 8 |
| 19. ბოლონია | 10 | 2 | 1 | 7 | 11-16 | 7 |
| 20. სიენა | 10 | 2 | 3 | 5 | 11-14 | 3 |

**შენიშვნა:** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 7 – ელ შაარავი (მილანი); 6 – კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე), ლამელა (რომა).

**"იუვენტუსის" და "ინტერის" დაპირისპირება ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევს და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გუნდები სკუდეტოსთვის ეცილებიან ერთმანეთს. გასულ ტურში "ნერაძურიმ" მეორე ადგილზე აინაცვლა, "ნაპოლი" ჩააჩოჩა და "ბიანკონერის" კუდში ჩაუდგა. მით უფრო საინტერესო ჩვენთვის, დიდ იტალიურ დერბიში ერთმანეთის პირისპირ სატურნირო ცხრილში პირველ და მეორე ადგილზე მყოფი გუნდები წარდგებიან.**

**იუვენტუსი-ინტერი**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** *ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, პირლო, ვიდალი, მარკიზიო, ასამოა - ვუჩინიჩი, ჯოვინკო.*

**ინტერი (3-5-2):** *ჰანდანოვიჩი - სილვესტრი, სამუელი, რანოკია - ძანეტი, გუარინი, გარგანო, კამბიასო, ნაგატომო - კასანო, მილიტო.*

როგორც ხედავთ, ორივე გუნდი 3-5-2 ტაქტიკით აპირებს თამაშს, ყოველ შემთხვევაში, პროგნოზები სწორედ ასეთი კეთდება. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბოლო პერიოდში, იტალიურ საკლუბო ფეხბურთში აღნიშნული სქემა დომინირებს. შესაბამისად, მთავარი ბრძოლა მოედნის ცენტრში გაიმართება და უპირატესობასაც ის გუნდი მოიპოვებს, რომელიც ცენტრს დაეპატრონება. თუ ნახევარმცველებს გადავხედავთ, ფავორიტის სტატუსი ტურინელებს ეკუთვნით, მაგრამ ასეთ შეხვედრებში რაიმე პროგნოზის გაკეთება აბსოლუტურად წარმოუდგენელია. მოდი, ორივე გუნდის ბანაკში შევიხედოთ...

## ესეც სამხრეთელთა შანსი

### იუვენტუსი

სერია A-ს გასულ ტურში, ტურინელებმა ექსპერიმენტს მიმართეს და შემადგენლობა გვარიანად გადაახალისეს. მაგალითად, სასტარტოში იყვნენ **ემანუელე ჯაკერინი** და **პაოლო დე ჩელიე**, რომლებიც ბოლო დროს იშვიათად ხვდებიან ძირითადში. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, „ინტერთან" მატჩისთვის ტურინელები როტაციისგან თავს შეიკავებენ და იმ ფეხბურთელებს დაეყრდნობიან, რომლებზეც მიმდინარე სეზონში კეთდება აქცენტი. ამასვე ადასტურებს „იუვეს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის **ანჯელო ალესიოს** სიტყვები:

*„მეტოქედ იმ რანგის გუნდი გვყავს, რომელიც დაცვაში არ ჩაჯდება და თავის შანსს არ დაელოდება. „ინტერი" შემოგვიტევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. რაც მთავარია, მოედნის ცენტრი უნდა ვაკონტროლოთ და ასეთ შემთხვევაში, მიზნის მიღწევა ბევრად გაგვიადვილდება. მიზანი გამარჯვებაა, თუმცა არც ფრე იქნება ტრაგედია".*

ალესიოს პოზიცია გასაგებია - „იუვენტუსი" „ინტერს" ოთხი ქულით უსწრებს და თუ სტატუს-ქვო შენარჩუნდება, ეს ნამდვილად არ იქნება ტრაგედია. თუმცა, „ვეკია სენიორას" მაქსიმალისტი გულშემატკივრები ჰყავს და ისინი, რა თქმა უნდა, მოგებას მოითხოვენ. თანაც, თუ ტურინელებმა მოიგეს, უშუალო კონკურენტს მთელი შვიდი ქულით გაუსწრებენ, ეს კი საკმაოდ სერიოზული განაცხადია. თუ რაზეა განაცხადი, ამის თქმისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ.

### ინტერი

მართალია, „ინტერი" თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ ბევრი ამბობს, რომ ეს იტალიურ საკლუბო ფეხბურთში არსებული კრიზისის შედეგი უფროა, ვიდრე მილანელთა უძლეველობის. ამ კითხვაზე პასუხი ტურინულმა მატჩმა უნდა გასცეს და მართლაც საინტერესოა, როგორ წარდგება **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი მრისხანე მეტოქის წინაშე. აქვე სწორედ სტრამაჩონის გადავცეთ სიტყვა:

*„წინ დიდი მატჩია და ეს კარგად მაქვს გათავისებული. ეს იქნება ბრძოლა ექვსი ქულისთვის და მიზნადაც გამარჯვება გვაქვს დასახული. დიახ, მინდა, რომ „იუვეს" წაუგებელი მატჩების სერია დავასრულოთ და მეტოქეს კუდზე დავაჯდეთ. კარგად მესმის, რომ ამის გაკეთება ურთულესი იქნება, რადგან „ვეკია სენიორა" შესანიშნავ ფორმაშია. საერთოდ, მეტოქეს დიდ პატივს ვცემ, „იუვე" გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდია, რომელიც არასდროს ნებდება".*

„სამპდორიას" წინააღმდეგ „ინტერმა" სამი გამოკვეთილი შემტევით ითამაშა, თუმცა ტურინში ასე არ იქნება... სტრამაჩონი **ანტონიო კასანოსა** და **დიეგო მილიტოს** ტანდემს დაეყრდნობა, მათ უკან კი დაცვაზე ორიენტირებული ხუთეული იმოქმედებს. დიახ, თუ „გაძეტას" ვერსია მართალია, მაშინ ანდრეას ერთობ ფრთხილი სტრატეგია შეურჩევია, რადგან ნახევარმცველებიდან შემტევი არც ერთს არ ეთქმის. **ვალტერ გარგანო, ესტებან კამბიასო** და **ფრედი გუარინი** უფრო საყრდენები არიან, ვიდრე გამთამაშებლები, **ხავიერ ძანეტი** და **იუტო ნაგატომო** კი უფრო ფლანგის მცველები, ვიდრე გარემარბები. მოკლედ, ანდრეა ფრთხილობს და ვნახოთ, რას მოუტანს ეს სიფრთხილე.

### ჩასაფრებული ნაპოლი

„ნაპოლი" შეეცდება, რომ დიდი იტალიური დერბით ისარგებლოს და პოზიციები გაიუმჯობესოს. ამ გაუმჯობესებაში დაწინაურება სულაც არ იგულისხმება - პირიქით, **ვალტერ მაცარის** მესამე ადგილზე ურჩევნია დარჩენა და თუ რატომ, ამას თავად ახსნის:

*„ვის ვგულშემატკივრობ დიდ იტალიურ დერბიში? - ჩვენი მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა და შესაბამისად, არ მსურს გამარჯვება „იუვენტუსს" დარჩეს. ფრე ჩვენს სასარგებლოდ იქნება, მაგრამ თუ „ინტერი" მოიგებს, ეს კიდევ უფრო გამახარებს. ამით, საშუალება მოგვეცემა, რომ ლიდერს მაქსიმალურად მივუახლოვდეთ, ლიდერი კი ყველა შემთხვევაში „იუვენტუსი" იქნება. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, ბოლომდე ბრძოლა გვმართებს... „ტორინო" ძლიერი გუნდია და იოლად არაფერს დათმობს. ედინსონ კავანი ისევ დაგვაკლდება, რაც ძალიან საწყენია. იმედია, მომდევნო ტურისთვის მაინც მოასწრებს გამოჯანმრთელებას".*

ვალტერ მაცარის დიდი არჩევანი არ აქვს, შეტევის წინა ხაზზე **ისევ გორან პანდევისა** და **ლორენცო ინსინიეს** ტანდემს დაეყრდნობა, მათ უკან კი **მარეკ ჰამშიკი** ითამაშებს. ამბობენ, რომ მაცარის გუნდს ჩავარდნა აქვს, ნეაპოლელები კი იმუქრებიან, „ტორინოსთან" ნახავთ, როგორი მრისხანეა კრიზისში მყოფი „ნაპოლიო". ვნახავთ...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




ნაპოლის ედინსონ კავანი კვლავ არ ეყოლება

ესპანეთი. ლა ლიგა. X ტურის წინ

# დღეს მესტალიაზე ცეცხლი დაინთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარსას და რეალის საშინაო დავალებები



ბარსელონელებს დეპორტივოს მერე კიდევ ერთი გალისიური კლუბი ელით

### დღეს

**მალაგა-ვალეკანო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ამატი (ესპ)
**ტრავმა:** ს. სანჩესი, ტულალანი (?), ბაპტიშტა, მონრეალი, ფაბრისი - არანა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +1=0-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 12 თამაში: +4=2-6, (16-22)

**ბარსელონა-სელტა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** კაბრალი (სელ)
**ტრავმა:** ტ. ალკანტარა, პიკე, კვენკა, პუიოლი, აბიდალი, მუნიესა - ინსა

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +14=8-6, (50-35)

**რეალი-სარაგოსა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ალონსო (რეა)
**ტრავმა:** ხედირა, არბელოა, მარსელო, ფ. კოენტრაო - ლანძარო, ობრადოვიჩი, პინტერი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 36 თამაში: +22=7-7, (80-51)

**ვალენსია-ატლეტიკო 01:00**

**ტრავმა:** მატიო, კანალესი, პიატი - არდა თურანი (?)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +6=0-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 40 თამაში: +18=11-11, (61-45)

### ხვალ

**სოსიედადი-ესპანიოლი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფორლინი, სანჩესი (ესპ)
**ტრავმა:** კადამური, ზურუტუზა (?), ბრავო, ელუსტონდო - ხ. ლოპესი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +12=10-8, (31-26)

**დეპორტივო-მალიორკა 19:00**

**ტრავმა:** აგილარი, სალომაო - ჟოაო ვიქტორი, ა. ლოპესი, ნუნიეში, მარკესი, ალვარო

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 30 თამაში: +8=14-8, (34-39)

**ოსასუნა-ვალიადოლიდი 20:50**

**დისკვალიფიკაცია:** რუბიო (ვალ)
**ტრავმა:** ბერტრანი (ოსა)

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +5=9-2, (20-15)

**გრანადა-ბილბაო 22:50**

**დისკვალიფიკაცია:** ანდერი (ბილ)
**ტრავმა:** რომერო, ფ. რიკო, იებდა (?) - ი. პერესი (?), გურპეგი (?), ეკიზა, გალარეტა

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 2 თამაში: +1=1-0, (3-2)

**სევილია-ლევანტე 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** პეროტი (სევ)
**ტრავმა:** ტროხოვსკი - დუდკა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 14 თამაში: +9=2-3, (30-15)

### ზეგ

**ხეტაფე-ბეტისი 00:30**

**ტრავმა:** რუბენ პერესი, ფაბრისიო (ბეტ)

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +4=6-6, (16-20)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 29-11 | 25 |
| 2. ატლეტიკო | 9 | 8 | 1 | 0 | 22-9 | 25 |
| 3. მალაგა | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 18 |
| 4. რეალი | 9 | 5 | 2 | 2 | 21-7 | 17 |
| 5. ბეტისი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-13 | 16 |
| 6. ლევანტე | 9 | 5 | 1 | 3 | 12-14 | 16 |
| 7. სევილია | 9 | 4 | 2 | 3 | 12-11 | 14 |
| 8. ხეტაფე | 9 | 4 | 1 | 4 | 10-12 | 13 |
| 9. სარაგოსა | 9 | 4 | 0 | 5 | 9-11 | 12 |
| 10. ვალიადოლ. | 9 | 3 | 2 | 4 | 14-11 | 11 |
| 11. ვალენსია | 9 | 3 | 2 | 4 | 11-12 | 11 |
| 12. მალიორკა | 9 | 3 | 2 | 4 | 10-14 | 11 |
| 13. სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10-11 | 10 |
| 14. სოსიედადი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 10 |
| 15. ვალეკანო | 9 | 3 | 1 | 5 | 11-22 | 10 |
| 16. ბილბაო | 9 | 2 | 2 | 5 | 12-19 | 8 |
| 17. გრანადა | 9 | 2 | 2 | 5 | 8-15 | 8 |
| 18. დეპორტივო | 9 | 1 | 4 | 4 | 14-20 | 7 |
| 19. ესპანიოლი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-15 | 6 |
| 20. ოსასუნა | 9 | 1 | 2 | 6 | 8-14 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 11- კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

**შეიძლება ითქვას, რომ ესპანური პრიმერას მე-10 ტურის ყველა საინტერესო დაპირისპირება დღესაა: ტური ანდალუსიაში იწყება, სადაც მესამეადგილოსანი „მალაგა" მადრიდულ „ელვებს" მასპინძლობს. შემდეგ საქმეში ლიდერი ერთვება, „ბარსა" „სელტას" მასპინძლობს, მომდევნო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება, სადაც ჩემპიონი „სარაგოსას" დაუხვდება, დღე კი „მესტალიური" დაპირისპირებით მთავრდება - „ვალენსია" მადრიდის „ატლეტიკოს" მასპინძლობს.**

### ჯერ არ დაბადებულა და...

საოცარია, მაგრამ ადამიანი ჯერ არ დაბადებულა (ყოველ შემთხვევაში, ნუხელ ჯერ არ იყო დაბადებული) და უკვე საქვეყნოდ ცნობილია - **ლიონელ მესის** ვაჟ **ტიაგოზე** ვამბობთ, არგენტინელის მეგობარი გოგონა კლინიკაში დააწვინეს და ლეომაც **ტიტო ვილანოვას** განთავისუფლება სთხოვა. მესის „სელტამდე" ყველა ვარჯიში გაუცდა, მაგრამ ის ალბათ ითამაშებს და შესანიშნავი შანსი მიეცემა **პელეს** რეკორდამდე მიღწევის (2 გოლი რჩება), ამ მიღწევას კი ის უთუოდ შვილს მიუძღვნის.

„ბარსელონამ" „სამეფო თასზე" ექსპერიმენტული შემადგენლობით 3:0 მოუგო „ალკოიანოს", ხოლო „სელტას" ალმერიაში ალიყური გააწნეს - 0:2.

ტიტოს კვლავ არ ეყოლება დაცვის ცენტრის წყვილი (**პუიოლი, პიკე**), პიკეს ტრავმა გაუჯანჯლდა, ხოლო კაპიტანი საუკეთესო შემთხვევაში დეკემბერში დაბრუნდება. დაცვის ცენტრში **ხავიერ მასკერანოს ალექს სონგი** შეუწყვილდება. **პაკო ერერას** გუნდში ლაზარეთში არიან **ინსა** და **სამუელი**, ხოლო **კაბრალი** დისკვალიფიცირებულია.

■ „ბარსელონა" დიდებულ ფორმაშია - ბოლო 11 ოფიციალური მატჩიდან 10 მოიგო.

■ კატალონიელებმა გალისიელებს ბოლო 4 დაპირისპირება მოუგეს, ბურთების საერთო სხვაობით: 9:3.

■ **სესკ ფაბრეგასმა** ბოლო 6 მატჩში 5 გოლი გაიტანა და კიდევ უფრო მეტი საგოლე პასი გააკეთა.

■ „ბარსელონას" სარეზერვო გოლკიპერი **ხოსე პინტო** „სელტაში" თამაშობდა, სადაც 2005/06 წლების სეზონის ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერი გახდა.

■ „ბარსას" 22 წლის ნახევარმცველი **ტიაგო ალკანტარა** გალისიაშია გაზრდილი, მამამისი **მაზინიო** „სელტას" ფეხბურთელი იყო.

■ „სელტამ" ბოლო 5 მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ამ სეზონში ლა ლიგაში ყველა საგარეო მატჩი დათმო.

■ „სელტამ" ბოლოს „ბარსა" 2004 წლის მაისში დაამარცხა - 1:0.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, სონგი, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ფაბრეგასი, მესი, პედრო.*

**სელტა:** *ვარასი - მალიო, ოუბინია, ტუნიესი, ლაგო - ლოპესი, ბუსტოსი - ფერნანდესი, ბერმეხო, კრონ-დელი - ასპასი.*

### როცა მთელ გუნდს ჯობნი

**ჟოზე მოურინიოს** ალბათ სეზონის ბოლომდე აღარ აქვს უფლება, ქულები კარგოს; თუკი ჩემპიონობა ისევ სურს. სხვათა შორის, „რეალმა" ახალ სეზონში უკვე 15 ოფიციალური მატჩი ითამაშა და ჟოზემ 24-კაციანი გუნდიდან უკვე ყველა ათამაშა მესამე მეკარე **ხესუსის** გარდა (ის სტაბილურად თამაშობს რეზერვებში). 23-ივემ ერთხელ მაინც ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში, თუმცა „რეალში" შეუცვლელებიც არიან: **კასილიასმა, რონალდომ, პეპემ, სერხიო რამოსმა** და **ჩაბი ალონსომ** ათასწუთიან ბარიერს გადააცილეს. ეს უკანასკნელი დღეს ვერ ითამაშებს - ბასკ ნახევარმცველს 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ავტომატურად გამოტოვებს „სარაგოსასთან" შერკინებას.

დაცვაში ისევ საკადრო პრობლემებია: **არბელოა, მარსელო** და **კოენტრაო** ვერ ითამაშებენ, არ იქნება არც გერმანელი **ხედირა**. სამი ფეხბურთელი აკლიათ არაგონელებს.

■ „რეალმა" ლა ლიგაში ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო.

■ კასტილიელებს უკვე 20 თამაშია, „სანტიაგო ბერნაბეუზე" არ წაუგიათ (17 მოგება, 3 ფრე).

■ **გონსალო იგუაინს** აქვს შანსი ლა ლიგაში 100 გოლი გაიტანოს, ამისთვის მას დღეს ჰეთთრიკი ესაჭიროება.

■ „სარაგოსამ" ბოლო სამი შეხვედრა მოიგო.

■ ბოლო ურთიერთშეხვედრებში 6-დან 5 მატჩში „რეალმა" გაიმარჯვა.

■ ლა ლიგაში „სარაგოსას" წინა ხაზი ვერ ყოჩაღობს (9 გოლი), მხოლოდ **კრიშტიანო რონალდოს** მეტოქე გუნდზე მეტი (11) აქვს გატანილი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** *კასილიასი - ს. რამოსი, ვარანი, პეპე, ნაჩო - ესიენი, მოდრიჩი - დი მარია, იოზილი, რონალდო - იგუაინი.*

**სარაგოსა:** *რობერტო - სეპუნარუ, ლოოვენსი, ალვარო, აბრაამი - მოვილია, აპონიო - სუკულინი, როდრიგესი, მონტანიესი - პოსტიგა.*

### გაფრენილი ატლეტიკო და დაჭრილი ღამურები

„ვალენსიას" დასაკარგავი ალარაფერი აქვს, წინა ტურში სევილიაში მარცხის მერე (0:1 „ბეტისთან") **პელეგრინოს** საქმე ცუდადაა, მეტოქე კი „ატლეტიკოა". გუნდი, რომელსაც ყველაფერი გამოსდის და ყველაფერს იგებს, რომლის ფორვარდი **რადამელ ფალკაო** ტოპფორმაშია. ბოლო 12 მატჩია, „როხიბლანკოსი" მხოლოდ იმარჯვებს. მაგრამ დაჭრილი „ღამურები" საშიშები არიან და „ატლეტიკოს" რეკორდულ სერიასაც სერიოზული საფრთხე ემუქრება.

„ვალენსიას" უბრუნდება **სოფიან ფეგული**, რომელმაც 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. **ევერ ბანეგაც** უკვე ფორმაში შევიდა, მან თასის მატჩში უკვე სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა. ახლა პელეგრინოს გადასაწყვეტი აქვს, ითამაშოს ორი სუფთა ფორვარდით (**სოლდადო, ჟონასი**), თუ უფრო დაცვით ტაქტიკას მიმართოს. **დიეგო სიმეონეს არდა თურანი** და **კოკე** უბრუნდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია:** *დ. ალვეში - ჟ. პერეირა, რამი, რუისი, სისოკო - ბანეგა, გაგო - ფეგული, კოსტა, ვიერა - სოლდადო.*

**ატლეტიკო:** *კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - გაბი, მ. სუარესი - ემრე, კ. როდრიგესი, არდა თურანი - ფალკაო.*

**P.S.** გუშინ ბარსელონას კლინიკაში ლეო მესის ვაჟი ტიაგო დაიბადა. „დღეს მე მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. ჩემი შვილი დაიბადა, მადლობა ღმერთს", - დაწერა 25 წლის არგენტინელმა „ფეისბუქზე".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ლელოს სტუმარი

რევაზ ლაშხი

# ბორჯომიდან გამონათებული ვერცხლი

## ლაშხი: ალიევმა ჩემთან წაგება ვერ მოინელა

ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი რევაზ ლაშხი (60) ბერძენ-რომაელთა შორის წონის ერ-ერთი ლიდერია. ამას შედეგებითაც ადასტურებს - შარშან დორტმუნდში ევროპის პირველობა მოიგო, წლეულს კი ოლიმპიადის ფინალში გავიდა. ცხადია, ამ ორმა, განსაკუთრებით კი ლონდონურმა წარმატებამ თავდაჯერება, საკუთარი თავის რწმენაც შემატა და წინ კიდევ ბევრი გამარჯვება ელოდება. მით უფრო, ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და ასაკიც ხელს უწყობს. თან მსოფლიოს ჩემპიონატის სიმაღლე კვლავაც ასაღები აქვს ანუ მოტივაცია საკმაოზე მეტი გააჩნია.

რევაზ ლაშხი სალმიანი და ყურადღებიანი პიროვნებაა, მაგრამ მოსაუბრეც საინტერესო აღმოჩნდა, იუმორის მქონე - ბევრ ისეთ დეტალზე ილაპარაკა სიცილით და ხუმრობით, რაზეც უმეტესობა დუმილს ამჯობინებს. საჭიდაო სამყარომ ის თავისი ცნობილი ჟესტითაც დაიმახსოვრა, რომელსაც ყოველი მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ მწვრთნელს აჩვენებს. ოღონდ ეს საჩვენებელი თითის ჟესტია, წარმატების აღმნიშვნელი. „ლელოსთან“ სტუმრობისას მისი წარმოშობის ისტორიაზე, ოლიმპიადასთან დაკავშირებულ ემოციებსა თუ კარიერის მნიშვნელოვან დეტალებზეც ისაუბრა.

### ოლიმპიური ემოციები

ცხადია, ოლიმპიური ვერცხლი დიდი წარმატებაა, თუმცა მე არ მაკმაყოფილებს და ძველებურად ვაგრძელებ წვრთნას, ამ მედლით არაფერი შეცვლილა ჩემს ცხოვრებაში იმის გარდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ახლაც იმავე მონდომებით ვაგრძელებ ვარჯიშს. მიზანი იგივეა, რაც აქამდე იყო. მწვრთნელებთან შეთანხმებით ვემზადებით ყველა ნიუანსის გათვალისწინებით.



ცხადია, მიღწეულში მწვრთნელების დიდი დამსახურებაა - გარედან უკეთ ჩანს შენი შეცდომები და ამაზე მითითებდნენ. წარმატების მისაღწევად მხოლოდ ამბიცია არ კმარა, კარგი მომზადებაცაა საჭირო. ოლიმპიადისთვის ახალი რაღაც უნდა დაგვემატებინა, რადგან ერთმანეთის ჭიდაობა ყველა მეტოქემ კარგად ვიცით და ახალ ილეთზე ვიმუშავეთ, რისი შედეგიც ნახევარფინალში ვნახეთ აზერბაიჯანელ ჰასან ალიევთან. ახლაც ისევ ძიების პროცესში ვართ და ერთ ადგილზე გაჩერებას არ ვაპირებთ. მით უმეტეს, გაისად ევროპის ჩემპიონატი თბილისში ტარდება, რაც ორმაგი პასუხისმგებლობაა - უკვე ჭიდაობ, როგორც ოლიმპიური მედალოსანი; ტურნირი შენს ქვეყანაში ტარდება... ჯერ მარტო ისაა დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა, როცა იცი, რომ მთელი ქვეყანა გიყურებს ტელევიზორში, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამ ხალხისგან ორიოდე მეტრის დაშორებით ჭიდაობ. პასუხისმგებლობა მეტია, თუმცა ამ თემაზე მწვრთნელებთან ერთად ვიმუშავებთ. უკვე არსებობს გარკვეული მონახაზი, რომლის მიხედვითაც ევროპირველობისთვის მზადების პერიოდში აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანთ. ეს ყველაფერი მწრთნელთან შეთანხმებით მოხდება, რადგან მან უკეთესად იცის ჩემი აღნაგობა, შესაძლებლობები, ფიზიკური მონაცემები... ახალ ილეთებზე ამის გათვალისწინებით მიდის მუშაობა.

ოლიმპიადისთვის კარგ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არ ვიყავი - როცა ლიცენზიის მოპოვება გაგიჭიანურდება და ამას მხოლოდ ბოლო ტურნირზე მოახერხებ, მთლად კარგ განწყობაზე ვერ უნდა იყო, მაგრამ მოვახერხე და ეს რთული ბარიერი გადავლახე. მსოფლიოს სამეულში ისეთი ხალხი ტრიალებდა, ვისთანაც მოგებული მქონდა. ოლიმპიადაზე ჩემპიონობისთვის მივდიოდი, თუმცა ისეთ ფორმაში ვიყავი, მჯეროდა, უმედლოდ არ დავბრუნდებოდი - შინაგანად ვგრძნობდი საამისო მზადყოფნას, თუმცა, ცხადია, ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს არ დავიწყებდი.

ოლიმპიადაზე მთავარი მაინც ფსიქოლოგიაა და ალბათ, ამ თვითრწმენის გამო კარგად შევხვდი თამაშებს, უფრო თავდაჯერებული ვიყავი. არ მქონია იმის განცდა, რომ ეს რაღაც განსაკუთრებულად რთული შეჯიბრება იყო. თავიდანაც ისე წავიდა ყველაფერი, რომ ეს იყო ერთი ჩვეულებრივი ტურნირი, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ბევრად უფრო გამჭირვებია ფსიქოლოგიურად, ვიდრე - იქ. ოლიმპიადაზე ეს დატვირთვა არ მიგრძვნია.

ფინალისთვის ჩემს მშობლიურ რაიონში მონიტორი დაამონტაჟეს, თუმცა ისე ვიჭიდავე, ჯობდა, არ დაედგათ. (იცინის). ზოგმა ვერც გაითავისა ჩემი წარმატება - აუ, როგორ წააგეო, არადა, ოლიმპიური ვერცხლი არ მგონია ცუდი ამბავი.

საერთოდ, იმის მიუხედავად, რომ ბორჯომში უამრავი გუნდი და ცნობილი სპორტსმენი ჩადიოდა მოსამზადებლად, ჩემამდე ზაფხულის ოლიმპიადის მონაწილეც არ ჰყავდათ. ასევე ჩემამდე არც ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონი ჰყოლიათ. ლონდონიდან დაბრუნებულს დახვედრაც მომიწყვეს, თუმცა მაშინ ყველა არჩევნებზე იყო გადართული და საზეიმო შეხვედრებისთვის არავის ეცალა.

### ომიდ ნოროოზი

ფინალში ირანელი ომიდ ნოროოზი უცხო არ იყო ჩემთვის - ნაჭიდავებიც ვიყავი და მონაგებიც მქონდა. ვფიქრობ, ამჯერად მასთან ფიზიკური მომზადება დამაკლდა. ნახევარფინალში ალიევთან შეხვედრის შემდეგ ენერგია აღარ შემომრჩა. ფინალში მხოლოდ სურვილი მქონდა, ოლიმპიური ჩემპიონი გავმხდარიყავი, მაგრამ ორგანიზმი ვერ მომყვებოდა, აღარ იყო რეზერვი, მთელი ძალა გამომეცალა. ამას შუბლის ტრავმაც დაერთო და აქედან გამომდინარე, მერჩივნა, შესვენების გარეშე მეჭიდავა.

ვფიქრობ, მომავალში ნოროოზის უკეთესი ფიზიკური მომზადება უნდა დავუპირისპირო, თუმცა ტექნიკურადაც მინდა, მეტოქეებს 1-2 სიურპრიზი შევთავაზო.

### ჰასან ალიევი - პრინციპული მეტოქე

რატომღაც, ალიევი ჩემთან წაგებას ვერ ეგუება. შეიძლება სხვასთანაც დამარცხდეს, მაგრამ არაფერი, ჩემთან წაგებაზე კი გართულება აქვს. არ ვიცი, რატომ! იქნებ იმიტომ, რომ 3-წლიანი წაუგებელი კარიერა შევაწყვეტინე. სპორტში ყველა კონკურენტი ვართ, მაგრამ ლეიბის გარეთ ბევრი ვმეგობრობთ, ვახლობლობთ, იქნებ გავისეირნოთ კიდეც ერთად, ამასთან ურთიერთობა კი მხოლოდ მისალმებით შემოიფარგლება. ეტყობა, თავისი პრობლემები აქვს. ოლიმპიადის წინ ისიც კი უთქვამს, მე იქ ქართველთან მოსაგებად მივდივარ და არა საჩემპიონოდო...

როგორც ამბობენ, 66-ში გადადის, რადგან წონას ვერ იკლებს.

### ევროპირველობა-2011 - პირველი დიდი წარმატება

ტურნირებზე ტურისტივით სიარული ძალიან ძნელია, როცა მუდმივად დადიხარ შეჯიბრებებზე, მაგრამ არაფერი გამოგდის. ამ მხრივ ევროპის შარშანდელი პირველობა გარდამტეხი აღმოჩნდა, რადგან ნავსი გავტეხე და გავიმარჯვე.



იმ შეჯიბრებისთვის ძალიან კარგად მოვემზადე. ფსიქოლოგიურადაც მომგებიან ვითარებაში ვიყავი - ტიტულის შენარჩუნება არ მევალებოდა და არაფერი, მხოლოდ კარგი ჭიდაობა მომეთხოვებოდა. გამარჯვება მეც ძალიან მინდოდა და ყველაფერი გავაკეთე საამისოდ.

ალიევთან შეხვედრა იმ ტურნირის ურთულესი ორთაბრძოლა იყო. ძალიან ძნელია ისეთ კაცთან ჭიდაობა, ვისაც სამი წელიწადია, შეხვედრა არ წაუგია, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონია... ამას ემატება მსაჯთა დამოკიდებულება ჩვენსა და თუნდაც იმავე აზერბაიჯანელების მიმართ. მათთან, რუსებთან და კიდევ რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ფალავანთან ჭიდაობას იმ განწყობით ვიწყებ, რომ ანგარიშში უკვე ვაგებ. ვიცი,



რომ მსაჯი მათთან თუ წამართმევს, თორემ არაფერს მომიმატებს. არბიტრთა ასეთი დამოკიდებულება ოლიმპიადაზეც გამოჩნდა. თუნდაც ვლადიმერ გეგეშიძის მაგალითი გავიხსენოთ, მას რა უქნეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობამ მართლაც ბევრი გააკეთა, რათა მსაჯები ობიექტურად მოქცეულიყვნენ და თუ არ წაგვიმატებდნენ, არ დაგვეჩაგრეთ მაინც... ამ ყველაფრის გათვალისწინებით იყო ალიევთან ის შეხვედრა ყველაზე ძნელი, თუმცა სწორი სტრატეგიით მაინც მოვუგე.

### მწვრთნელები

ვარჯიში ბორჯომში დავიწყე გოგა რაზმაძესთან, რომელთანაც მამამ მიმიყვანა. მაშინ გოგა 18 წლის იყო, მე - 10-ის. მან შემაყვარა ჭიდაობა, რითაც დიდი სამსახური გამიწია. მოძრავი და სწრაფი თავიდანვე ვიყავი და მწვრთნელებმა ჩემი სტილიც ამაზე ააგეს. მე არასოდეს ველოდები მეტოქის შეცდომას, სულ ვცდილობ შეტევას, ინიციატივის დაუფლებას. თავის დროზე ჩემი დღევანდელი მწვრთნელი - აკაკი ჩაჩუაც ასეთი ჭიდაობით გამოირჩეოდა. როცა ის 2004 წელს ათენის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა, მაშინ მე ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის პირველობაზე გამოსასვლელად ვვარჯიშობდი და სპარინგ-პარტნიორობასაც ვუწევდი.

### პირობები

უპირველესად, ნაკრებში უნდა იყოს კარგი პირობები - თუ ეს საკითხი მოგვარდება, მაშინ ყველგან გადაიჭრება პრობლემები. ცოტა უკეთესია საჭირო, ოღონდ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. უბრალოდ, ოდნავ მეტი პირობები რომ იყოს და კეთილმოწყობილი სავარჯიშო დარბაზები, შედეგიც უკეთესი იქნება. ისიც აშკარაა, რომ ბორჯომში ვარჯიში ძალიან მოგვიხდა - მოჭიდავეებმა 13-დან 6 მედალი მოვიპოვეთ. ამას თუ გეგეშიძის ამბავსაც დავუმატებთ, პრაქტიკულად, მეშვიდე მედალი გვქონდა.

### ბავშვობა და მამის ამაგი

მამა თვითონ მოჭიდავე არ ყოფილა, მაგრამ სპორტი უყვარდა, თუმცა ბაბუა კი ჭიდაობდა. ბავშვობაში ისეთი სუსტი ვიყავი, ბიძები, ნათესავები მამაჩემს ეუბნებოდნენ, რის ჭიდაობა, გამოიყვანე, რამე არ მოუვიდესო.

მამამ იმდენი რამე გამიკეთა, მე ხომ სპორტში ვარ, შეიძლება, ჩემს შვილს ვერ გავუკეთო იმდენი. საქართველოს მასშტაბით ჩემი არც ერთი შეჯიბრება არ გამოუტოვებია. ამის გამო თავიდან ყველას მწვრთნელი ეგონა, თუმცა მამას არც ერთი ორთაბრძოლა არ უნახავს - გული ვერ უძლებდა, ისე ნერვიულობდა და გარეთ გადიოდა. სამწუხაროა, რომ ჩემს წარმატებებს ვერ მოესწრო - სამი წლის წინ გარდაიცვალა.

ოჯახმა დიდი როლი შეასრულა ჩემს კარიერაში - სპორტსმენს სხვანაირი კვება, სხვანაირი მოვლა სჭირდება, ოჯახში სპორტსმენი წევრი რთულია, მაგრამ დედაც, დაც, მამაც ყველანაირად მიწყობდნენ ხელს...

### ცნობილი ჟესტი

ეს ჟესტი ევროპის შარშანდელი პირველობიდან მოდის. საერთოდ, წილისყრის ოქმის ნახვა არ მჩვევია - ხომ გათენდება მეორე დილა და მაშინ ვნახავ, მთელი ღამე იმაზე არ ვიფიქრო, იქ ვიღაცა გამოვა, ამას ასე ვუზამ და იმასთან ისე უნდა ვიჭიდაო-მეთქი - მაგაზე ფიქრით ტვინს არ ვიჭყლიტავ.

მაშინ დორტმუნდში მე და პირადი მწვრთნელი აკაკი ჩაჩუა ერთ ნომერში ვიყავით. დილით კარგ ხასიათზე გავიღვიძე და ჩვეულებისამებრ ვილოცეთ. აკაკიმ მითხრა, წამოდი, რამე ჭამეო, მე კი გავეხუმრე, დღეს რომ მოვიგებ, თითი ასე უნდა გაჩვენო-მეთქი და ის ჟესტი დავანახე. რაღაც უხასიათოდ კი მითხრა, წამოდი, რა დროს თითიაო, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. არადა, ამ დროს მან უკვე იცოდა, რამდენად ძნელი წილისყრა მერგო, მაგრამ არაფერი უთქვამს. მივედი დარბაზში და იქ ძალაუნებურად ხედავ წილისყრის ოქმს. გადავხედე და ერთი კი გავიფიქრე, ვაი შენს რეზოს, ის თითის ეპიზოდი დამრჩა ოთახის მოგონებად-მეთქი, მაგრამ როცა ნახევარფინალში ალიევს მოვუგე, მაშინ გავუკეთე. მერე ოლიმპიადაზეც წინასწარ დავთქვით, რომ ტრადიციას არ დავარღვევდით და იქაც ვაჩვენე.

### სამომავლო გეგმები

15 ნოემბერს ყაზახეთში მივდივართ „პრეზიდენტის თასზე“ - ეს იქნება ჩემი პირველი შეჯიბრება ოლიმპიადის შემდეგ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია ჯერ სემინარზეა წასული, უახლოეს დღეებში ჩამოვა და უფრო კონკრეტულად გვეტყვის ამ ტურნირის გეგმებს. ამას საქართველოს პირველობა მოსდევს, მერე კი ევროპის ჩემპიონატისთვის დავიწყებთ მზადებას. ალბათ, იქამდე ორ შეჯიბრებაში კიდევ გამოვალთ. ჯერჯერობით 60 კილოგრამში ვრჩები, წონის შეცვლა არ იგეგმება.

ირაკლი თავაძე

## ქართული სპორტი

ოფიციოზი

# მინისტრი ფედერაციებს შეხვდა



გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლების გაფართოებული შეხვედრა.

სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა **ნატო გუჯაბიძემ** საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს წარუდგინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **ლევან ყიფიანი** და სამინისტროს აპარატის უფროსი - **ნინო ვადაჭკორია.**

ლევან ყიფიანმა მიმართა საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს. მინისტრმა დამსწრეთ გააცნო სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო გეგმები, მათ შორის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობებთან დაკავშირებით.

მინისტრმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ფედერაციების დეპოლიტიზაციას და ფედერაციების ხელმძღვანელთა რიგგარეშე არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარების აუცილებლობას. ფედერაციების წარმომადგენლები მიესალმნენ მინისტრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და გამოთქვეს სურვილი სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

მინისტრთან შეხვედრას 70-მდე სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ფედერაციის წარმომადგენლებმა ყიფიანს სპორტის მინისტრის პოსტზე დანიშვნა მიულოცეს და საკუთარ გამოსვლებში სპორტში არსებულ პრობლემატიკაზე გაამახვილეს ყურადღება.

ყიფიანის განცხადებით, სპორტულ ფედერაციებთან კონკრეტულ პრობლემებზე სასაუბროდ შეხვედრები მომავალი ორშაბათიდან დაინიშნება.

*სამინისტროს პრესსამსახური*

იუბილარი



# ამაგდარი 80 წლისაა!

კაცი 80 წელს რომ მიაღწევს და ამ სიმაღლის გადასახედიდან განვლილ ცხოვრებას გონების თვალს გადაავლებს, კარგიც ბევრი ექნება მოსაგონარი და ცუდიც, ტკბილიც და მწარეც. ამას ვერავინ ასცდება, ცხოვრების წესი და რიგია ასეთი, მაგრამ ნაღდი გამარჯვებულები არიან ისინი, ვინც თავანეული გაუსწორებს თვალს განვლილ წლებს და იტყვის: განმეორება რომ შეიძლებოდეს, ახალ ცხოვრებას ისევ იმ ბილიკის სათავიდან დავიწყებდი, რითაც დავიწყე.

მამია ტულუშმა, დღეს უკვე 80 წლის იუბილარმა მძლეოსნობისადმი ერთგულებაში გაატარა მთელი ცხოვრება. და განა მარტო მან — მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ნამდვილი სპორტული ოჯახი შექმნეს მამია და ლამარა ტულუში-სესაძემ. დედა-შვილი ერთადაც კი გამოდიოდნენ ერთხანს სპორტულ სარბიელზე და ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას ბირთვის კვრაში. ბოლოს დედის რეკორდი, რომელიც 20 წელიწადი რჩებოდა მიუწვდომელი, მამიას და ლამარას უფროსმა ქალიშვილმა, ელეონორა ტულუშმა გააუმჯობესა. მერე ოჯახის სპორტული ტრადიცია შვილიშვილებმა გააგრძელეს, ისინი გაჰყვნენ უფროსების კვალს — ელეონორას ვაჟი გიორგი ამირანაშვილი სპრინტში და სიგრძეზე ხტომაში წარმატებით იცავდა საქართველოს ნაკრებში თავისი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

რაც მთავარია, ბატონმა მამიამ თაობები აზიარა „სპორტის დედოფლის“ სიყვარულს. მისი აღზრდილები არიან ნ. ონაშვილი, გ. თედორაძე, ვ. სუხიტაშვილი, ლ. ტულუში, სხვები და სხვები.

ცალკე თემაა მამია ტულუშის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის გამგედ როცა ინიშნებოდა, მას უკვე იცნობდნენ, როგორც ვეტერან მძლეოსანს, სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ეროვნული კატეგორიის მსაჯს, საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულ მასწავლებელს. მის რეგალიებს შეემატა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, საპატიო ნიშნის ორდენი და ღირსების ორდენი.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო მამია!

**თენგიზ თომაშვილი**

# ირაკლი დოლაბერიძე სპორტის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, სპორტის ექსპერტი **ირაკლი დოლაბერიძე** დაინიშნა.

დოლაბერიძე მის ახალ მოადგილე - საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრების მენეჯერ და კლუბ „ლოკომოტივის“ მოთამაშე - **გიორგი ასათიანთან** ერთად 1 ნოემბერს სამინისტროს უმაღლესი მიღწევების სპორტისა და მასობრივი სპორტის სამმართველოების თანამშრომლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სპორტის დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა სამმართველოების თანამშრომლებს საკუთარი ხედვა წარუდგინა და მათთან ერთად უახლოესი სამოქმედო გეგმა და სპორტულ ფედერაციებთან სამომავლო ურთიერთობის საკითხები განიხილა.

*სამინისტროს პრესსამსახური*



ჭადრაკი

# სანოემბრო რეიტინგი

გასული თვის მონაგრის გათვალისწინებით ფიდემ ნოემბრისთვის საუკეთესო მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა რეიტინგები გამოაქვეყნა.

მანდილოსნებს სათავეში 2705 პუნქტით ისევ იუდით პოლგარი უდგას. უნგრელ დიდოსტატს 95 პუნქტით ჩამორჩება მე-2 ადგილზე მყოფი ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2610). პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2606), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2586), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2555), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2553), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2539), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2524), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2521).

ქართველთაგან საუკეთესო ასეულში შედიან: 15. **ბელა ხოტენაშვილი** (2504), 35. **ლელა ჯავახიშვილი** (2455), 47. **ნინო ხურციძე** (2428), 51. **ნინო ბაციაშვილი** (2425), 61. **სოფიკო გურამიშვილი** (2403), 63. **სალომე მელია** (2403), 71. **ნაზი პაიკიძე** (2394), 73. **მერი არაბიძე** (2391), 77. **სოფიკო ხუხაშვილი** (2383).

ვაჟებს ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი (2848) მეწინავეობს. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვის რეკორდისგან (2849) მას ერთი პუნქტილა აშორებს. 2851 პუნქტით მეორე ადგილზეა სომეხი ლევონ არონიანი, მესამე-მეოთხე ადგილებს 2800-იანთა ზღვარს მიახლოებული ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2795) და თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2793) ინაწილებენ. ათეულში არიან ასევე, ფაბიანო კარუანა (იტალია, 2786), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2775), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2775), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2769), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2764), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2764). ქართველთაგან 2710 პუნქტით **ბაადურ ჯობავა** 35-ეა.

20 წლის გოგონათა ასეულში ისევ ოთხი წარმომადგენელი გვყავს: 6. **ნაზი პაიკიძე** (2394), 7. **მერი არაბიძე** (2391), 25. **ქეთი წაწალაშვილი** (2279), 34. **მარიამ დანელია** (2252), ჭაბუკებში კი ჩვენებურთაგან ისევ არავინ ჩანს.

**ვაჟა დანელია**

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

არა არის რა დაფარული

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ეს მოხდა 2012-ში საფეხბურთო ევროზე უკრაინაში. ბევრმა ევროპელმა ფანმა წინასწარ დაჯავშნა ნომერი სასტუმროში, რათა კიევში ჩასვლისას თავიანთი გუნდის ქომაგობისას ფორმაში ყოფილიყო. ჩასვლისას ფანებმა შეიტყვეს, რომ მათი სასტუმროები... ბუნებაში არ არსებობს, ხოლო ფირმა რომელმაც მათ საკმაოდ დიდ საფასურად აპარტამენტები შესთავაზა — ვირტუალურია!

აი, „კომპიუტერული“ არარსებული სასტუმროების სახელწოდებები და მისამართები: Navigator — ბორშჩაგოვსკის ქ. №197, Fan Evro Zone 2012 — ბოლშაია ოკრუჟნაია ქუჩა №20, Nivki Evro-2012 — ჩისტიაკოვსკაიას ქ. №102.

მართალია ევრო 2012 დამთავრდა, მაგრამ მომავალში სხვა შეჯიბრებებზე ჩასვლის მსურველთ, ვურჩევთ ეს ფირმები დაივიწყონ!

ეს საინტერესოა

■ ბრაზილია არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ფეხბურთში მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში მონაწილეობდა.

■ ამერიკელები წელიწადში 630 მილიონ დოლარს სწირავენ გოლფის ბურთების შეძენას.

■ გამოანგარიშებულია, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ქალთა ასაკი საშუალოდ არ აღემატება 20 წელს.

■ ჰოკეიში მეკარის ჩაფხუტი პირველად გამოიყენა იაპონელმა სპორტსმენმა **ტანაკი ხოიმომ** ბერლინში მატჩის დროს 1936 წელს.

■ ბრიტანეთში გამართულ დოღებში სახელგანთქმული ცხენი „იუმორისტი“ თურმე საერთოდ არ უნდა გამოეყვანათ შეჯიბრებებში, რადგან მისი რბენა არ შეიძლებოდა. ეს გაირკვა მისი სიკვდილის შემდეგ — გაკვეთით აღმოჩნდა, რომ საბრალო მერანს, თურმე, მხოლოდ ცალი ფილტვი ჰქონდა.

■ 1963 წლის ივნისში ბრიტანეთში გამართულ ერთ-ერთ მატჩში ინგლისელ ჩოგბურთელ მაიკლ სანგსტეროს მიერ ჩაწოდებულმა ბურთმა 248 კმ/საათი სიჩქარე განავითარა. ეს იყო ყველაზე ძლიერი ჩაწოდება, რაც კი როდისმე დაფიქსირებულა ჩოგბურთის ისტორიაში.

თარიღი

## 3 – 9 ნოემბერი

**03. 1945 წ.** დაიბადა **გერჰარდ მიულერი** — ფეხბურთი (გერმანია).

**04. 1972 წ.** დაიბადა **ლუიშ ფიგუ** — ფეხბურთი (პორტუგალია).

**05. 1992 წ.** ჭადრაკში ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში **ბიბი ფიშერმა** (აშშ) **ბორის სპასკი** (სსრკ) დაამარცხა.

**06. 1861 წ.** დაიბადა **ჯეიმს ნეისმიტი** — კალათბურთის გამომგონებელი (აშშ).

**06. 1887 წ.** გლაზგოში (შოტლანდია) დაარსდა საფეხბურთო კლუბი „სელტიკი“.

**06. 1996 წ.** გარდაიცვალა **ტომი ლოუტონი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**07. 1944 წ.** დაიბადა **ლუიჯი რივა** — (ფეხბურთი (იტალია).

**07. 1933 წ.** აშშ-ის პენსილვანიის შტატში გაუქმდა კანონი, რომელიც კვირაობით სპორტული შეჯიბრებების ჩატარებას კრძალავდა.

**08. 1942 წ.** დაიბადა **ალესანდრო მაცოლა** — ფეხბურთი (იტალია).

**09. 1939 წ.** დაიბადა **მიხაელ ტალი** — ჭადრაკი (ლატვია).

**09. 1948 წ.** დაიბადა **ლუიშ ფილიპე სკოლარი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (ბრაზილია).

პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** შეჯიბრება ჩოგბურთში აშშ-ში გაიმართა 1876 წელს ქ. ნაჰანტაში (მასაჩუსეტი) ეპლტონის კერძო მოედანზე 13 მოთამაშის მონაწილეობით.

* * *

**პირველმა** ქალთაგან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ველოსპორტში ამერიკელმა **დორის კიიპსკიმ** მოიპოვა.

* * *

**პირველად** რიბოკის სპორტული ნაწარმით სპორტსმენები ოლიმპიურ სარბიელზე გამოჩნდნენ 1924 წლის ოლიმპიადაზე პარიზში.

ვიქტორინა

**1. სად დაარსდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია?**
ა — ლონდონში
ბ — პარიზში
გ — კოპენჰაგენში

**2. როცა ფორმულა 1-ში რბოლები მუსლიმანურ ქვეყნებში ტარდება, შამპანურის ნაცვლად გამარჯვების აღსანიშნავად იყენებენ:**
ა — ბროწეულის წვენს
ბ — ბადაგს
გ — ლიმონათს

**3. სად და რომელ წელს ააგეს პირველი ოლიმპიური სოფელი სპორტსმენებისთვის?**
ა — ლოს-ანჯელესში 1932 წელს
ბ — ბერლინში 1936 წელს
გ — ლონდონში 1948 წელს

**4. მაიკლ ფელპსმა (აშშ) ერთი სპორტსმენის მიერ ოლიმპიური ოქროს მედლების მოპოვების რეკორდი დაამყარა ლონდონში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ. სულ რამდენგზის ოლიმპიური ჩემპიონია ეს სპორტსმენი?**
ა — ცხრაგზის
ბ — თექვსმეტგზის
გ — ოცდაორგზის

**5. რომელი წლის ოლიმპიურ თამაშებზე გაიარა ყველა ქალმა სპორტსმენმა სპორტის ისტორიაში პირველად შემოწმება სქესზე?**
ა — 1956 წელს
ბ — 1968 წელს
გ — 1976 წელს

პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ.

ფოტოიუმორი

# მოდერნიზებული ბილიარდი



საქართველოს ნაკრები




# სანიკიძის დიდი ქართული ოჯახი

ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე პერიოდულად ქვეყნდება სტატიები ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრილი გუნდების შესახებ. საქართველოს ნაკრებს რიგმა ნოემბერში მოუწია და საინტერესო პუბლიკაციაც გამოვიდა, მით უმეტეს, რომ გუნდის შესახებ ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** მოგვითხრობს.

„სანიკიძემ უცხოეთში პირველად 15 წლისამ ითამაშა - ნიუ იორკის კოლეჯში გამოდიოდა, 17 წლისა კი ფრანგულ „დიჟონში" ჩაირიცხა. სწორედ აქედან დაიწყო მისი საინტერესო კარიერა. მომდევნო 9 წლის განმავლობაში 203 სმ სიმაღლის ქართველი (1986 წელსაა დაბადებული) თამაშობდა მადრიდის „ესტუდიანტესში", ესტონურ „ტარტუ როკში", ხოლო ბოლონიის „ვირტუსში" სამი სეზონი გაატარა. სწორედ ამ იტალიურ კლუბში გაიცნო იგი მსოფლიომ, როგორც მაღალი დონის უნივერსალი ფორვარდი.

ვიქტორ სანიკიძე ახლა იტალიაში მეოთხე სეზონს ატარებს, ამჯერად მოქმედი ჩემპიონის „მონტეპასკის" ღირსებას იცავს. საინტერესოა, რომ მრავალფეროვანი კარიერის მიუხედავად, ვიქტორს პირველად უწევს ევროლიგაზე თამაში.

სანიკიძე თინეიჯერი იყო, როცა NBA-ს დრაფტზე „ატლანტა ჰოქსმა" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო. ამერიკული კლუბების ყურადღება ქართველმა ახალგაზრდამ სარაგოსაში გამართული ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაშით დაიმსახურა - საშუალოდ 17.6 ქულასა და 9.8 მოხსნას აგროვებდა. სწორედ იმ დროიდან (2004 წლიდან) ყოველ ზაფხულს ვიქტორი საქართველოს ნაკრების მაისურით თამაშობს.

*- არაერთი კლუბის ღირსება დამიცავს, მაგრამ საქართველოს ნაკრებში გამოსვლა სულ სხვაა - თითქოს საკუთარ ოჯახთან ერთად თამაშობ. ყოველ ზაფხულს მთელი ქვეყანა ჩვენს გვერდითაა, გვქომაგობს და ჩვენც ვცდილობთ თანამემამულეთა იმედების გამართლებას. ამ ზაფხულსაც ვიბრძოლეთ და მიზანსაც მივაღწიეთ,* - ღიმილით ამბობს სანიკიძე.

მიზანი ევრობასკეტი-2013 იყო. საქართველოს ნაკრებმა მეორედ დაძლია შესარჩევი ეტაპი და მეორედ იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე. D ჯგუფში ქართველებმა 8-დან 6 მატჩი მოიგეს, გაასწრეს ლატვიას, ჰოლანდიას, რუმინეთს და მხოლოდ ბოსნიას ჩამორჩნენ.

სანიკიძე ნაკრების საუკეთესო მომხსნელი იყო, საშუალოდ 9.1 მოხსნას აგროვებდა. შესარჩევ ეტაპზე ამ მაჩვენებლით იგი მეხუთე გახლდათ.

ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ეროვნული სიამაყეა, სწორედ ამიტომ სანიკიძისა და NBA-ში მოთამაშე **ზაზა ფაჩულიას** დარი კალათბურთელები ნაკრებში იმიტომაც ჩადიან დაუფიქრებლად.

*- 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზე ვითამაშეთ. ეს იყო ჩვენი დებიუტი ასეთი დონის შეჯიბრებაზე. თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან სასარგებლო იყო ევროპის საუკეთესო გუნდებთან ტოლ-სწორად პაექრობა,* - ამბობს სანიკიძე და დასძენს: *- ლიტვაში ბოლო მატჩის შემდეგ კალათბურთელები შევიკრიბეთ და დაახლოებით ასეთი რამ ვთქვით: ჰეი, შესანიშნავი იყო. ეს აუცილებლად უნდა გავიმეოროთ. ...და გავიმეორეთ კიდეც. საქართველოს უნდა დაემტკიცებინა რომ ევრობასკეტზე მოხვედრა ერთჯერადი მოვლენა არ იყო და ჩვენს ქვეყანას აქვს საკალათბურთო ტრადიცია, რომ მისი ნაკრები ყოველ ევრობასკეტზე თამაშობდეს.*

კალათბურთელი, რომელიც თითოეული დაკარგული ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის, მოედნის მიღმა წყნარი, რბილად მოსაუბრე გამოდგა. ვიქტორი ამჟამად სიენას „მონტეპასკიში" თამაშობს, რომელიც ევროპის საკლუბო ელიტის წევრია. საქართველოს ნაკრები კი ახლა ცდილობს საკალათბურთო საზოგადოებაში სახელის მოხვეჭას. ევრობასკეტი-2011-ზე სანიკიძის თანაგუნდელები მეორე ეტაპზე გავიდნენ, სადაც ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ მაკედონიასთან. სწორედ ამ მატჩმა გადაუჭრათ გზა მეოთხედფინალისკენ. სანიკიძე არ თვლის, რომ 2011 წელთან შედარებით გუნდის თამაშში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანაა საჭირო. მთავარი ცვლილება ის იქნება, რომ საქართველოს ნაკრები 2013 წელს სლოვენიაში დებიუტანტის სტატუსით აღარ ჩავა, უფრო გამოცდილი იქნება.

ვიქტორი ეროვნული გუნდის სამომავლო გეგმებზე მსჯელობისას ამბობს:

*- გამეხარდება, თუ მომავლის ნაკრებში ახალგაზრდებს მეც დავეხმარები. თორნიკე შენგელიამ წლევანდელ შესარჩევ ეტაპზე ძალიან კარგად ითამაშა. მას მეტი შრომა სჭირდება, რადგან დიდი პოტენციალი აქვს, რაც საქართველოს ნაკრების წინსვლისთვის აუცილებელია. თუმცა სლოვენიის ევრობასკეტზე ღირსეულად წარმოსაჩენად თითოეული კალათბურთელის პროგრესია აუცილებელი. ზაფხულში კვლავ შევიკრიბებით, მოვემზადებით და იმედი მაქვს, რომ საქართველოს სახელს ევროპულ საზოგადოებაში ღირსეულად წარმოვაჩენთ."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუპერლიგა 2012-13. III ტური

# დაგეგმილი გამარჯვება

02.11. ქუთაისი

| | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 18 | 20 | 23 | 15 | 76 |
| სტუ | 16 | 12 | 16 | 19 | 63 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 31 | 3 | 5 | 4 | 1 | 0 | 10 |
| ბაბუნაშვილი | 21 | 1 | 2 | 3 | 3 | 0 | 12 |
| დიდია | 24 | 5 | 6 | 3 | 0 | 0 | 5 |
| ბრძელიძე | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 |
| კვიმსაძე | 20 | 5 | 3 | 2 | 1 | 1 | 11 |
| მესხი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დ. ბარბაქაძე | 19 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 | 10 |
| ლომინაშვილი | 11 | 9 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 |
| გ. ბარბაქაძე | 30 | 5 | 3 | 3 | 3 | 0 | 3 |
| კოლუაშვილი | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| მათიაშვილი | 23 | 9 | 2 | 5 | 2 | 2 | 17 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 9 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თევზაძე | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კორკოტაძე | 27 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 10 |
| მაჩალაძე | 16 | 6 | 3 | 2 | 3 | 0 | 4 |
| პირველაშვილი | 26 | 4 | 4 | 4 | 0 | 0 | 11 |
| დ. ღვალიშვილი | 24 | 4 | 2 | 1 | 2 | 0 | 4 |
| შერმადინი | 17 | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 9 |
| კუჭავა | 14 | 3 | 2 | 1 | 2 | 0 | 6 |
| ძიძიგური | 19 | 5 | 2 | 5 | 4 | 0 | 5 |
| ჯანაშია | 18 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 11 |
| ქორიძე | 21 | 4 | 2 | 3 | 3 | 0 | 3 |

მსაჯები: **დავით ბერიკაშვილი, დავით ბერიშვილი, გურამ მიქელაძე**

გუშინდელი მატჩის ფავორიტი **დავით უსტიაშვილის** გუნდი იყო, ქუთაისლებმა დაგეგმილი ქულები კი მოიპოვეს, მაგრამ მასპინძელთა თამაშში უამრავი წუნი შეინიშნებოდა და იოლი გამარჯვების მიუხედავად, ქუთაისელი გულშემატკივრები ბოლომდე კმაყოფილები ვერ დარჩნენ. უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდნენ „ქუთაისის" ლიდერები **გიორგი ბარბაქაძე** და **რევაზ დიდია**, პერიმეტრიდან სროლები არც ერთს არ წაუვიდა. შედეგად ბარბაქაძემ მხოლოდ 3, დიდიამ კი 5 ქულა მოაგროვა, რაც ამ კალათბურთელებისთვის ძალზედ დაბალი მაჩვენებელია. როგორც ჩანს, მასპინძლები სტუ-სთან იოლ გასეირნებას ელოდნენ და შეხვედრას ბოლომდე მობილიზებულები ვერ შეხვდნენ.

ქუთათურებმა მატჩი მძიმედ დაიწყეს, მართალია, მათიაშვილის ორი ზუსტი საჯარიმოთი დაწინაურდნენ, მაგრამ **ქორიძისა** და **პირველაშვილის** კარგი თამაშის შედეგად სტუმრებმა 5:0 გაქცევა მოაწყვეს და საწყის წუთებში წინაც გავიდნენ 8:7. შეხვედრა ორმხრივ შეცდომებში მიმდინარეობდა, ხშირი იყო გარბენები, არაზუსტი პასები, ბურთის უწყინარ სიტუაციაში დაკარგვა და არაზუსტი სროლები. პირველ პერიოდში მასპინძლების ლიდერობა **ბუბა კვიმსაძემ** ითავა, რომლის თამამმა შეტევებმა შედეგი გამოიღო და „ქუთაისმა" პირველი პერიოდი 18:16 მოიგო.

თამაშის ხარისხი მომდევნო მეოთხედშიც არ გაუმჯობესებულა, თუმცა დავით უსტიაშვილის შეგირდებმა გამოცდილების ხარჯზე თანდათან ანგარიში გაზარდეს, შედეგიანად უტევდა **რიჩარდ მათიაშვილი**, რომელმაც საბოლოოდ ქუთაისელთაგან ყველაზე მეტი - 17 ქულა დააგროვა და ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა... კვიმსაძის ზუსტი სამქულიანის შემდეგ ქუთათურები 10 ქულით დაწინაურდნენ (38:28) და პირველი ტაიმიც ასე მორჩა.

ქუთაისელებმა მესამე პერიოდში 15 ქულამდე გაზარდეს სხვაობა. კარგად ჩაერთო თამაშში **დავით ბარბაქაძე**, რომელმაც საბოლოოდ გუნდს 10 ქულა მოუტანა. აქტიურობდა **თემურ ბაბუნაშვილიც** (12) დასკვნით მეოთხედში **ზაურ ფაშაევისა** და დავით ბარბაქაძის კარგი თამაშის წყალობით მასპინძლები 19 ქულითაც დაწინაურდნენ (68:49), თუმცა, შემდეგ კვლავ შეცდომებს მოუხშირეს და სტუმრებმა სხვაობა მცირედით შეამცირეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ქართველი უკრაინაში

# შეუჩერებელი!

## ცინცაძის 22 ქულა და 8 პასი



*- დღეს ქართველი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე შეუჩერებელია. ევროლიგაზე გამოცდილი ლინ გრირიც კი მასთან ვერას აწყობს,* - ასეთ ფრაზას მოისმენდა გულშემატკივარი, რომელმაც გუშინ უკრაინის ჩემპიონატში „ბუდიველნიკისა" და „აზოვმაშის" თამაშს მიადევნა თვალი.

პირველი ტაიმის შემდეგ სტუმარი აზოვისპირელები 45:40-ს იგებდნენ, თუმცა ცინცაძე და მისი თანაგუნდელები დიდი შესვენებიდან იმდენად შემართებულნი გამოვიდნენ, რომ მეტოქეს მესამე პერიოდში მხოლოდ 8 ქულა ჩააგდებინეს, თავად კი 27 მიითვალეს. საბოლოო ანგარიშია 90:70 „ბუდიველნიკის" სასარგებლოდ, რაც ერთობ მოულოდნელი შედეგია, რადგან „აზოვმაში" ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

მესამე პერიოდში, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, ცინცაძემ (1986 წელსაა დაბადებული) ქულებიც უხვად აგროვა და პასებიც არიგა. თამამად შეიძლება ითქვას: მან 2009 წლის შემდეგ საკლუბო დონეზე საუკეთესო თამაში სწორედ გუშინ ჩაატარა: 36 წუთი, 22 ქულა, 7 მოხსნა, 8 პასი, 2 ჩაჭრა. „ბუმ" 4-დან 4 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი და 6-დან 5 საჯარიმო მიითვალა, მარგი ქმედების კოეფიციენტით, ცხადია ყველას ერთი თავით აღემატებოდა - 30.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერი

# ცქიტიშვილმა ზანჯანით დაიწყო



1 ნოემბერს დაიწყო ირანის ჩემპიონატი, რომელშიც ორი ქართველი, **ნიკა ცქიტიშვილი** და **სერგო ათუაშვილი** ასპარეზობენ. სერგოს „ესტეღლალი" სადებიუტო მატჩს მოგვიანებით, 5 ნოემბერს ცქიტოს ყოფილ კლუბ „მაჰრამთან" გამართავს. რაც შეეხება ნიკას, მან ახალ გუნდ „ფოლად მაჰანის" მაისურით პირველი გამარჯვება მოიპოვა - „ზანჯანთან" 3 ქულის სხვაობით გაიმარჯვა (57:54).

ვერ ვიტყვით, რომ ცქიტიშვილს დებიუტი ისეთი გამოუვიდა, როგორიც სურდა. მან 21 წუთში 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ერთი საჯარიმოც მიაყოლა და მატჩი 3 ქულითა და თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრით დაასრულა.

ახალ სეზონში ნიკას გვერდით ითამაშებს მისი ყოფილი თანაგუნდელი „ფუენლაბრადან" **მოჰამედ კონე**, რომელმაც პირველ შეხვედრაში 7 ქულა ჩააგდო. „ზანჯანში" კი **დიეგო ფახარდო** ირიცხება, რომელიც იტალიურ „ვირტუსში" **ვიქტორ სანიკიძის** გვერდით ასპარეზობდა.

„ფოლადი" მომდევნო შეხვედრას 8 ნოემბერს „პეტროჩიმის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# ლელოების წვიმა შევარდენზე



ალექსანდრე ნიჟარაძის ლელო

| აკადემია–ლელო | 13:34 |
|---|---|

აკადემია (15-9) დავითაშვილი, მაკაროვი (ვაშაკიძე 67), წასიძე, მოლოდინაშვილი, სუთიძე, მარგიანი, ჯ. ლამბაშიძე. (1-8) მაჩიტიძე, წვერავა, გ. ლამბაშიძე, ნებულიშვილი, ლურსმანაშვილი, გოგოლაძე (მალლაკელიძე 46, ჭუაძე 67), თოდაძე, ჩხიკვაძე (გოგოლაშვილი 60).

2ლ: ნებულიშვილი, მარგიანი. ს: წვერავა.

ლელო (15-9) გუგავა, ზაალიშვილი (ხმალაძე 41), კოპაძე, ცერცვაძე, ნიჟარაძე (ყიასაშვილი 72), გეგენავა, კაჭარავა. (1-8) კვერნაძე (სუჯაშვილი 58), ბელქანია, სანიკიძე, ხორბალაძე (ჭეიშვილი 55), ქოიავა, კოლელიშვილი (დარასელია 77), ჭყოიძე, ნიკოლაიშვილი (სურგულაძე 62).

5ლ: ზაალიშვილი, ჭყოიძე, ნიჟარაძე, დარასელია, საჯარიმო. 3გ.ს: გეგენავა.

სინბინი: ქოიავა

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე გათამაშების ლიდერის თბილისის „ლელოსა" და ერთ-ერთი აუტსაიდერის თბილისის „აკადემიას" დაპირისპირებით გაიხსნა. აკადემიელებმა „შევარდენის სანაქებო ბაზაზე" ამჯერად სენსაცია ვერ მოახდინეს და 13:34 დამარცხდნენ.

„ლელომ" თამაში უცნაური შემადგენლობით დაიწყო. მგეზავად **ლაშა ხმალაძის** ნაცვლად გარემარბი **ირაკლი გეგენავა** იდგა, ფულბეკის პოზიციაზე კი **ლევან მაისაშვილმა ირაკლი ყიასაშვილის** მაგივრად კიდევ ერთი გარემარბი **ლექსო გუგავა** დააყენა. შესაბამისად პირველ ტაიმში თამაში ლელოელებს დიდად არ გამოუვიდათ. მეტიც, რომ არა „აკადემიას" დამტრყმელთა უზუსტობა, „ლელო" პირველ ნახევარს ორი ქულის სხვაობით დათმობდა.

„აკადემიამ" ანგარიში მე-4 წუთზე შერკინების კვაჭის **გიგა წვერავას** საჯარიმოთი გახსნა - 3:0. მოგვიანებით წვერავამ კიდევ ორჯერ დაარტყა საჯარიმოდან ლელოელთა კარში და ორივეჯერ არაზუსტად. თანაგუნდელის დახმარება **შალვა დავითაშვილმა** სცადა, მაგრამ მისი საჯარიმოც მიზანს ასცდა.

„ლელომ" ანგარიში მალევე, ორ წუთში გაათანაბრა. საჯარიმო გეგენავამ გაიტანა - 3:3. რვა წუთში კი გათამაშების ლიდერის ერთ-ერთი იერიში ლელოთი დასრულდა. დერეფანში ბურთი საკუთარი 22-მეტრიანი მოედნის ხაზთან „აკადემიამ" უხეიროდ ააგდო და ის ლელოელთა ნადავლი შეიქნა. მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა კარის მიმართულებით განახორციელეს. ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** მარცხენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა შენიშნა და ბურთი რაკიდან ხაზზე ირაკლი გეგენავას გაუტანა, ამან მოსხეპით კიდისკენ გარემარბ **ზურაბ ზაალიშვილს** გადააწოდა, რომელმაც ლელოში შეაღწია. გარდასახვა გეგენავამ გაიტანა - 10:3.

პირველი ტაიმის დარჩენილი დრო ორმხრივ შეტევებში, უფრო ზუსტად შეცდომების თანხლებით წარიმართა, თუმცა ამით ვერც ერთმა გუნდმა იხეირა. შესვენების შემდეგ მოედანზე ნომინალური მგეზავი ლაშა ხმალაძე გამოჩნდა, ოდნავ მოგვიანებით თამაშში ძირითადი შემადგენლობის სამი მორკინალიც ჩაერთო. მეორე ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, როცა „ლელოს" პირველხაზელმა **გიორგი სანიკიძემ** ხაზი გაჭრა და მეტოქემ ჩათვლის მოედნიდან რვა მეტრში შეაჩერა. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარჯვნივ გრძელ ფრთაზე გაათამაშეს, სადაც ლელოელები რიცხობრივ უმრავლესობაში იყვნენ. შესაბამისად, მესამეხაზელ **გიორგი ჭყოიძეს** ლელოს გატანა არ გასჭირვებია. გარდასახვა ხმალაძემ დაარტყა და ააცილა - 15:3.

„აკადემიამ" საპასუხო ლელო 15 წუთში გაიტანა. მათ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანში ბურთი ისევ უხეიროდ მოაწოდეს, მაგრამ მეტოქემ მისი დაჭერა ვერ შეძლო. ბურთი ჩათვლის მოედანში შეგორდა და მას ყველაზე ადრე „აკადემიას" მეორეხაზელმა **გიორგი ნებულიშვილმა** მიუსწრო. გარდასახვა წვერავამ ვერ გაიტანა - 8:15.

აკადემიელებს თითქოს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ, მაგრამ „ლელომ" იგრძნო რა საფრთხე, უფრო მძლავრად ამოქმედდა. 65-ე წუთზე ხუთმეტრიან შერკინებაში „აკადემიამ" გარდაუვალი ლელო წესის დარღვევით აირიდა, რის გამოც მატჩის არბიტრმა სავსებით სამართლიანად საჯარიმო ლელო დააფიქსირა. გეგენავამ გარდასახა - 22:8.

სამ წუთში კი გარემარბმა **სანდრო ნიჟარაძემ** გამოიჩინა თავი. მოედნის საკუთარი ნახევრიდან მგეზავმა ლაშა ხმალაძემ ბურთი ფეხით მეტოქის ზურგს უკან დაჰკიდა, ყველაზე უმალ მასთან ნიჟარაძე გაჩნდა, რომელმაც ბურთი წინ ფეხით შეიცურა, მიჰყვა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. გეგენავამ ესეც გარდასახა - 29:8.

ნათელი გახდა, რომ „ლელო" მორიგ გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდა. თუმცა თამაშის ბოლომდე გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს. ჯერ „აკადემიას" მგეზავმა **გიორგი მარგიანმა** იყოჩაღა. მერე კი მატჩის ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა „ლელოს" მესამეხაზელმა **ლევან დარასელიამ** მიითვლა მორიგი ლელო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთით ლაშა ხმალაძე

# მეორე წრის გზაგასაყარზე

**მეორე წრის პირველი ტურის სხვა მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გათამაშების მეორეადგილოსანის, ქვეყნის ჩემპიონის „არმიას" დაპირისპირება დებიუტანტ თბილისის „ილიაუნი ჯიქთან".**

არმიელებმა პირველი წრე, როგორც უკვე ვთქვით, მეორე ადგილზე დაასრულეს, რაც გუნდის ხელმძღვანელობისგან წარმატებად სულაც არ აღიქმება. ამ გუნდს ბევრად მეტი ამბიციები აქვს და, რომ არა მეორე ტურში ქუთაისის „აიასთან" განცდილი მარცხი, სატურნირო ცხრილის სათავეში იქნებოდნენ.

სეზონის მიმდინარეობისას „არმიას" ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდა, ფრანგულ „მონ დე მარსანში" გადაბარგდა პერსპექტიული ახალგაზრდა შუამარბი **თამაზ მჭედლიძე**. ყოველივე ეს, ცხადია, გუნდის თამაშს დაეტყო კიდეც. ტაიმნახევარს არმიელებს თითქმის ყველა გუნდი ტოლ-სწორად ეპაექრება, მაგრამ დასკვნით ფაზაში ჩემპიონები უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე გადიან ფონს.

„არმიასგან" განსხვავებით ახალგაზრდული გუნდია „ილიაუნი ჯიქი". მის შემადგენლობაში საქართველოს A და, მით უმეტეს, ეროვნული ნაკრების მორაგბეები არ თამაშობენ. მიუხედავად ამისა, „ჯიქები" შესანიშნავად ასპარეზობენ და პლეი ოფში გასვლის ძალზედ კარგი შანსი აქვთ. ტრავმებისა და სხვა გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო „ჯიქებმა" პირველი წრის ბოლოს ზედიზედ სამი თამაში წააგეს და სწორედ ამის გამო დაკარგეს ადგილი ოთხეულში.

პირველ წრეში ამ გუნდებს შორის შეხვედრა პირველივე ტურში გაიმართა და „არმიას" გამარჯვებით 35:19 დასრულდა.

საინტერესო ბრძოლა გაიმართება ბათუმში, სადაც შავიზღვისპირელები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს, მესამეადგილოსან ქუთაისის „აიას" მასპინძლობენ. უცნაურია, მაგრამ „ბათუმი" შემადგენლობის მხრივ ჩემპიონატში არც ერთ გუნდს არ ჩამოუვარდება, თუმცა 14 ქულით მეშვიდე ადგილზეა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელებს ერთი მატჩი თადარიგში აქვთ, შინ რუსთავის „ხარებთან".

ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა „ბათუმი" არსებული პოტენციალის გამოყენებას, თუმცა ის კი ნამდვილად სავარაუდოა, რომ საკუთარ მოედანზე ნებისმიერ გუნდს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, მათ შორის „აიასაც".

„აიამ" სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ მეორე ტურის შემდეგ, რომელშიც ჩემპიონი „არმია" დაამარცხა, გუნდში რაღაც მოიშალა და ქუთათურები სამი ტურის განმავლობაში თამაშს ვერ იგებდნენ. როგორც ჩანს, გუნდის მწვრთნელებმა დროულად მოძებნეს ამის მიზეზი და პირველი წრის მეორე ნახევარში „აია" ყველსათვის ისევ მრისხანე მეტოქე გახდა.

პირველ წრეში „აიამ" შინ „ბათუმს" მძიმე ბრძოლაში მოუგო - 13:3.

წლევანდელი სეზონის აღმოჩენა თბილისის „არმაზი", რომელიც 25 ქულით მე-4 ადგილზეა, სტუმრად ითამაშებს რუსთავის „ხარებთან". არმაზელები თავისი გამორჩეული თამაშის ხელწერით გამოირჩევიან, რომელშიც „პირველი ვიოლინოს" როლს გუნდის მგეზავი **დავით კიკნაძე** ასრულებს. მის გარეშე „არმაზი" მრისხანე ძალას სულაც არ წარმოადგენს, რაც ლიდერთან, „ლელოსთან" მე-8 ტურის მატჩში და „ჯიქებთან" ბოლო ტურშიც კარგად გამოჩნდა.

ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა რუსთაველები კიკნაძის განეიტრალებას, მაგრამ იმის მტკიცება კი გადაჭრით შეიძლება, რომ „ხარები" მეტოქეს უშელავათო ბრძოლას გაუმართავენ და, შესაძლებელია, „არმაზი" დამწუხრებულიც კი გამოისტუმროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსთაული გუნდის ისედაც რთული სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება.

თბილისური გუნდები „ლოკომოტივი" და „ყოჩები" არცთუ დიდი ხნის წინათ ერთმანეთს ჩემპიონობისთვის ებრძოდნენ. ახლა რკინიგზელთა გუნდი პლეი ოფში, ანუ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრისთვის იბრძვის, „ყოჩები" კი ჩემპიონატის აუტსაიდერია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მათ შორის ბრძოლა ძველებურად უშელავათო და საინტერესო იქნება.

**X ტური**

**ილიაუნი ჯიქი-არმია, ბათუმი-აია, ყოჩები-ლოკომოტივი, ხარები-არმაზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 10 | 9 | 0 | 1 | +167 | 43 |
| 2. არმია | 9 | 8 | 0 | 1 | +111 | 37 |
| 3. აია | 9 | 6 | 1 | 2 | +120 | 30 |
| 4. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | +21 | 25 |
| 5. ჯიქები | 9 | 4 | 0 | 5 | +12 | 21 |
| 6. ლოკომოტივი | 9 | 3 | 1 | 5 | +8 | 18 |
| 7. ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | -37 | 14 |
| 8. ხარები | 8 | 2 | 0 | 6 | -104 | 9 |
| 9. აკადემია | 10 | 2 | 0 | 8 | -206 | 9 |
| 10. ყოჩები | 9 | 1 | 0 | 8 | -92 | 7 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

თამუნა ყულუმბეგაშვილის
ფოტოები

● ევროპის ჩემპიონატი, U-17

# 17-წლამდელები ელიტაში პირველ ნომრად

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მომავალ წელს გასამართი ელიტური ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირია, პირველი ადგილი დაიკავეს.**

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" შეჯიბრების ბოლო შეხვედრა მასპინძელ თანატოლებთან გამართეს და 33:17 მოიგეს. მატჩის პირველი ნახევარი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. არბიტრის დახმარებით, პორტუგალიელებმა მოახერხეს და ტაიმი მხოლოდ ორი ქულის სხვაობით წააგეს - 17:19. თავად განსაჯეთ მსაჯმა ჩვენი ბიჭები თორმეტჯერ დააჯარიმა, მეტოქე კი მხოლოდ ორჯერ.

შესვენების შემდეგ, როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა **დავით ჩავლეიშვილმა** და **მამუკა ტყეშელაშვილმა** გუნდის თამაშში გარკვეული კორექტივები შეიტანეს და ტაიმი მთლიანად ქართველი მორაგბეების კარნახით წარიმართა. იმდენად, რომ პორტუგალიელებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველ ორ მატჩში გერმანიისა და ბელგიის ნაკრებები დაამარცხა, შესაბამისად 50:13 და 55:6. ამდენად, ჩვენი მორაგბეების უპირატესობა მეტოქეებზე იმდენად დიდი იყო, რომ მომავალ წელს, ელიტაში ასპარეზობისას იმედი გვაქვს, თავს გამოიჩენენ და ევროპის ბობოლა სარაგბო ქვეყნებს არაფერს დაუთმობენ.

საქართველოს ნაკრები ელიტაში პირველ ნომრად შევიდა, იქვე ითამაშებენ პორტუგალიელებიც. ჩვენი მოწინააღმდეგეები ასევე იქნებიან ინგლისის, ირლანდიის, საფრანგეთის, უელსის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებები.

| საქართველო-პორტუგალია | 33:17 |
|---|---|

საქართველო: 15. ირაკლი სვანიძე, 14. დევი დევსურაშვილი, 13. სანდრო ილურიძე, 12. თემურ ირემაძე, 11. იოსებ კიკვაძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. თემურ თუთბერიძე. 1. ზაზა ხარებავა, 2. ბადრი ალხაზიშვილი, 3. ბექა კაკაბაძე, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. გუგა ხანთაძე, 6. დავით პაპავაძე, 7. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 8. ჟორა მღებრიშვილი.

16. გიორგი თორაძე, 17. დავით ფხაკაძე, 18. გიორგი როყვა, 19. ბექა გორგაძე, 20. დავით გულიტაშვილი, 21. იოსებ ტუკვაძე, 22. ბადრი ლიპარტელიანი.

**ევროპის ჩემპიონატი**

**III ადგილისთვის**

| ბელგია-გერმანია | 13:6 |
|---|---|

**საბოლოო მდგომარეობა**

**1. საქართველო - 15 ქულა, 2. პორტუგალია - 10, 3. ბელგია - 4, 4. გერმანია - 1.**

## უცხოური სპორტი

ჰოკეი



აქ ჰოკეი აღარ შედგება

# სავარაუდოდ, სეზონი არ იქნება

ცნობილმა კანადელმა ტელეწამყვანმა **დონ ჩერიმ** გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2012-13 წლების სეზონს მთლიანად გააუქმებენ.

*„მე რომ სანაძლეო შემომთავაზონ, ფსონს სეზონის სრულად გაუქმებაზე ჩავიდოდი. იმ შემთხვევაში, თუ ლოკაუტი პირველ იანვრამდე არ დასრულდება, მოვლენათა ამგვარი განვითარება გარდაუვალი იქნება. ამავდროულად, მინდა დავიცვა ლიგის კომისარი გერი ბეტმენი, რომელსაც მისი მუშაობის 19 წლის განმავლობაში მესამე ლოკაუტის წარმოშობაში ადანაშაულებენ. ლიგის ოცდაათივე კლუბის მფლობელმა მისცა ხმა ლოკაუტს, ასე რომ, ეს ბეტმენის გადაწყვეტილება არ არის. ახლა თამაშის დაწყება გამოაცხადონ, მასთან რომ მივიდეს 20 კლუბის მფლობელი და სეზონი აუცილებლად აიღებდა სტარტს“*, - განაცხადა ჩერიმ. დავამატებთ, რომ წელს მის გადაცემას - „ჰოკეის საღამო კანადაში“ - 60 წლისთავი უნდა აღენიშნა.

■ ■ ■

ამასობაში, ორი დღის წინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეებმა სარეზერვო ფონდიდან თანხები მიიღეს. მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში მოთამაშეებს უკავებდნენ ხელფასის რვა პროცენტს და ეს ფული ლიგისთვის ერთგვარი დაზღვევა იყო იმ შემთხვევისთვის, თუ წლის შედეგების მიხედვით შემოსავალი მოსალოდნელზე ნაკლები იქნებოდა.

საბოლოოდ, ჰოკეისტებმა საკმაოდ მსხვილი თანხები მიიღეს. მაგალითად, შარშან NHL-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადმა მოთამაშემ, „რეინჯერსის“ ფორვარდმა **ბრედ რიჩარდსმა** 960 ათასი დოლარი მიიღო. გამორიცხული არ არის, რომ NHL-ის მხრიდან ამ ფულის დარიგებამ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებებისას მოთამაშეთა პოზიცია შეარბილოს.

დაბოლოს, გუშინ NHL-ის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გააუქმა „ზამთრის კლასიკა“, რომელიც პირველ იანვარს დეტროიტში უნდა გამართულიყო. უკვე გადაწყდა, რომ „დეტროიტსა“ და „ტორონტოს“ შორის მატჩი ღია ცის ქვეშ 2014 წლის იანვრისთვის გადაიტანეს.

## ამბები

### კალათბურთი

### ბაინუმი ჯერ ვერ ითამაშებს

„ფილადელფია სიქსერზის“ ცენტრი **ენდრიუ ბაინუმი** მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. გუნდის სამწვრთნელო შტაბი და ექიმები არ ჩქარობენ კალათბურთელის მოედანზე დაბრუნებას, რადგან „ლეიკერსის“ ყოფილ მოთამაშეს ჯერ არ მოუშუშებია მარჯვენა მუხლის ტრავმა.

ვარაუდობენ, რომ ბაინუმს სრული გამოჯანმრთელებისა და სათამაშო ფორმის აღდგენისთვის რამდენიმე კვირა დასჭირდება.

### პიპენი ხარებს დაეხმარება

ლეგენდარულმა კალათბურთელმა **სკოტი პიპენმა** თავისი მშობლიური კლუბის - „ჩიკაგო ბულზის“ პრეზიდენტის **მაიკლ რეინსფორდის** მთავარი მრჩევლის პოსტი დაიკავა. თავის დროზე, საკალათბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, პიპენი ორი სეზონის განმავლობაში ასრულებდა გუნდის ელჩის მოვალეობებს.

*„სკოტის ნიჭი და უნიკალური გამოცდილება ჩვენს კლუბს ბევრ ასპექტში გამოადგება. ჩვენ გვინდოდა მისთვის ეს თანამდებობა შეგვეთავაზებინა, რათა უკეთ გამოიკვეთოს მისი როლი კლუბში. ის შესანიშნავად უგებს მოთამაშეებს, მას ესმის, რაზე ფიქრობენ ისინი თავიანთი კარიერის განვითარების დროს“*, - აცხადებს რეინსფორდი.

### ჩიკაგომ გიბსონი გაიფორმა

ამასობაში, „ჩიკაგო ბულზმა“ მოაგვარა ფორვარდ **ტაჯ გიბსონთან** კონტრაქტის გაგრძელების საკითხი. კალათბურთელი დათანხმდა ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. კონტრაქტი ოთხწლიანია და 38 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ახალი სეზონის პირველ მატჩში „საკრამენტოს“ წინააღმდეგ „ჩიკაგომ“ 93:87 მოიგო და გიბსონმა თავის გუნდს 4 ქულა, 5 მოხსნა და 4 დაფარება შესძინა.

*„მე გავიგე თანხის შესახებ. ეს ძალიან დიდი ფულია. ასეთ თანხაზე უარს ვერ ვიტყოდი. განსაკუთრებით მაშინ, როცა არ იცი, რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ეს ბრწყინვალე გუნდია. უბრალოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომელიც მე და ჩემს ოჯახს დაეხმარება“*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის განზრახვას გიბსონმა.

### ბრუკლინი-ნიუ იორკი 26 ნოემბერს

რეგულარული ჩემპიონატის მესამე სათამაშო დღეს გადადებული მატჩი „ბრუკლინსა“ და „ნიუ იორკს“ შორის 26 ნოემბერს გაიმართება, - იტყობინება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ქარიშხალ „სენდის“ გამო გადაიდო.

### მაკდაესი ბრუნდება

38 წლის ფორვარდს **ანტონიო მაკდაესს**, რომელმაც შარშან დაასრულა კარიერა, ლიგაში დაბრუნება სურს. მან უკვე სთხოვა თავის აგენტს **ენდი მილერს** ახალი კლუბის მოძებნა.

მაკდაესმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 15 სეზონი გაატარა და „დენვერის“, „ფინიქსის“, „ნიუ იორკის“, „დეტროიტისა“ და „სან ანტონიოს“ ღირსებას იცავდა. ბოლო სეზონში მისი სტატისტიკა 5.3 ქულასა და 5.4 მოხსნას უდრიდა.

### ჩოგბურთი

### დიდი ჩოგბურთი ნიგერიაში

ამერიკული ჩოგბურთის ვარსკვლავები - **სერენა** და **ვენუს უილიამსები** ამჟამად საქველმოქმედო ვიზიტით ნიგერიაში იმყოფებიან. დებმა ქალაქ ლაგოსში საჩვენებელი მატჩი ჩაატარეს. ორ სეტში გამარჯვება ვენუსმა მოიპოვა - 6:4, 7:6.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტონიმ დურანტს მოუგო

გუშინ NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა - სან ანტონიოში დასავლეთის ფავორიტები - „სპურსი“ და „ოკლაჰომა-სიტი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მატჩის წინ თითქმის ყველა ფავორიტად “ოკლაჰომას” ასახელებდა, რადგან “სან ანტონიომ” წინა დღეს ითამაშა და მის ვეტერან ლიდერებს, წესით უნდა გასჭირვებოდათ ახალგაზრდა “ოკლაჰომას” შეჩერება. თან, “სპურსის” რიგებში ზედიზედ მეორე მატჩს ტოვებდა **მანუ ჯინობილი**.

“სპურსის” გენიალურმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** ამ რთულ სიტუაციაში კარგი გამოსავალი იპოვა - მაქსიმალურად შეანელა თამაშის ტემპი. გეგმამ იმუშავა - “ოკლაჰომამ” სწრაფი გარღვევებით მხოლოდ ექვსი ქულა დააგროვა, არადა, სწორედ ეს არის “თანდერის” მთავარი იარაღი.

პოპოვიჩის გეგმამ ყველაზე მეტად “ოკლაჰომას” ერთ-ერთ ლიდერზე - **რასელ უესტბრუკზე** იმოქმედა. მან **კევინ დურანტზე** მეტჯერ ისროლა (21), მაგრამ მხოლოდ ექვსჯერ მოახვედრა მიზანში. ამას ემატება **იბაკას, კოლისონისა** და **სეფოლოშას** 14 აცილებული (20-დან) ტყორცნა და გუნდური 18 შეცდომა. ამის შემდეგ ისმის კითხვა - ასეთი სტატისტიკის შემდეგ როგორ აცხადებდა პრეტენზიას მოგებაზე “ოკლაჰომა”?

ამ კითხვაზე პასუხი ერთია: **კევინ დურანტი**, რომელიც ჩვეულებრივ ყველაზე შედეგიანი და აქტიური იყო. სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ, დურანტი მეორე ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა **ლებრონ ჯეიმსის** შემდეგ, ვინც 10000-ქულიან ზღვარს გადააჭარბა. მალე ანალოგიური შედეგი ექნება **კევინ მარტინს**, ოღონდ ის 29 წლისაა. მარტინმა მის ნაცვლად “ჰოუსტონში” გადასული **ჯეიმს ჰარდენის** ფუნქციები იკისრა - მთავარი რეზერვისტი გახდა და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია - ექვსიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და ხუთი შედეგიანი პასიც გააკეთა. მას მხარი აუბა **მეინორმა**, რომელმაც პრაქტიკულად მთელი შარშანდელი სეზონი გამოტოვა. მან 11 წუთში შვიდი ქულა დააგროვა, მესამე მეოთხედის ბოლო წამზე კი საკუთარი ნახევრიდან ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. მოკლედ, რეზერვისტთა ამ დუეტმა მოახერხა ორნიშნა ჩამორჩენის გაბათილება და ამის შემდეგ, ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გაქცევა.

საფინალო სირენამდე 2.12-ით ადრე, უესტბრუკმა ერთადერთხელ ითამაშა ჩვეული აგრესიულობით, როცა ორჯერ პერსონალური მიაღებინა მეტოქეებს და ოთხივე საჯარიმო ჩააგდო. თავის მხრივ, **დანკანმა** და **პარკერმა** გააფუჭეს თავიანთი შეტევები.

ნახევარი წუთით ადრე, “სპურსი” სამ ქულას აგებდა და მისი შეტევა თითქოს დაიკარგა, მაგრამ **დიაომ** თითქმის აუტ[illegible] გადაარჩინა და სამ[illegible] მიაწოდა. ტონიმ პირველი და ერთადერთი შორეული ტყორცნით ანგარიში გაათანაბრა - 84:84. სტუმრებმა კიდევ ერთხელ წინ გასვლა ვერ შეძლეს - უესტბრუკმა ცუდი პასი გააკეთა. მასპინძლებს ხუთი წამი რჩებოდათ გამარჯვების მოსაპოვებლად.

“სპურსის” ბოლო შეტევა ისევ პარკერის სასროლ პოზიციაზე გაყვანით დასრულდა და ფრანგმა შარშანდელი სეზონის საუკეთესო მომხსნელის **სერჟ იბაკას** წინააღმდეგობის მიუხედავად ზუსტად ისროლა. და საფინალო სირენის ხმაც გაისმა.

“სან ანტონიომ” ორი დღის განმავლობაში ორი გამარჯვება მოიპოვა - ორივე ფრანგი პლეიმეიკერის ტყორცნების წყალობით. სხვათა შორის. “სპურსმა” თითქმის შეუძლებელი შეძლო, რადგან ბოლო ორ რეგულარულში “ოკლაჰომასთვის” ასეთი დაბალი შედეგიანობით არავის მოუგია.

| სან ანტონიო-ოკლაჰომა | 86:84 |
|---|---|

**21:24, 24:16, 21:26, 20:18**

**ს-ა:** დანკანი (20+8 მოხსნა+3 დაფარება), პარკერი (14+11 პასი), გრინი (13+5 მოხსნა), ჯექსონი (11+6 მოხსნა), დიაო (10+7 მოხსნა).

**ო:** დურანტი (23+14 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (18+8 მოხსნა+5 პასი), მარტინი (15+5 პასი).



ტონი პარკერი მატჩის გმირი გახდა

ფორმულა 1

# მაკლარენი-რედ ბული: 1:1

## შუმახერი, შესაძლოა, მერსედესში დარჩეს

გუშინ, აბუ დაბიში, იას-მარინას ტრასაზე დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის მე-18 უქმეები - აბუ დაბის გრანპრი. გაიმართა ორი თავისუფალი პრაქტიკა.

პირველი ვარჯიშის დროს, ხუთმა გუნდმა ანდო თავისი ბოლიდის საჭე სარეზერვო პილოტებს: HRT-ში **კართიკეიანი** შეცვალა ჩინელმა **მა ცინ ჰუამ**, „მარუსიაში“ **შარლ პიკის** ნაცვლად ვიხილეთ ფორმულა 1-ის დებიუტანტი **მაქს ჩილტონი**, „უილიამსში“ **სენას** ნაცვლად **ვალტერი ბოტასი**, „კატერჰემში“ **პეტროვის** ნაცვლად **ვან დერ გარდე** და „ფორს ინდიაში“ **დი რესტას** ნაცვლად - **ბიანკი**.

ბევრმა გუნდმა აბუ დაბიში განახლებული ბოლიდები ჩაიყვანა - შემდეგ წელს, რეგლამენტი თითქმის არ შეიცვლება, ამიტომაც მიდიოდა მუშაობა წლევანდელი და მომავალი სეზონებისთვის განკუთვნილ ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე.

სესიამ სერიოზული ინციდენტების გარეშე ჩაიარა - აბუ დაბიში უსაფრთხოების ფართო ზონებია და პილოტთა მცირე შეცდომებს მანქანების დაზიანება არ გამოუწვევია. საუკეთესო წრე „მაკლარენის“ პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** გაიარა - 1:43.285.

■ ■ ■

მეორე სესიაში პილოტები და გუნდები აგრძელებდნენ მზადებას მომავალი გრანპრისთვის - აზუსტებდნენ სარბოლო მახასიათებლებს და ადარებდნენ „პირელის“ საბურავების ორი შემადგენლობის ეფექტურობას. იტალიურმა კომპანიამ ამ სეზონში მეშვიდედ და უკანასკნელად გუნდებს Medium და Soft შესთავაზა.

ვარჯიში დღის სინათლეზე დაიწყო და ხელოვნური განათების ქვეშ დასრულდა - სწორედ ასეთ რეჟიმში ჩაივლის კვალიფიკაცია და რბოლა.

ამჯერად, წრეზე საუკეთესო დრო „რედ ბულის“ პილოტმა და ჩემპიონატის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** აჩვენა - 1:41.751. პირველ რვა ადგილზე საუკეთესო ოთხი გუნდის პილოტები ვიხილეთ, ასე რომ, წინ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.


ლუის ჰემილტონი

■ ■ ■

„მერსედესის“ პილოტი **მიხაელ შუმახერი**, რომელმაც კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, გერმანულ საჯინიბოსთან გააგრძელებს თანამშრომლობას, - წერს გაზეთი „ბილდი“.

ჯერჯერობით არ იტყობინებიან, რა როლი ექნება „მერსედესში“ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს.

*„მერსედესთან“ თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობა არსებობს. ყველა ვარიანტს გუნდის ხელმძღვანელობასთან სეზონის დასრულების შემდეგ განვიხილავ“*, - აღნიშნა შუმახერმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი



როჯერმა ტიტული უნდა დაიცვას

# ლონდონი დაკომპლექტდა

გაირკვა წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის ყველა მონაწილე. ლონდონის ტურნირის ბოლო ორი საგზურის მფლობელები გახდნენ ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და სერბი **იანკო ტიპსარევიჩი**. მათ ეს უფლება პარიზის მასტერსზე მეოთხედფინალში გასვლის წყალობით მოიპოვეს. ამით, ცონგამ და ტიპსარევიჩმა გაინაღდეს ATP-ის რეიტინგში მერვე და მეცხრე ადგილები. როგორც იცით, ლონდონში გამოსვლას არ აპირებს **რაფაელ ნადალი**, რის გამოც წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება მოიპოვა კლასიფიკაციის მეცხრე ნომერმა.

2012 წელს ცონგამ მოიგო ტურნირები მეცსა და დოჰაში, აგრეთვე ფინალამდე მიაღწია პეკინსა და სტოკჰოლმში. წელს ფრანგი მესამედ ითამაშებს წლის დასკვნით ჩემპიონატში. 2011 წელს მან ამ ტურნირზე ფინალში გააღწია, სადაც **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა.

რაც შეეხება ტიპსარევიჩს, წელს მის ანგარიშზეა ერთი ტიტული (შტუტგარტში) და ორი ფინალი (ჩენაი, გშტაადი). სერბი მეორედ ითამაშებს ATP-ის დასკვნით ტურნირში.

საბოლოოდ, ორშაბათიდან ლონდონში მთავარი პრიზისთვის ბრძოლას დაიწყებენ:

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)**
**როჯერ ფედერერი (შვეიცარია)**
**ენდი მიური (ბრიტანეთი)**
**დავიდ ფერერი (ესპანეთი)**
**ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)**
**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)**
**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი)**
**იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი)**

# ნახტომი მესამე სართულიდან



სერგეი ბუბკა

უკრაინელი ჩოგბურთელი **სერგეი ბუბკა** სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს. ლეგენდარული მძლეოსნის სერგეი ბუბკა-უფროსის ვაჟი მესამე სართულიდან გადავარდა.

ინციდენტი პარიზში მოხდა. სერგეი ბუბკამ უამრავი მოტეხილობა მიიღო და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც იტყობინებიან, ჰოსპიტალიზაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჩოგბურთელის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

წინასწარი ვერსიით, მესამე სართულიდან გადავარდნის მიზეზი გახდა ის, რომ ჩოგბურთელი სააბაზანო ოთახში ჩაიკეტა და ფანჯრიდან ცდილობდა გაძრომას.

25 წლის სერგეი ბუბკამ სპორტული კარიერა 2005 წელს დაიწყო. ATP-ის მიმდინარე რეიტინგში ის 186-ე ადგილზეა.

## დღეს ფინალი იწყება

გუშინ ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართა ფედერაციის თასის ფინალური მატჩის წილისყრა და დადგინდა ჩოგბურთელთა მოედანზე გასვლის თანმიმდევრობა. შეგახსენებთ, რომ ქალებს შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში ჩეხეთი სერბეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

**3 ნოემბერი. შაბათი**

ლუსი საფაროვა-ანა ივანოვიჩი
პეტრა კვიტოვა-ელენა იანკოვიჩი

**4 ნოემბერი. კვირა**

პეტრა კვიტოვა-ანა ივანოვიჩი
ლუსი საფაროვა-ელენა იანკოვიჩი
ჰლავაჩკოვა/ჰრადეცკა-იოვანოვსკი/კრუნიჩი
ჩეხეთის ნაკრები ტურნირის მოქმედი ჩემპიონია.

## ბეკერი გერმანიას ჩაიბარებს?

დევისის თასზე გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ კიუნენმა** პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ამის მიზეზი გახდა ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ჩოგბურთელთან - **ფილიპ კოლშრაიბერთან** კონფლიქტი. გერმანული პრესის ცნობით, კოლშრაიბერმა განაცხადა, რომ არ ითამაშებს ნაკრებში იქამდე, სანამ გუნდს სათავეში კიუნენი უდგას.

*„ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საკმარის მხარდაჭერას არ ვიღებდი გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციისგან. ამიტომაც გადავწყვიტე ნაკრების კაპიტნის პოსტის მიტოვება“*, - განაცხადა კიუნენმა.

ვაკანტურ ადგილზე მთავარ პრეტენდენტად ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **ბორის ბეკერი** მიიჩნევა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| ავსტრია-ანდორა | 9:0 |
| უნგრეთი-ბულგარეთი | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბრაიტონი-ლიდსი | 2:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| კემბრიჯი-მილტონი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| ლეჩე-პორტოსუმაგა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| აინტრახტი-ფიურტი | 1:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი | 2:1 |
| ჰერტა-ინგოლშტადტი | 0:0 |
| რეგენსბურგი-პადერბორნი | 0:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ჰაიდენჰაიმი-ალემანია | 1:1 |
| უნტერჰახინგი-ბურგჰაუზენი | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კლოპენბურგი-ვერდერი A | 3:3 |
| **რეგიონალლიგა (სამ-დას)** | |
| აინტრახტი II-კასელი | 1:3 |
| ჰომბურგი-ელვერსბერგი | 0:1 |
| პფიულენდორფი-ზონენჰოფი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| აუგსბურგი II-ბაიერნი II | 2:2 |
| ელტერსდორფი-ნიურნბერგი II | 1:2 |
| ჰელმსშტეტენი-ფრონლახი | 2:1 |
| ზელიგენპორტენი-ფიურტი II | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| ბრესტი-ლორიანი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| შატორუ-დიჟონი | 2:2 |
| კლერმონი-გინგამი | 1:2 |
| ლავალი-ისტრი | 2:1 |
| ნიმი-არლი | 4:1 |
| ნიორი-მონაკო | 1:1 |
| სედანი-ლანსი | 0:1 |
| ტური-ლე მანი | 2:0 |
| **ნასიონალი** | |
| ბურჟი-ლუზენაკი | 1:0 |
| ამიენი-კრეტეი | 1:4 |
| ბასტია-ორლეანი | 3:2 |
| კარკეფუ-კევილი | 4:0 |
| კოლმარი-მეცი | 0:0 |
| პარიზი-შერბური | 0:4 |
| რედ სტარი-ვანი | 0:0 |
| რუანი-ბულონი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-დენ ჰააგი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ვოლენდამი | 0:4 |
| ემენი-გრააფსხაპი | 1:3 |
| ექსელსიორი-იგლზი | 1:6 |
| დორდრეხტი-ეინდჰოვენი | 3:0 |
| ჰელმონდი-კამბური | 3:1 |
| ტელსტარი-ალმერი | 1:2 |
| ტოპ ოსი-ვეენდამი | 2:3 |

| | |
|---|---|
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეუპენი-ვესტერლო | 3:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-მარიტიმუ | 5:0 |
| **დანია** | |
| ესბერგი-სილკებორგი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| სკივე-ვიბორგი | 0:2 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიქსტადი-ოდ გრენლანდი | 4:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გლაუ ვაისი-ჰორნი | 3:0 |
| ჰარტბერგი-გრიოდიგი | 3:0 |
| ვენა-კაპფენბერგი | 3:1 |
| სტ. პოლტენი-აუსტრია (ლ) | 2:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| პანახაიკი-ლარისა | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ბუიუქსეჰირი-გალათასარაი | 1:3 |
| **ირლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| უოტერფორდი-დანდალკი | 0:2 |
| **უელსი** | |
| ბანგორი-ნიუთაუნი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| იჰლავა-იაბლონეცი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ტრნავა | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| ზენიტი-როსტოვი | 2:1 |
| **პოლონეთი** | |
| გურნიკი-ბელხატოვი | 2:0 |
| ვისლა-ლეხი | 0:1 |
| **ხორვატია** | |
| დინამო-ისტრა | 3:1 |
| **უნგრეთი** | |
| კეჩმეკეტი-დიოშდიორი | 1:1 |
| უიპეშტი-ეგერი | 3:0 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია-ვიიტორული | 1:1 |
| იაში-უნივერსიტატეა | 4:0 |
| **ლიტვა** | |
| ეკრანასი-ატლანტასი | 6:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| დუნგანონი-ბალიმენა | 1:3 |
| ბალინამალარდი-ლისბურნი | 2:0 |
| **ავსტრალია** | |
| ვესტერ სიდნეი-მელბურნი ჰ. | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ხიმკი-ოლიმპია | 75:65 |
| ბეშიქთაში-ცსკა | 58:85 |
| ოლიმპიაკოსი-ცედევიტა | 79:77 |
| ბამბერგი-ლ. რიტასი | 84:78 |
| მონტეპასკი-შალონი | 93:90 |

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-როანი | 72:67 (ო) |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-დინამო (მნ) | 3:4 (ო) |
| იუგრა-ავანგარდი | 0:2 |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 4:1 |
| ტრაქტორი-სევერსტალი | 3:1 |
| ს. იულიაევი-ლოკომოტივი | 3:4 (ო) |
| ცსკა-ამური | 6:2 |
| აკ ბარსი-ტორპედო | 4:0 |
| სკა-დონბასი | 9:2 |
| დინამო (მ)-სპარტაკი | 5:2 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ვილახი | 5:4 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 6:3 |
| ზნოიმო-ალბა | 3:1 |
| ლინცი-ინსბრუკი | 8:2 |
| ზაგრები-დორნბირნი | 5:2 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 1:4 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 2:7 |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 3:8 |
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 6:5 (ო) |
| დიუსელდორფი-მიუნხენი | 3:2 (ბ) |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 3:2 |
| იზერლონი-მანჰაიმი | 4:2 |
| კიოლნი-შტრაუბინგი | 1:2 |
| **დანია** | |
| ფრედერიშავნი-როდოვრე | 5:1 |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 3:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ნიტრა | 1:2 |
| ტრენჩინი-ჟილინა | 5:3 |
| ზვოლენი-მარტინი | 4:1 |
| კოშიცე-სკალიცა | 4:3 |
| პიესტანი-ბისტრიცა | 2:3 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ესეტი-ლუკო | 3:4 |
| იუვიასკიულა-პელიკანსი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 3:5 |
| პარდუბიცე-კლადნო | 6:9 |
| ბრნო-ზლინი | 3:4 (ბ) |
| ხომუტოვი-ტრშინეცი | 5:3 |
| ლიბერეცი-პლზენი | 1:8 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 5:4 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ცუგი | 5:1 |
| ბილი-სერვეტი | 7:2 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 4:5 |
| ამბრი-ლუგანო | 5:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პარიზი** | |
| სიმონი-ბერდიხი | 6:4, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-იანოვიჩი | 6:3, 1:6, 1:6 |
| ცონგა-ფერერი | 2:6, 5:7 |
| კუერი-ლოდრა | 6:7, 3:6 |
| **WTA. სოფია** | |
| არვიდსონი-ჟენგი | 5:1 უარი |
| პეტროვა-პირონკოვა | 5:7, 6:1, 6:3 |
| ჰსიე-ჰანტუხოვა | 6:1, 0:6, 6:4 |

## TV პროგრამა

### 3 ნოემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. აინტრახტი-ფიურტი.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის მიმოხილვა.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. სუონსი-ჩელსი (LIVE).
21:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
23:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. აიაქსი-ვიტესი.
01:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. გრემიო-პონტე პრეტა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მაიამი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. პარტიზანი-ცსკა.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. დორტმუნდი-შტუტგარტი (LIVE).
20:30 NBA Action.
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ჰამბურგი-ბაიერნი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჩემპიონთა ტურნირი. სოფია. ბულგარეთი.
17:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### 4 ნოემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. აიაქსი-ვიტესი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
15:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. პსვ-ჰერაკლესი.
17:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტური. ტვენტე-ფეიენოორდი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ლივერპული-ნიუკასლი (LIVE).
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. სან პაულუ-ფლუმინენსე (LIVE).
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პალმეირასი-ბოტაფოგო.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-დენვერი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. IV ტური მიმოხილვა.
16:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. კახა ლაბორალი-ეფესი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ლევერკუზენი-ფორტუნა (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ფილადელფია (LIVE).
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჩემპიონთა ტურნირი. სოფია. ბულგარეთი.
14:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ჩემპიონთა ტურნირი. ფინალი. სოფია. ბულგარეთი.
00:15 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. გოდოი-ნიუელსი.

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ტორპედო-დინამო (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთზე შეყვარებულები

**მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები ძალიან დაკავებულები არიან, მაგრამ მათ, როგორც ნებისმიერ ადამიანს, საკუთარი გატაცებები აქვთ. ბევრი საჩოგბურთო ვარსკვლავი ინტერესდება სპორტის სხვა სახეობით - მაგალითად, ფეხბურთით. ბრიტანულმა საჩოგბურთო პორტალმა - The Tennis Space-მა ერთად შეკრიბა მსოფლიო ჩოგბურთის მთავარი საფეხბურთო გულშემატკივრები.**



როჯერ ფედერერი




გორან ივანიშევიჩი




იკერ კასილიასი და რაფა ნადალი

## კაროლინ ვოზნიაცკი - ლივერპული

დანიელი "ლივერპულის" თავგადაკლული ფანია. 2011 წელს მას აჩუქეს საფეხბურთო მაისურა, რომელსაც **სტივენ ჯერარდის** ხელმოწერა ამშვენებს, გულშემატკივრებმა კი **კაროს** რომელიმე მატჩზე ამ მაისურით გასვლა სთხოვეს. ჩოგბურთელმა სიამოვნებით შეასრულა მათი თხოვნა დოჰას ტურნირზე.

მოგვიანებით, კაროლინმა თავის "ტვიტერზე" დაწერა: *"მაშ ასე, მე "ლივერპულის" ფორმა ჩავიცვი. ახლა საინტერესო იქნება ფეხბურთელების ხილვა ჩემს სათამაშო ფორმაში".*



კაროლინ ვოზნიაცკი

სხვათა შორის, კაროს ბოიფრენდი, გოლფისტი **რორი მაკილროი** "ლივერპულის" დაუძინებელ მტერს - "მანჩესტერ იუნაიტედს" გულშემატკივრობს.

## იანკო ტიპსარევიჩი - ბარსელონა და ინტერი

სერბი "ინტერს" ქომაგობს, მაგრამ ასევე ცნობილია მისი სიყვარული "ბარსელონას" მიმართ. თავის დროზე, ესპანელი **ფელისიანო ლოპესი** წერდა თავის "ტვიტერში": *"ვიპოვე "ბარსელონას" ყველაზე ერთგული გულშემატკივარი"* და თან ამ ტექსტს დაურთო იანკოს ფოტო "ბარსას" მაისურით.

ერთ-ერთ ვიდეორგოლში, რომელიც **ტიპსარევიჩმა** როლან გაროსის დროს ჩაიწერა, ის დასცინის **რაფაელ ნადალს** "ბარსელონას" მადრიდის "რეალზე" (ამ გუნდს რაფა გულშემატკივრობს) გამარჯვების შემდეგ. მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე ტიპსარევიჩმა განაცხადა: *"რაფა "რეალის" გულშემატკივარია, ასე რომ, კარგი იქნებოდა მასთან ერთად "ელ კლასიკოს" ყურება".*

## რაფაელ ნადალი - რეალი

მალიორკელი ბავშვობაში ამჟღავნებდა საფეხბურთო ნიჭს, დღეს კი მადრიდის "რეალის" ფანია. და ეს იმის მიუხედავად, რომ მისმა ბიძამ - **მიგელ ანხელ ნადალმა** "ბარსელონაში" თამაშით გაითქვა სახელი.

თავის ავტობიოგრაფიაში ჩოგბურთელმა ყველაფერი ახსნა: *"რატომ ვგულშემატკივრობ მადრიდელებს? საქმე ისაა, რომ მათკენ არის მამაჩემიც. თუ მე ავსტრალიაში ჩავდივარ და "რეალის" მატჩი იქაური დროით დილის ხუთ საათზე იწყება, აუცილებლად ვილვიძებ თამაშის სანახავად. საკუთარ საწვრთნელ პროგრამასაც "რეალის" სათამაშო კალენდრის გათვალისწინებით ვადგენ. დიახ, მე ნამდვილი ფანი ვარ".*

## ანჟელიკ კერბერი

მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთელი წარმოშობით ბრემენიდანაა, ის არა მშობლიურ "ვერდერს", არამედ ყველაზე წარმატებულ გერმანულ კლუბს - "ბაიერნს" გულშემატკივრობს.

ტოკიოს ტურნირის დროს, **ანჟელიკმა** ინტერნეტში ატვირთა საკუთარი ფოტო. მას "ბაიერნის" მაისურა აცვია, რომელიც იაპონიის დედაქალაქში შეიძინა.




დები უილიამსები

## გორან ივანიშევიჩი - ვესტ ბრომვიჩი

მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული ხორვატი თავის მშობლიურ "ჰაიდუკს" გულშემატკივრობს, ცნობილია მისი სიყვარული ინგლისური კლუბის - "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" მიმართ. ამაში გასაკვირი არაფერია - **გორანის** ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია ბრიტანელი საჩოგბურთო ჟურნალისტი **დევიდ ლოუ** - ასევე "ალბიონის" ერთგული ქომაგი.

2011 წლის დეკემბერში, ლონდონის ვეტერანთა ტურნირზე გამოსვლისას, ივანიშევიჩი პირველად დაესწრო ამ გუნდის თამაშს, შემდეგ კი შეხვდა მოთამაშეებსა და მწვრთნელს - **როი ჰოჯსონს**. გორანს საკლუბო მაისურა აჩუქეს, რომელზეც ჩოგბურთელის გვარი ეწერა. *"ექვსი წელი ველოდი ამ მომენტს. ბედნიერი დღე მაქვს"*, - აღიარა ჩოგბურთელმა.

## როჯერ ფედერერი - ბაზელი

ბავშვობაში **როჯერი** ბაზელის "კონკორდიას" საბავშვო გუნდში ირიცხებოდა, მაგრამ ახლა ამ ქალაქის ყველაზე ცნობილი კლუბის გულშემატკივარია. ამბობენ, რომ როჯერს შეეძლო გამხდარიყო პროფესიონალი ფეხბურთელი, მაგრამ მის კარიერულ არჩევანს არ უმოქმედია "ნომერ პირველი სპორტისადმი" სიყვარულზე.

*"ჩემთვის გასულ სეზონში ყველაზე ნაღვლიანი მომენტი იყო ქვეყნის ჩემპიონატში "ციურიხთან" წაგება,* - იხსენებს ფედერერი. - *მაშინ რომში ვიყავი და იქაურ მასტერსში ვთამაშობდი. და ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი".*

## ვენუს და სერენა უილიამსები - მაიამი დოლფინზი

ეს არ არის ჩვეულებრივი ფეხბურთი, რასაც მიჩვეულები ვართ - ეს ამერიკული ფეხბურთია. მაგრამ, **ვენუსი** და **სერენა**, როგორც მათი ყველა თანამემამულე, სწორედ ამ სპორტს ეძახის "ფეხბურთს". ამერიკული ჩოგბურთის სუპერვარსკვლავები ფლორიდაში გაიზარდნენ, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ისინი სწორედ "მაიამის" გულშემატკივრობენ.

კლუბის მიმართ თავიანთი სიყვარული დებმა მაშინ გამოხატეს, როცა "დოლფინზის" აქციათა ნაწილი გამოისყიდეს. *"მოგვწონს სტადიონზე სიარული და იქაური ატმოსფერო"*, - აღიარებს ვენუსი, რომელიც ცდილობს, რეგულარულად დაესწროს საყვარელი გუნდის თამაშებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფელისიანო ლოპესი და
იანკო ტიპსარევიჩი



ანჟელიკ კერბერი




დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**